№220 (12 290)
18 სექტემბერი სამშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი დაიწყო, ბარაქა!

ალავერდი რიოდან ბაქოში, ქუთაისიდან ბათუმში:

დავით ბედინაძეს ირაკლი ცირეკიძისგან

ნიკოლოზ ნეფარიძე
ბაქოდან

გუშინ ბაქოში, ჰეიდარ ალიევის სახელობის სპორტკომპლექსში, დავით ბედინაძემ მესამე პერიოდში ეფექტური გდებით ჰაერში ანია ვეტერანი იაპონელი მაკოტო სასამოტო და... გდება ხუთ ქულადაც თავისუფლად შეფასდებოდა, მსაჯმა მხოლოდ სამი ჩათვალა, თუმცა ამას უკვე მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამის შემდეგ ბრძოლა კიდევ რამდენიმე წამს გაგრძელდა, თუმცა მთავარი უკვე მოხვდა – ბათუმელი დავით ბედინაძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. შარშანდელი ვერცხლი მან ოქროთი გააუმჯობესა, ქართულ სპორტს კი ოქროს რთველი დაუდგა – რიოში ძიუდოისტთა მსოფლიო პირველობაზე ირაკლი ცირეკიძის დაწყებული საქმე, წარმატებით გააგრძელა ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე ბედინაძემ.

მსოფლიო ჩემპიონი დავით ბედინაძე

ავტორის ფოტო

სასამატო გამოცდილი, კარგი მოჭიდავეა, თუმცა ყველამ კარგად უწყოდა, რომ ქართველისთვის ის დაუმარცხებელ მოწინააღმდეგე არ იყო. დაიწყო ფინალი და ჩვენს იმედებს თითქოს წყალი გადაესხა, იაპონელი უტევდა. დარბაზში შეკრებილი ქართველობა (მრავლად კი იყვნენ, მაგრამ ტრიბუნებზე ისე იყვნენ გაფანტულები, რომ მათი არსებობა მხოლოდ ფინალისას აღმოვაჩინეთ) თავისიანი ამხნევებდა, მაგრამ რად გინდა – თავად ბედინაძე პასიურობდა. პირველი პერიოდი იაპონელმა 2-0 მოიგო. მეორეში ერთი ნუთი ჭიდაობის შემდეგ ჩოქბჯენში ჯერ სასამოტო ჩააყენეს, მაგრამ ქართველმა ვერაფერი მოუხერხა, ახლა ჯერი იაპონელის შეტევაზე მიდგა, ამჯერად ბედინაძემ თავი ბრწყინვალედ დაიცვა და რადგან ბოლო ქულა მისი იყო, 1-1 დასრულებული პერიოდი მან მოიგო. ყველაფერი მესამეში უნდა გადაწყვეტილიყო და გადაწყდა კიდეც.

სულ მალე საზეიმო ცერემონიალიც გაიმართა, აიწია საქართველოს დროშა და შესრულდა ჩვენი ჰიმნი, ქართველმა ფანებმა პოდიუმის თავზე კიდევ რამდენიმე ქართული დროშაც გადმოფინეს, ბედინაძე კი **გოჩა ძასოხოვმა** დააჯილდოვა.

ირგვლივ იმდენი გახარებული ქართველი იყო, რომ უნებურად თავი თბილისის სპორტის სასახლეში გეგონებოდათ. პოდიუმიდან ჩამოსულ დღის გმირს კი დოპინგკონტროლის ოთახისკენ გავყევი. აი, რა შემოგითვალათ ჩემპიონმა:

- ძალიან, ძალიან გახარებული ვარ, როგორც იქნა ოცნება ავისრულე. რაც შარშანდელ სეზონში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალები წავაგე, მუდამ ამ დღეზე ვფიქრობდი და ისიც დადგა. ბედნიერი ვარ, რომ ამ მოგებით მთელი საქართველო გავახარე, უდიდესი მადლობა ყველა გულშემატკივარს, რომელმაც არ დაიზარა და ბაქოში ჩამოვიდა ჩემს მხარდასაჭერად.

- როდესაც ის გდება გააკეთეთ ჩათვალეთ, რომ უკვე ჩემპიონი გახდით?

- არა, შარშანდელს მერე ძალიან ცუდი გამოცდილება მაქვს და ამას აღარასოდეს ვიზამ. გამარჯვებული მაშინ ხარ, როცა მსაჯი ხელს აგიწევს, სხვანაირად - არამც და არამც. შარშან, ფინალის დასრულებამდე რამდენიმე წამით ადრე ვზეიმობდი და კიდეც წავაგე.

ჟურნალისტებს საკუთარ პრობლემებზე წუწუნი არ გვჩვევია, თუმცა სათქმელი მაინც უნდა ითქვას. 17 სექტემბერს საღამოს გამოსვლა გვქონდა თბილისი-ბაქოს მატარებლით, თუმცა ბილეთებზე თავად უნდა გვეზრუნა. წამოსვლის წინადღით აზერბაიჯანის დედაქალაქის მიმართულებით ყველა ბილეთი გაყიდული იყო. გავრისკე და ვაგონის გამცილებელ ილჰამის წყალობით ჰეიდარ ალიევის პორტრეტით დამშვენებულ კუპეში მოვხვდი, რითაც ილჰამის (ალიევის არა) დღიური ბიუჯეტი არცთუ ცოტათი შეივსო. ჩემთან ერთად მეზობელ ვაგონში საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთელი შემადგენლობა მგზავრობდა, პლუს რამდენიმე ტიტულოვანი ვეტერანი მოჭიდავე, იყო **ლუკა კურტანიძეც**. სამწუხაროდ აღმოჩნდა, რომ არც ბაქოში გველოდა ვინმე და "აფშერონ ჰოტელში" მისულთ კიდევ ერთი სიურპრიზი გველოდა – აკრედიტაციებზე თავად უნდა გვეზრუნა, ეს საქმე კი შედარებით იოლად (დაახლოებით საათნახევარში) მოვაგვარეთ, მაგრამ აი, ნომრებზე კი თავაზიანი ბოდიში მოგვიხადეს - ჩვენი სასტუმროს ყველა ნომერი დაჯავშნულია, დარჩა მხოლოდ რამდენიმე, რომლებსაც თქვენ რუს კოლეგებს ვუნახავთო. თხოვნამ არ გაჭრა, რუსების "მოტეხვა" არ გამოვიდა, იქვე მდებარე სასტუმროებიდან მხოლოდ ერთში იყო ნომრები, მაგრამ არნახულ ფასად. ასე ავღმოჩნდით "ნეაპოლში", ძალიან კარგ სასტუმროში (ფასიც შესაბამისად იკბინება), მაგრამ ბაქოში კი არა და სუმგაითში! ამ სიშორეზე ყოფნის "სიკეთე" პირველივე საღამოს ვიგრძენით, როცა შეჯიბრების მომსახურე არც ერთი ავტობუსი "ნეაპოლში" წასვლას არ აპირებდა. ბოლოს ქართველებმა, ფრანგებმა და ბულგარელებმა გაერთიანებული ძალებით ერთი ავტობუსის საბრალო მძღოლი ვაიძულეთ "აკვა პარკში" კი არა, ჩვენს სასტუმროში წასულიყო. საბრალო, მთელი გზა წუწუნებდა მომხსნიან გვარიც ვერ მიშველისო (ალიევი იყო), მაგრამ რა გვექნა.

13

მსოფლიო ჩემპიონატებიდან რეპორტაჟების სპონსორია საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ნესტორმა ვერცხლით გაასამა

ირაკლი თავაძე,
რიო დე ჟანეიროდან

რიო დე ჟანეიროში, ძიუდოისტთა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო დღეს **ნესტორ ხერგიანმა** (60) ვერცხლის მედალი მოიპოვა. ახლა ჩვენი ნაკრების მონაგარი სამივე სინჯის თითო მედალი და ხუთი ლიცენზიაა. შეგახსენებთ, რომ წინა დღეებში **ირაკლი ცირეკიძე** (90) მსოფლიო ჩემპიონი გახდა, ხოლო **ლაშა გუჯეჯიანი** (მძიმე) მესამეზე გავიდა. ამ სამეულმა პეკინის ოლიმპიადის ლიცენზიებიც მოიპოვა, ისევე როგორც მეხუთეზე გასულმა კიდევ ორმა ფალავანმა - **დავით ქევხიშვილმა** (73) და **ლომერ ჟორჟოლიანმა** (100). ჩვენები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მხოლოდ მასპინძლებს ჩამორჩნენ. აღსანიშნავია, რომ ხერგიანის ვერცხლამდე ფრანგებიც გვისწრებდნენ.

12

ნესტორ ხერგიანი

წინაც არაერთი წარმატებაა!

2007 წლის სექტემბერი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული ძიუდოსა და სპორტის ისტორიაში. რიო დე ჟანეიროში გამართულ მსოფლიოს 25-ე ჩემპიონატზე საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სპორტის ამ სახეობაში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა, რომელსაც თითო ვერცხლი, ბრინჯაო და ხუთი ოლიმპიური ლიცენზია დაუმატა 138 ქვეყანას შორის მეორე გუნდური ადგილით. მართლაც რომ შთამბეჭდავი წარმატებაა!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და ოლიმპიური ფონდი გულითადად ულოცავენ **ირაკლი ცირეკიძეს** ჩემპიონის ტიტულს, **ნესტორ ხერგიანს** ვერცხლისა და **ლაშა გუჯეჯიანს** ბრინჯაოს მედალს, **ლომერ ჟორჟოლიანსა** და **დავით ქევხიშვილს** კი პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობის უფლების მოპოვებას.

ბრაზილიის მსოფლიო ჩემპიონატზე კარგად წარმოჩნდა ქართველი ძიუდოისტების სპორტული და ინტელექტუალური პოტენციალი, რაც ნამდვილად კარგი განაცხადია სულ რაღაც ათიოდ თვეში ჩინეთში გასამართი ზაფხულის XIX ოლიმპიურ თამაშებზე წარმატების მისაღწევად.

ნაჩვენები შედეგები განპირობებულია ნაკრების მთავარი და სპორტსმენთა პირადი მწვრთნელების მაღალი პროფესიონალიზმით, სამედიცინო პერსონალის, ძიუდოს ფედერაციის, სხვა სპორტული სტრუქტურების ერთობლივი ძალისხმევით. განსაკუთრებით აღვნიშნავთ ნაკრების თავკაცის **შოთა ხაბარელის** განსაკუთრებულ როლს - ის არამარტო თავადაა ოლიმპიური ჩემპიონი, არამედ ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონთა აღმზრდელიცაა.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ საქართველოს ოლიმპიური ფონდის წვლილს ბრაზილიურ წარმატებაში, რომელმაც დაფინანსა ჩვენი ძიუდოისტების მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ყველა ეტაპი და მასში მონაწილეობა.

გვჯერა, რომ ქართველ ძიუდოისტებს წინ კიდევ არაერთი გამარჯვება ელით.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ ტოპმიოლერებთან

ვფიქრობ, ფედერაციასთან კონტრაქტს გავაგრძელებ

კლაუს და როზი ტოპმიოლერები საფეხბურთო და ოჯახურ ჭრილში

ტოპმიოლერები თბილისში პირველი სტუმრობისას. 2006 წლის იანვარი

აზერბაიჯანიდან კლაუს ტოპმიოლერი თბილისში დაბრუნდა. რამდენიმე დღის წინათ საქართველოში მისი მეუღლე როზიც ჩამოფრინდა. ჩვენი ინტერვიუ საფეხბურთოს გარდა, საოჯახო და სხვა საინტერესო თემებსაც მოიცავს. შეხვედრა პარასკევს, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" შედგა.

მას ასე, მოდით, ახლოს გავიცნოთ კლაუს და როზი ტოპმიოლერები. საუბარი საფეხბურთო თემით დავიწყეთ.

- ეროვნული ნაკრების ბოლო ორ მატჩს დღეს როგორ იხსენებთ და აანალიზებთ?

- თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ კიევურ მატჩში ბევრად უკეთესი კონტინგენტი გვყავდა. 8 სექტემბერს კი, ტრავმების გამო, არაერთი ფეხბურთელი გამოგვაკლდა. შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ ორი ახალი ფეხბურთელი, ლევან ყენია და დიმიტრი ტატანაშვილი გამოვცადე.

რაც შეეხება ბაქოში გამართულ მატჩს, აზერბაიჯანის ნაკრებთან ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებს მივეცი თავის გამოჩენის შესაძლებლობა და, ვფიქრობ, ამ ახალწვეულებმა ეს შანსი მეტ-ნაკლებად გამოიყენეს. ზოგიერთს უკვე შეუძლია ნაკრების სტაჟიან წევრებს კონკურენცია გაუწიოს.

- თქვენი ჩანაფიქრი ცხადია, ნაკრებში კონკურენციის გაზრდა გსურთ, გინდათ, ერთ პოზიციაზე ორი ფეხბურთელი გყავდეთ?

- დიახ, სწორედ ეს მაქვს ჩაფიქრებული. სამწუხაროდ, ტრავმებისა და დისკვალიფიკაციის გამო, ნაკრებს არც თუ იშვიათად აკლდება ხოლმე ფეხბურთელები და ასეთ შემთხვევაში უკვე შეგვეძლება ახლების გამოყენება. ერთი რამ აშკარაა, დაცვაში კალაძე-ასათიანის დუეტი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ან სხვა პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელი რომ გამოგვაკლდეს, შემცველი ხომ უნდა გვყავდეს. ბაქოში ახალმა ფეხბურთელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს და ნელ-ნელა გუნდში პოზიციებსაც გაიმყარებენ.

- ყენიაში ყველა დიდ ტალანტს ხედავს, მაგრამ ზოგი ამტკიცებს ეროვნულში მისი თამაში ნაადრევიაო...

- ყველას აზრი ერთია, ლევან ყენია დიდი მომავლის მოთამაშეა. ის საუკეთესო იყო ჯერ 17, მერე 19 და ბოლოს 21-წლამდელთა ნაკრებებში. ასე რომ, მან დაიმსახურა ეროვნულ გუნდში გამოძახება და შანსი მივეცით კიდეც. მთავარ ნაკრებში მისი თამაში ნაადრევი ნამდვილად არაა. მსგავსი მაგალითები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებებში არაერთია. მეტსაც გეტყვით, ჩემი აზრით, ლევანი მომავალ შესარჩევ ციკლში უკვე ნაკრების წამყვანი ფიგურა უნდა გახდეს. საამისოდ მას ყველა მონაცემი აქვს.

- სამი მატჩიც და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თქვენი კონტრაქტის პირველი ნაწილი იწურება. შესაბამისად, ორივე მხარის გადასაწყვეტია გაგრძელდება თუ არა ხელშეკრულება. ფედერაციის ხელმძღვანელებთან ამ საკითხზე თუ გქონდათ საუბარი?

- ამ თემას ნოდარ ახალკაცთან და გიორგი გაბაშვილთან ერთად შევეხეთ. საქართველოს ნაკრები როცა ჩავიბარე, ჯერ კიდევ მაშინ ვთქვი, რომ ეს ჩემთვის დიდი გამოწვევა იყო. ახლაც ამ აზრზე ვარ. ეროვნულ ნაკრებში ახალი გუნდის შენების პროცესი დაწყებულია და ამ საქმისადმი ახლა მეტი აზარტი და ინტერესი გამაჩნია. რამდენადაც ვიცი, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და სპორტის მინისტრიც ასე ფიქრობენ. ერთი სიტყვით, ოქტომბერში თუ არა ნოემბერში დავსხდებით, ამაზე ვიმსჯელებთ და, ვფიქრობ, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

- შევძლებთ ჯგუფის ლიდერ შოტლანდიასაც დავაკარგვინოთ ქულები?

- უკრანასთან ფრე ქართველი ქომაგების გარდა იტალიაშიც ძალიან გაეხარდათ. შოტლანდიამდე იტალიაში გვაქვს გასვლითი მატჩი და იქაც სასურველი შედეგისთვის ვიბრძოლებთ. მსოფლიო ჩემპიონებს კარგი გუნდი ჰყავთ და, სავარაუდოდ, ისინი მაინც მოახერხებენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას. რაც შეეხება შოტლანდიასთან მატჩს, რა თქმა უნდა, მოგებისთვის ვიბრძოლებთ და თუ წამყვანი ფეხბურთელები არ დაგვაკლდება, ამას შევძლებთ კიდეც. შინ შოტლანდიის ძლევა ჩვენს შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება.

- ნაკრებმა ყველა შეხვედრაში ქულათა მაქსიმუმისთვის უნდა იბრძოლოს. რეალურად რომ ვიმსჯელოთ, დარჩენილ სამ მატჩში რამდენ ქულის მოპოვება შეგვიძლია?

- იტალია მსოფლიო ჩემპიონია, მით უმეტეს, ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძვის და შინ ძნელად თუ დაკარგავს ქულებს. ლიტვის ძლევა თბილისში უნდა მოვახერხოთ. შოტლანდიის დამაცხებაც შეგვიძლია, მაგრამ ვნახოთ რა კონტინგენტი გვეყოლება.

- ბაქოში რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოცადეთ. თქვენს მონახაზში კიდევ თუ არიან სხვა მოთამაშეები, რომელთაც ეროვნულ გუნდში მიეცემათ შანსი. მაგალითად, სანდრო იაშვილი და ჩვენს ჩემპიონატში მოასპარეზე სხვა გამორჩეული ფეხბურთელები?

- სანდრო იაშვილის შესაძლებლობები კარგად ვიცი. ვფიქრობ, "თუნში" ის კიდევ უფრო მეტად დახვეწს თამაშს. ნაკრების კარი მისთვისაც ღიაა, მაგრამ "თუნის" ძირითად შემადგენლობაში ჯერ არ უწევს თამაში. ის არის ჩემი თვალთახედვის არეში, ისევე როგორც სხვები.

- რას იტყოდით გიორგი ფოფხაძეზე. მერებაშვილი და კობახიძე კი გამოიძახეთ, მაგრამ მათ ახალგაზრდულ ნაკრებში მოუწიათ თამაში...

- ფოფხაძემ ყაზახეთთან კარგად ითამაშა და ეროვნულ გუნდში მისი მოსინჯვა შეიძლება. ახალგაზრდულიდან ეროვნულში ფეხბურთელების გადაყვანის პროცესს ეტაპობრივად წარმართავთ და ყველა თავის შანსს უნდა ელოდოს. 21-წლამდელებში გამორჩეულები არიან კობახიძე და მერებაშვილი. კობახიძეს ჩვენს ნაკრებში ნათამაშებიც აქვს, მერებაშვილი შეკრებაზე ადრეც დავიმატეთ. ასე რომ, ნელ-ნელა მათი დროც მოვა.

- ნაკრების შენებისთვის ზამთარში კვიპროსზე გასამართ საერთაშორისო ტურნირს ხომ არ გამოიყენებთ?

- დია, ეს ჩვენს გეგმებშია. თებერვალში კვიპროსზე გავემგზავრებით. იქ სამი თამაში მაინც მოგვიწევს, მაგრამ მხოლოდ ერთი მატჩი ემთხვევა ფიფას მიერ გამოყოფილ დღეებს და იმ შეხვედრას ძლიერი შემადგენლობით ჩავატარებთ. დანარჩენ მატჩებში კი ახალწვეულებს გამოვცდით. გაისად სექტემბერში ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყება და დარჩენილ დროში რაც შეიძლება მეტი მატჩი უნდა ჩავატაროთ.

- გაზაფხულზე თქვით, საქართველოს ნაკრები 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონატზე იასპარეზებსო. ისევ ამ აზრზე ხართ?

- დიახ, რატომაც არა? ბუნებრივია, წილისყრის შედეგებზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ამ შესარჩევ ციკლშიც ბევრია სენსაციები და მოულოდნელი შედეგები. ასე რომ, ჩვენც შეგვიძლია სენსაციის ავტორები გავხდეთ.

- ლუქსემბურგის მატჩის მონაწილეთაგან რამდენიმე უკრაინასთან აღარ გამოიძახეთ. მათ რა ბედი ელით?

- მუჯირი, ბურდული, კვირველია და სხვები კარგი ფეხბურთელები არიან, მაგრამ ნაკრებში თამაშისას ეპიზოდურად კი არა, 90 წუთის განმავლობაში უნდა იყო მობილიზებული. ბოლო მატჩებში ამ ფეხბურთელთა არგამოძახებით მათ, ასე ვთქვათ, მესიჯი გავუგზავნე, რომ მეტი მობილიზებაა საჭირო, თორემ მათზე ხელი ნამდვილად არ ამიღია. არავინაა ჩემგან შერისხული. მათ კიდევ მიეცემათ ნაკრებში თამაშის შესაძლებლობა, თანაც არაერთხელ. უბრალოდ უნდა იცოდნენ, რომ უკვე არიან ახალი ფეხბურთელები, რომლებსაც შეუძლიათ ჯანსაღი კონკურენციის განევა.

- კვირკველიას ინგლისურ "სანდერლენდში" გადასვლის ვარიანტი ჰქონდა, მაგრამ ამჯერად ეს ტრანსფერი არ შედგა...

- ბუნებრივია, ნაკრების მწვრთნელისთვის უმჯობესია, მისი ფეხბურთელები რაც უფრო უკეთეს კლუბებში ითამაშებენ. შესაბამისად, ძალიან გამეხარდებოდა კვირკველია "სანდერლენდში" რომ ჩარიცხულიყო. იმედია, დათო ზამთარში მაინც მოახერხებს ამას.

- კიდევ ერთი პრობლემა, ეროვნულ ნაკრებს ორი უკლუბო ფეხბურთელი ჰყავს, მეკარე გიორგი ლომაია და ნახევარმცველი ლევან ცქიტიშვილი...

- ორივე მოთამაშე ნაკრების საკვანძო ფიგურაა. თუმცა სატრანსფერო პერიოდი დასრულებულია და ... ცქიტიშვილის თაობაზე ვერაფერს გეტყვით, შესაძლოა ევროპასაც კი მიაშუროს. რაც შეეხება გიორგი ლომაიას, მან დროებით "ვიტ ჯორჯიაშიც" შეიძლება ითამაშოს.

- გერმანულ კლუბების ინტერესებში თუ არიან ჩვენი ნაკრების წევრები?

- ალბათ არიან კიდეც. ყოველ შემთხვევაში გერმანელი მწვრთნელები მიკავშირდებიან ხოლმე და აზრს მეკითხებიან ამა თუ იმ ფეხბურთელის შესახებ. ასე დამიკავშირდა "შტურმი" და აზრი მკითხა გიორგი შაშიაშვილზე. შედეგად გიორგი ავსტრიაში გადავიდა. თურქული "ანკარაგიუჯუდან" დამიკავშირდნენ და ელიავაზე მკითხეს. ვესაუბრე და ვნახოთ, შესალოა, ზამთარში ეს ტრანსფერიც შედგეს.

- ფეხბურთის ქომაგები ამბობენ კლაუს ტოპმიოლერი საქართველოში საკმარის დროს არ ატარებსო.

- ასე ნამდვილად არაა საქმე. გაზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველოში ხშირად ვარ და ეროვნული ჩემპიონატის მატჩებსაც ვესწრები. სხვა პერიოდში კი ლეგიონერებსა და ჩვენი ასაკობრივი ნაკრებების თამაშებზე დავდივარ. თუნდაც ბოლო პერიოდი ავიღოთ, წინა ტურში 5 თამაში ვნახე. ჩვენი სამწვრთნელო შტაბის წევრი პეტარ სეგრტი მუდმივად საქართველოშია და ისიც საკმაო ინფორმაციას მაწვდის.

- ფეხბურთის გარდა რით ხართ დაკავებული?

- სხვა არაფრით, ფეხბურთი და ოჯახი, ესაა ჩემი ცხოვრება.

- როდის დაოჯახდით?

- მე და როზი 30 წლის წინათ შევუღლდით, მაშინ ჯერ კიდევ ვთამაშობდი ფეხბურთს... ეჰ, მაშინ კარგი დრო იყო, ახალგაზრდა ვიყავი...

- როზი სად გაიცანით?

- ჩვენ პირველად ერთმანეთს 1975 წელს ტრარში, დისკოთეკაზე შევხვდით. იქიდან დაიწყო ჩვენი ურთიერთობა. ორი წლის შემდეგ კი შევუღლდით კიდეც.

- როზის შვილებზე ვკითხავ...

რ. ტ. - უფროსი შვილი დინო ტოპმიოლერი მეორე ბუნდესლიგაში ასპარეზობს, პროფესიონალი ფეხბურთელია. უმცროსი ტომი, რომლის მეორე სახელი ნიკოლასია, გერმანიაში უმაღლეს სკოლას ამთავრებს. ქალიშვილიც გვყავს სარანინა. ის ადრე მომღერალი იყო, მაგრამ საბანკო განათლება აქვს და ბანკში დაიწყო მუშაობა.

- დინო იტალიური სახელია. უცხოურ სახელს კი გერმანელები, თანაც უფროს შვილს, ტყუილად არ არქმევთ...

რ. ტ. - დიახ დინო იტალიური სახელია. უფროს ვაჟს ეს სახელი კლაუსმა შეურჩია ლეგენდარული იტალიელის დინო ძოფის პატივსაცემად.

ჯერჯერობით მხოლოდ ისაა დაოჯახებული, 6 თვის შვილი ჰყავს.

- სარანინამ რატომ მიატოვა სცენა?

რ. ტ. – სამწუხაროდ ის იძულებული გახდა ეს გადაწყვეტილება მიეღო. შტუტგარტში რთული ოპერაცია გაუკეთეს ხერხემალზე. ის ახლაც მკურნალობს. ჩვენი ოჯახისთვის ეს იოლი ნამდვილად არ იყო. სარანინა ახლა უკეთაა და მალე ბოლომდე გამოჯანმრთელდება.

- საინტერესოა, რა გვარია ჩვენი საფეხბურთო პირველი ლედი...

რ. ტ. - როზი კლიმენტი გახლავართ.

- რა პროფესიის ბრძანდებით?

რ. ტ. - ჩემი პროფესია ჩემი ოჯახი და ოჯახში საქმიანობაა. სამი შვილი მყავს. ახლახან ბებიაც გავხდი. ასე რომ, საქმე არ მელევა...

- საქართველოში მეორედ ხართ. რა წარმოდგენა გაქვთ ჩვენს ქვეყანაზე?

რ. ტ. - თბილისში პირველად წლინახევრის წინათ გახლდით. ახლა უფრო დამშვენებულია თქვენი დედაქალაქი. საქართველო კი ჩემს წარმოდგენაში კეთილშობილი, მოსიყვარულე, გულღია და სტუმართმოყვარე ადამიანების სამშობლოა. აქ ყველგან იგრძნობა სითბო, ქალაქშიც და ადამიანთა გულებშიც... სხვათა შორის, ძალიან მომეწონა ძველი თბილისი. იქ დიდი ისტორიაა ჩაბეული.

პირველი ჩამოსვლისას დრო მცირე მქონდა, მაშინ კლაუსი საქართველოს ეროვნულ ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა და ჩვენი პროგრამაც დატვირთული იყო, უამრავი შეხვედრა გვქონდა. ახლა მეტი თავისუფალი დრო მექნება და უფრო დეტალურად დავათვალიერებ თბილისს. მინდა საქართველოს სხვა ქალაქებიც ვნახო და ამას ახლა თუ ვერა, მომავალში მაინც შევძლებ.

დავით ცაბაძე

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

ეროვნული ჩემპიონატი
www.pfl.ge

საქართველოს ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა. V ტური. მიმოხილვა
www.pfl.ge

დიდი შემობრუნება

V ტური

14 სექტემბერი. პარასკევი	
ლოკომოტივი-მგლები	0:1
დილა-ზესტაფონი	1:2
სიონი-ვიტ ჯორჯია	3:1
ოლიმპი-მესხეთი	0:0

15 სექტემბერი. შაბათი	
სპარტაკი-დინამო	0:3
მერანი-ბათუმი	2:1
ბორჯომი-ამერი	3:0

საფეხურნირო მდგომარეობა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ზესტაფონი	5	4	1	0	12-2	13
2. დინამო	4	4	0	0	10-1	12
3. მესხეთი	5	3	1	1	6-4	10
4. ვიტ ჯორჯია	5	3	1	1	6-5	10
5. მგლები	5	3	0	2	4-3	9
6. ბორჯომი	5	2	2	1	6-3	8
7. სიონი	4	2	1	1	5-4	7
8. ოლიმპი	5	2	1	2	3-4	7
9. ამერი	5	2	0	3	6-8	6
10. სპარტაკი	5	1	2	2	2-6	5
11. დილა	5	1	0	4	4-8	3
12. მერანი	5	1	0	4	2-7	3
13. ლოკომოტივი	5	1	0	4	4-11	3
14. ბათუმი	5	0	1	4	2-6	1


შექმნილმა მდგომარეობამ გიორგი ჩიხრაძე გვარიანად დააფიქრა

ტურის მოვლენა, ანუ... "ეროვნული" ტოპი

ზედიზედ მეორე შემთხვევაა, როცა ტურის მთავარ მოვლენად ჩვენს სტადიონებზე **კლაუს ტოპმიოლერის** გახშირებულ ვიზიტებს ვასახელებთ. არადა, გახსოვთ, წინა სეზონში როგორ იყო? როგორ და "ტოპი" მაინცადამაინც არ სწყალობდა ეროვნულ ჩემპიონატს და მთელი სეზონის განმავლობაში ზესტაფონში (რამდენჯერმე) და ერთი-ორ გადამწყვეტ მატჩზე ("ოლიმპი"-"დინამო") თუ შეივლიდა. ეგ კი არა, ზედიზედ ორი წლის განმავლობაში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზაფხულში აქ არ ყოფილა. არადა, ამ დროს ხომ ჩვენი გუნდები ევროტურნირებზე ასპარეზობდნენ, თუმცა ტოპმიოლერს, ეტყობა, საამისოდ დრო არ ჰქონდა. მაგრამ სიტუაცია საპირისპიროდ შეიცვალა და ჩვენი ნაკრების გერმანელი მწვრთნელი თამაშს აღარ აცდენს! წინა ტურში კი სულაც ოთხ მატჩს დაესწრო! ჰოდა, ამიტომაც არ იყო გასაკვირი, რომ უკრაინასთან და აზერბაიჯანთან შეხვედრებში ჩვენი ნაკრების მაისური საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ერთდროულად შვიდმა ფეხბურთელმა (**ალექსანდრე კვახაძე, დავით ლომაია, დიმიტრი ტატანაშვილი, გიორგი დეკანოსიძე, დავით ბოლქვაძე, გრიგოლ დოლიძე, ლევან ყენია**) მოირგო. ეგ კი არა, აზერბაიჯანიდან ჩამოსვლის მეორე დღეს "ტოპი" ჯერ რუსთავში იყო და "ოლიმპი"-"მესხეთის" უღიმღამო თამაშს ესწრებოდა, მერე კი "მერანი"-"ბათუმის" მატჩის ხილვაც ინება. ვერაფერს ვიტყვით, კარგი ამბავია და ჩვენ ჩემპიონატში მოასპარეზე ფეხბურთელებსაც დამატებითი სტიმული გამოუჩნდათ. ეგ კი არა, სულ ცოტა ხნის წინ უნიკალური მოვლენის მომსწრენიც გავხდით - საქართველოს ნაკრებში ჯერ 16 წლის ლევან ყენიას ჰქონდა დებიუტი, მერე კი ლამის მის თანატოლ **გიორგი მაკარიძეს**. ყენიას ნიჭზე და მონაცემებზე ადრეც ბევრჯერ გვისაუბრია და ისიც ყველას კარგად მეხსენება, რომ ეს ჭაბუკი ფეხბურთელი "ლოკომოტივის" უდავო ლიდერია. აი, ასევე ერთობ პერსპექტიული მაკარიძე კი თავის გუნდში... მეოთხე (!) მეკარედ ითვლება და "დინამოს" ძირითადში კი არა, "დინამო2-ში" დასამკვიდრებლადაც დიდი ჯაფა მოუნევს.

გრანდების მსხვრევა

ჯერ ადრეა დასკვნების გამოტანა და მთავარი ბრძოლებიც წინ არის, მაგრამ ერთ რამეს ვერ ვუარყოფთ: წლევანდელი ჩემპიონატი უაღრესად საინტერესოდ და მოულოდნელი სცენარით მიმდინარეობს. მოკლედ, ინტრიგა არის და გულშემატკივარსაც ეს ახარებს. ჯერ ის ვთქვათ, რომ იშვიათია შემთხვევა, როცა გამარჯვებული წინასწარ არის ცნობილი. ანუ, ტური არ გავა, ერთი-ორი სიურპრიზი რომ არ მოხდეს. ახლაც, ბოლო ტურში მხოლოდ "ზესტაფონმა" და "დინამომ" შეძლეს თავიანთი კლასის დამტკიცება. დანარჩენ შემთხვევებში კი ყველაფერი თავდაყირა დადგა! პირველ ყოვლისა, უმაღლესი ლიგის დებიუტანტების წარმატებული თამაში უნდა აღვნიშნოთ: "მესხეთმა" და "მგლებმა" ისეთი სტარტი აიღეს, ყველას რომ მიანიშნეს - უძლიერესთა შორის დარჩენას დიდხანს ვაპირებთო; ჰოდა, ორივე გუნდი რომ ხუთეულშია(!), არც უნდა გაგვიკვირდეს. ახლაც, "მესხეთმა" სტუმრად მოქმედ ჩემპიონ "ოლიმპთან" ფრედ ითამაშა, "მგლებმა" კი ასევე სტუმრად "ლოკომოტივს" მოუგო. არადა, "ლოკომოტივმა" სეზონი ხმაურიანი გამარჯვებით ("ამერთან") დაიწყო და მას მერე... ოთხი თამაში წააგო ზედიზედ. და მაინც მეხუთე ტურის ორი მთავარი სენსაცია "ვიტ ჯორჯიასა" და "ამერის" წაგებები იყო. **ნესტორ მუმლაძის** გუნდი ამ ტურამდე წაუგებლად მიდიოდა, მაგრამ ბოლნისში "ვეტერინარები" უშანსოდ იყვნენ - "სიონმა" ფავორიტი მეტოქე ყველა კომპონენტში დაჩაგრა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. აშკარაა, რომ "სიონს" მწვრთნელის შეცვლა მოუხდა - **გიორგი ყიფშიძემ** ძირითად შემადგენლობაში ის ფეხბურთელები დააბრუნა, ვინც თამაშს იმსახურებდნენ (**ჩასემი, ბოიომო, კვიტაიშვილი**) და შედეგმაც არ დაახანა.

და ბოლოს, ტურის და, საერთოდ, ახალი სეზონის მთავარ მოულოდნელობაზე. ჩემპიონატის ერთ-ერთი უმთავრეს ფავორიტ "ამერს" რომ ხუთი ტურის მერე სამი წაგება ექნებოდა, ამას ვინ იფიქრებდა? **გიორგი ჩიხრაძის** გუნდს არც ფინანსურად უჭირს, უცხოური შეკრებაც გაიარა, შემადგენლობაც სოლიდურზე მეტი ჰყავს, მაგრამ... ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ "ამერს" "დინამოსთან", "ვიტ ჯორჯიასთან" და "ზესტაფონთან" ჯერ არ უთამაშია (პლუს ორი ურთულესი გასვლა ახალციხესა და ზუგდიდში), ჰოდა, ქულების ასე განიავება ამბიციურ გუნდს შესაძლოა ძვირად დაუჯდეს.

აი, "ბორჯომმა" კიდევ ერთხელ გაგვაოცა! უფრო ზუსტად, მისმა მწვრთნელმა **ვლადიმერ ხაჩიძემ**. თითქმის ყველა სეზონის წინ ეს კაცი ლამის ჩემპიონატის წინ აკომპლექტებს ისეთ გუნდს, რომ მერე ბორჯომიდან ქულის წამოღებაც ყველას სანატელი აქვს (ერთი გუნდის გარდა). თანაც, "ბორჯომი" განსაკუთრებული მოტივაციით ფავორიტებთან თამაშობს (ისევ იმ ერთი გუნდის გარდა)...

გია ტუხაშვილი

V ტურის სიმბოლური ნაკრები

საქართველოს ჩემპიონატი. მე-2 ტურის გამოტოვებული მატჩი

დინამო ლიდერობისთვის ემზადება

დინამო-სიონი

18 სექტემბერი. თბილისი.
ეროვნული. 16:00

სავარაუდო შემადგენლობები

დინამო: ოვონო, შ. კაშია, ზელიჩი (გ. კაშია), კრშკო, დობეში, ფეიქრიშვილი, გ. მერებაშვილი, ხმალაძე, დიღმელაშვილი, ხუციშვილი, აკირემი (სპასოევიჩი)

სიონი: გ. იაშვილი, ოქროპირიძე, ბოიომო, სვანიძე, ვაშაკიძე, ქურასბედიანი, სანიკიძე, ბაჯელიძე, კვიტაიშვილი, ნადირაძე, ჩასემი

დისკვალიფიკაცია: რაქვიაშვილი

არბიტრი: ლ. სილაგავა

დუშან უჰრინი (დინამო): *"საკმაოდ ძლიერ მეტოქესთან გვაქვს საქმე. წინა ტურში "სიონმა" ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ "ვიტ ჯორჯიას" დამაჯერებლად სძლია და დარწმუნებული ვარ, "დინამოსაც" სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევს. თუმცა ჩვენ მხოლოდ გამარჯვება დაგვაკმაყოფილებს, იმედია, ცხრილის სათავეში მოვექცევით. ოდიკაძე და კობახიძე უკვე მწყობრში არიან, ზელიჩისა და აკირემის თამაში კი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა".*

გიორგი ყიფშიძე (სიონი): *"საქართველოს ყველაზე ტიტულოვან გუნდს ვეთამაშებით და ამით ყველაფერია ნათქვამი. სამწუხაროდ, მატჩს საკადრო პრობლემებით ვხვდებით. რაქვიაშვილი დისკვალიფიცირებულია, ევოჩეს თამაში გამორიცხულია, ვაშაკიძის, სანიკიძისა და კვიციანის მოედანზე გასვლა კი საეჭვოა. მოკლე სათადარიგოთა სკამი გვაქვს და ამის გამო, ფეხბურთელები გადაღლილები არიან. თანაც, მიჯრით გვიწევს ჩემპიონატის ლიდერებთან თამაში. ყოველივე ამის მიუხედავად, "დინამოსთან" ბრძოლაში წარმატების პატარა შანსი მაინც გვაქვს და შევეცდებით, შეხვედრა ჩვენთვის სასურველი შედეგით დავასრულოთ".*

გიორგი ლომაია ვიტ ჯორჯიაში მივიდა

საქართველოს ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაია** გუშინ, თბილისის "ვიტ ჯორჯიაში" მივიდა და ივარჯიშა.

ცხადია,ამ ფაქტით დავინტერესდით და ვიკითხეთ, დაიწყებს თუ არა ლომაია ამ გუნდში თამაშს. კლუბში გვითხრეს, რომ ლომაიას თავად უთხოვია " ვარჯიში და მოლაპარაკება მისი თამაშის შესახებ არც კი გამართულა.

ნაკრების მეკარეს ადრეც უვარჯიშია "ვიტ ჯორჯიაში" და მაშინაც არ დამდგარა მისი ამ გუნდში ჩარიცხვის საკითხი. ვიტელთა შორის უკვე არის ერთი ლომაია - მცველი დავითი გიორგის ძმაა.

ჩვენი ეროვნული გუნდის მეკარემ წლეულს ორი გუნდი უკვე გამოიცვალა - "კარლ ცაისი" და "კარპატი" და სატრანსფერო წესების თანახმად, წლის განმავლობაში მაქსიმუმ სამ გუნდში შეუძლია თამაში, ანუ თუ ახლა გიორგი ლომაია "ვიტ ჯორჯიაში" გადავა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაში სხვა გუნდში ვეღარ მოეწყობა და მომავალ ზაფხულამდე მოუწევს მოცდა.

დავით თავართქილაძე

www.kazbegi.com

გაზეთი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ცანკერი და მისი შეგირდები დღეს პორტუგალიას ეთამაშებიან

U17. ამხანაგური მატჩები

დღეს პორტუგალიასთან

ცანკერს ტოპმიოლერიც შეუერთდა

დღეს საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები პორტუგალიაში პირველ ამხანაგურ მატჩს გამართავს ამ ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრებთან. **ჰერბერტ ცანკერის** გუნდი პორტუგალიაში, ქალაქ სანტარემშია დაბინავებული. გუშინწინ ცანკერმა ერთხელ ავარჯიშა შეგირდები, გუშინ კი ორი ვარჯიში ჩაატარა. გუშინვე ქართულ დელეგაციას ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი სრული შემადგენლობით შეუერთდა.

ჩვენი ნაკრების შემადგენლობა დღევანდელი მატჩისთვის ასეთია:

მეკარეები: 1. **დავით მეფარიძე (გაგრა), 12. თორნიკე ნიორაძე (დინამო).**

მცველები: 2. **დათა რიგვავა, 5. დიმიტრი პაჭკორია (ორივე ოლიმპი), 3. ბაქარ მირცხულავა (ტორპედო), 4. თორნიკე კაკუბავა (დინამო), 6. ზვიად რობაქიძე (ოლიმპიკი).**

ნახევარმცველები: 7. **ნიკა ძალამიძე (ბაია), 8. ლუკა გუგუჩია, 9. ნიკა შონია, 13. გიორგი გორდეზიანი, 17. გიორგი გურეშიძე (ყველა ოლიმპი), 14. გიგა მელიქიშვილი (კახეთი), 16. ჯანო ანანიძე (დინამო კ. უკრაინა), 18. ერეკლე კაჭახიძე (ლოკომოტივი).**

თავდამსხმელები: 10. **ირაკლი შეყილაძე, 15. დავით რაფავა (ორივე ბაია), 11. ლეგა მუმლაძე (ოლიმპი).**

მეორე მატჩს პორტუგალიელებთან ჩვენი ჭაბუკები 20 სექტემბერს გამართავენ. პირენეებიდან ჩვენი ჭაბუკები ბულგარეთს გაეგზავრებიან, სადაც ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ციკლში ჩვენი ჯგუფის მატჩები გაიმართება. პორტუგალიიდან **კლაუს ტოპმიოლერი** რუმინეთში გაემგზავრება, სადაც ჩვენი 19-წლამდელების ორ ამხანაგურ მატჩს (თამაშები 24 და 26 სექტემბერს გაიმართება) დაესწრება რუმინელ თანატოლებთან. ბულგარეთში კი ჰერბერტ ცანკერის გუნდს **რალფ მინგე** და პეტარ სეგრტი გაჰყვებიან.

დავით ცაბაძე

ამერში გუშინ კრება ჩატარდა

გიორგი ჩიხრაძე: შიდა სამზარეულოდან ამბებს არ გამოვიტანთ

ორი მოგება, სამი წაგება - ასე დაიწყო ეროვნული ჩემპიონატი საქართველოს ერთ-ერთმა მოწინავე გუნდმა თბილისის "ამერმა" და თოთხმეტგუნდა უმაღლეს ლიგაში ახლა მე-9 ადგილზეა.

"ამერის" ასეთი სტარტი მართლაც მოულოდნელია - უეფას თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე პენალტების სერიაში წაგო პოლონეთის ვიცე-ჩემპიონ "ბელხატოვთან", ახლახან კი ოთხი ამერელი **კლაუს ტოპმიოლერმა** ეროვნულ ნაკრებში გამოიძახა. ერთი სიტყვით, თითქოს ყველაფერი რიგზე აქვს "ამერს", მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში ძალიან ჭაკობს, ბოლო ტურში სულაც 0:3 დამარცხდა სტუმრად "ბორჯომთან".

რა ხდება "ამერში"? ამ კითხვით დავიწყეთ საუბარი ამერელთა მთავარ მწვრთნელ **გიორგი ჩიხრაძესთან**.

- ჩემპიონატი წაგებით დავიწყეთ და ცუდი სიტუაციიდან ვერ გამოვედით. ფაქტი სახეზეა - "ამერში" პრობლემაა.

- და რა პრობლემა აქვს "ამერს"?

- ვფიქრობ, გუნდის შიდა სამზარეულოზე ლაპარაკი აუცილებელი არ არის.

- ყველაფერს უფრო მაინც ფსიქოლოგიურ ფაქტორს უკავშირებთ?

- ალბათ არის ფსიქოლოგიური ფაქტორიც. ჩემპიონატი კარგად რომ დაგვეწყო, უფრო გაგვიადვილდებოდა საქმე. დღეს კრება გვქონდა, რომელსაც ჩვენი პრეზიდენტიც დაესწრო და პრობლემებზე ვილაპარაკეთ.

- "ბორჯომთან" მარცხი იმანაც ხომ არ გამოიწვია, რომ "ამერის" ოთხი ფეხბურთელი ნაკრებში იყო გამოძახებული?

- არავითარ შემთხვევაში, ნაკრების ფეხბურთელები დანარჩენ ამერელებზე უარესად არ გამოიყურებოდნენ.

- "ამერს" სტაბილური შემადგენლობა ჰყავს, ფეხბურთელთა როტაციას თითქმის არ მიმართავთ და ალბათ დიდი კონკურენციაც არ არის "ამერში"...

- "ამერის" თერთმეტეული იცვლება ხოლმე და ფეხბურთელები კონკურენციას არ გრძნობენო, ასე არ არის. მკვეთრ ცვლილებებს კი მართლა ვერიდებით, შემადგენლობა მნიშვნელოვნად რომ შევცვალოთ, ეს შესაძლოა უარესად შემოგვიტრიალდეს.

- უკვე საკმაოდ ბევრი, გაუთვალისწინებელი ქულები დავკარგეთ და "ამერი" ალბათ უფრო თასის მესამედ მოპოვებაზე იზრუნებს, ვიდრე ჩემპიონობისთვის...

- მართლაც ბევრი ქულა დავკარგეთ და ძალიან გაგვირთულდა მდგომარეობა, მაგრამ ჩემპიონატზე ხელი არ ჩაგვიქნევია. ვეცდებით, ჩვენს შანსს ჩავებღაუჭოთ.

- მომდევნო ტურებში "მერანს" და "სპარტაკს" ხვდებით, მერე "დინამოს" და ალბათ, "დინამოსთან" თამაში კარგად გამოაჩენს "ამერის" ძალას...

- ამ თამაშებში გაცილებით უკეთეს ხარისხს და შედეგს ველით, ყველანაირად ვეცდებით, "დინამოსთან" თამაშისთვის კარგ ფორმაში ვიყოთ.

დავით თავართქილაძე

საქართველოს თასი. ჯგუფური ეტაპი. I ტური. წინათქმა

მერვედფინალი ექვს მოქმედებად

თასის გათამაშების მთავარი ბრძოლები დღეიდან იწყება. ოთხ ჯგუფად დაყოფილი მერვედფინალისტები მთელი შემოდგომის განმავლობაში გაარკვევენ მომდევნო ეტაპზე გასულთა ვინაობას. ჯგუფური რაუნდის პირველი ტური სრულყოფილი არ იქნება. "დინამოსა" და "მაღაროელის" მატჩი 26 სექტემბრისთვისაა გადატანილი.

I ჯგუფი

ამერი-ტორპედო
18 სექტემბერი. თბილისი.
ამერი. 16:00
არბიტრი: ა. კრიჭაშვილი

მესხეთი-სპარტაკი
18 სექტემბერი. ახალციხე.
მ. იაძე. 16:00
დისკვალიფიკაცია: თარხნიშვილი (სპარტაკი)
არბიტრი: გ. კიკაჩეიშვილი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ "ამერის" საევროპე შანსი კვლავ თასის მოპოვება იქნება. გლდანში ურიგო სანახაობას არ უნდა ველოდოთ, ვინძლო თასის მფლობელს პირველ ლიგაში დაქვეითებული "ტორპედოც" გაუძალიანდეს. ახალციხური მატჩიც პრინციპულია, ერთი შეხედვით, მეოთხედფინალის მეორე საგზურისთვის "მესხეთმა" და "სპარტაკმა" უნდა იბრძოლონ.

II ჯგუფი

ვიტ ჯორჯია-ლოკომოტივი
18 სექტემბერი. მცხეთა.
არმაზი. 16:00
დისკვალიფიკაცია: მიქაძე, მიგინეიშვილი (ორივე ლოკომოტივი)
არბიტრი: გ. ვადაჭკორია

ვეტერინარები ღიად აცხადებენ, რომ ამ სეზონში თასი მათ პრიორიტეტებში შედის. შესაბამისად, "ვიტ ჯორჯიისგან" ყველა სათასო შეხვედრაში ბოლომდე დახარჯვას უნდა ველოდოთ.

III ჯგუფი

ოლიმპი-მერანი
18 სექტემბერი. რუსთავი.
ფოლადი. 16:00
დისკვალიფიკაცია: მერლანი, რ. ჯიქია (ორივე ოლიმპი)
არბიტრი: ო. ხეცაძე

გორჯომი-გათუმი
18 სექტემბერი. გორჯომი.
ჯ. ზეინკლიშვილი. 16:00
არბიტრი: დ. ხარიტონაშვილი

ალბათ, ეს ჯგუფი ყველაზე თანაბარძალოვანია. აქედან გამომდინარე, თითოეული ქულა აქ განსაკუთრენულად დაფასდება. "მერანმა" პირველი საჩემპიონატო გამარჯვება შაბათს იზეიმა და ვინძლო, არც რუსთავიდან დაბრუნდეს ხელცარიელი. მეორე წყვილში უდავო ფავორიტად "ბორჯომი" უნდა მივიჩნიოთ, ოღონდ თავს ვერ დავდებთ, რომ "ამერის" ძლევის შემდეგ, სამცხელები "ბათუმთან" ბოლომდე დაიხარჯებიან.

IV ჯგუფი

ზესტაფონი-კახეთი
18 სექტემბერი. ზესტაფონი. ცენტრალური. 16:00
არბიტრი: პ. დოგრაშვილი

მგლები-დილა
18 სექტემბერი. ზუგდიდი.
ცენტრალური. 16:00
არბიტრი: მ. ბეუქლიშვილი

"ზესტაფონი" "კახეთს" ალბათ, იოლად სძლევს, ზუგდიდში კი უფრო დაძაბული მატჩია მოსალოდნელი. ძნელი წარმოსადგენია, კახელებმა მეოთხედფინალისთვის ბრძოლა შეძლონ. მეორე საგზურს ალბათ, "მგლები" და "დილა" გაითამაშებენ.

ჩემპიონატში ცუდად მოთამაშე ამერი, დღეს თასისთვის დაიწყებს ბრძოლას

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 355 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უსაფრთხო მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაადგილებისას გაუცხელებლად

სატელეფონო საუბრების წამობრივი ანრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 350 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

www.kazbegi.com

გაზეთი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

უკრაინის უპირველესი კლუბი ქართველს ჩააბარეს

ჭოხონელიძის ფორმულა: რუსეთში გაზრდილები არ გვჭირდება

რევაზ ჭოხონელიძე და იგორ სურკისი

"მილანის" ქართველმა სელექციონერმა **რეზო ჭოხონელიძემ** ინტერნეტ-გაზეთ "სპორტსდეისთან" საუბრით რუსებს გული გაუხეთქა, თქვენი პრემიერლიგა იმ დონის არაა, რამხელა ხელფასებსაც ამ ლიგის კლუბები ფეხბურთელებს უხდიანო.

"რუსეთში მაღალი კატეგორიის ფეხბურთელები თვეში 200-250 ათას ევროს იღებენ. "ლაციოში" კარგი მოთამაშის ხელფასი 500 ათასია. დანარჩენები 400 ან 300 ათასს იღებენ. თქვენი ფეხბურთელები არ იმსახურებენ იმ თანხას, რასაც იღებენ. მესმის, რომ კლუბების პრეზიდენტები უბრალოდ იძულებულები არიან, ასეთი რამ გააკეთონ, ძლიერი მოთამაშეების ასაყვანად სხვა გზა არც გაჩნიათ. მე დიდი ხელფასების მომხრე ვარ, მაგრამ მათ ეს ჯილდო უნდა გაამართლონ. რაღა შორს წავიდეთ, კრისტიანო ლუკარელი ფიქრობს, 32 წლის ვარ, იტალიაში 350 ათას ევროს ვიღებ, გავაკეთე ყველაფერი, სერია ა-ს საუკეთესო ბომბარდირი გავხდი, კლუბში ლიდერი ვიყავი, წავალ და ცოტა მეტს გავაკეთებ. ამასთანავე, კლასით ბევრ უკრაინელ მოთამაშეს აღემატება.

არიან ახალგაზრდებიც, რომლებსაც რუსული კლუბები წელიწადში ერთ ან ორ მილიონ ევროს სთავაზობენ, მაგრამ ისინი არ თანხმდებიან და ესპანეთში, იტალიაში, პორტუგალიასა და საფრანგეთში უფრო დაბალ გასამრჯელოზე თამაშობენ. რუსული კლუბები უზარმაზარ თანხებს იხდიან, მაგრამ თქვენთან რატომ არ მოდიან რონალდო, შევჩენკო, კალაძე, მალდინი? იმიტომ, რომ იმავე თანხას ევროპაშიც მშვიდად მიიღებენ. აქედან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ რუსეთში მათი ოდენობის ხელფასს თუ ვინმეს უხდიან, გაუმართლებელია."

ჭოხონელიძის თქმით, **კახა კალაძესა** და **ანდრეი შევჩენკოს** ევროპასთან აკლიმატიზაციის პრობლემა არ ჰქონიათ, თუმცა გარკვეულმა წინაპირობამ მათ ხელი შეუწყო.

"მათი დიდი პლუსი ის იყო, რომ იტალიაში პატარები გაემგზავრნენ და აქაურობას იოლად შეეჩვივნენ. 26-27 წლის შემდეგ აკლიმატიზაცია გაცილებით გაუჭირდებოდათ, რადგან ამ პერიოდში ტექნიკურ-ტაქტიკური კულტურა უკვე ჩამოყალიბებულია, მოძრაობისა მანერის და ცხოვრების სტილის შეცვლა კი თითქმის შეუძლებელია. სხვათა შორის, კალაძეს და შევას რეჟიმის დაცვის პრობლემა არასდროს შექმნიათ."

ამის მერე ჭოხონელიძე უკვე საკუთარ საქმიანობაზეც საუბრობს.

"მე კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვარ. ვმონაწილეობ სამწვრთნელო პროცესში, კანდიდატურების შერჩევაში. გერმანიიდან დაწყებული რუსეთით დამთავრებული შემიძლია ზუსტად გითხრათ, რომელი ფეხბურთელი რითი სუნთქავს. ჩვენი დამკვირვებლები მათ სხვადასხვა ტურნირზე აკვირდებიან, არა მარტო პირველი გუნდების ლიდერებს, არამედ იუნიორებსაც. ასეთი ფეხბურთელი ჯერ აღმოსავლეთ ევროპაში არაა. რუსეთიდან "მილანში" რომ მოვიყვანოთ ვინმე, ის ჩვენიანს ერთი თავით უნდა აღემატებოდეს. როდესაც კალაძე და შევჩენკო ავიყვანეთ, მათ გუნდი გააძლიერეს"

ქართველი სელექციონერებისთვის უინტერესო არ უნდა იყოს ევროპის საუკეთესო კლუბის სასელექციო მუშაობის სტილის გაცნობაც: "საინტერესო ფეხბურთელს ჯერ მე ვაკვირდები, ვეცნობი მის თამაშს, ხასიათს და ამის შემდეგ სხვებს ვაგზავნით. თუკი ხუთი-ექვსი დამკვირვებლის აზრი ერთმანეთს დაემთხვა, ფეხბურთელის აყვანას მაშინაც არ ვჩქარობთ. გვაინტერესებს, ერთი წლის განმავლობაში თუ გაიზარდა, დეტალურად ვსწავლობთ მის ხასიათს, მის გარემოცვას. "მილანში" მხოლოდ საუკეთესოები მოდიან, არა მარტო ფეხბურთელები, არამედ, ადამიანებიც. კარგი ფეხბურთელი, მაგრამ უხასიათო ადამიანი არ გვჭირდება. მე იტალიაში ძალიან ძლიერი ფეხბურთელები ჩავიყვანე და ზერელედ არასდროს მოვიქცევი. ჩამოიყვანეს დობროვოლსკი, შალიმოვი, კუტუზოვი, გურენკო, მაგრამ მათ შევჩენკოსა და კალაძის მსგავსად ვერ გაამართლეს. ითამაშეს ერთი, მაქსიმუმ ორი-სამი წელი და მერე ქვეყნებში მოგზაურობა დაიწყეს. ასეთ რამეს "მილანში" ვერ დავუშვებთ. ამ ოთხეულმა იმიტომ ვერ გაამართლა, რომ იტალიაში ჩამოყალიბებულ ფეხბურთელებად ჩამოვიდნენ და მათი შინაგანი სამყაროს შეცვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. მათ უკვე ჩანერგილი ჰქონდათ თამაშის მიმართულება, დაეწუნებოდათ ტექნიკურ-ტაქტიკური საფუძვლები. იტალიაში ფეხბურთელს ბავშვობიდან სხვაგვარად ზრდიან და მეტსაც სთხოვენ. სერია ა მსოფლიოში ყველაზე რთული ლიგაა. აქ ფეხბურთს ჭადრაკივით თამაშობენ. მწვრთნელის დავალება ფეხბურთელმა აუცილებლად უნდა შეასრულოს. აქ "ნახევარფაბრიკატის" გადამუშავების და მისი ახალ ტალღაზე გადართვის დრო არავის აქვს. "*

ევროპის საუკეთესო კლუბის ქართველი მენეჯერის ინტერვიუს ფრაგმენტები საგანგებოდ გამოვაქვეყნეთ. თითოეული ქართველი ფეხბურთელი, მისი მენეჯერი თუ ჩვენებური კლუბის ხელმძღვანელი, ინტერვიუში თავისთვის საინტერესო ფრაზას ამოიკითხავდა.

ფეხბურთელი - თუ სად ჯობია კარიერის გაგრძელება, მენეჯერი - თუ რა გზაზე დააყენოს ფეხბურთელი და კლუბი - როგორ შეარჩიოს მოთამაშე.

რუსეთში მილიონებზე დახარბება ხვალინდელ დღეზე უარის თქმის ტოლფასია და ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს. "აიაქსის" ნაცვლად "ხიმკიში" რომ ექაჩები ახალგაზრდა ბიჭს, გამოდის, მისი მომავალი საერთოდ არ გაინტერესებს და მხოლოდ ფულზე ფიქრობ.

ბევრი ღარიბი ბიჭი დღევანდელ კვერცხს ხვალინდელი ქათამზე ცვლის, ეს მარტო მენეჯერების ბრალიც არაა. ასე ჩვენი ფეხბურთის რეალური პოტენციალი ვერასდროს გამოჩნდება და ყოველთვის გვეყოლება ნაკრები, რომელსაც აზერბაიჯანთან ფრე უხარია.

ჭოხონელიძის საუბრიდან უნდა დავასკვნათ, რომ **მალხაზ ასათიანზე** რუსების მიერ გავრცელებული ინფორმაცია - თითქოს ქართველს "მილანი" აკვირდება - მათი პრემიერლიგის იმიჯის გასაზრდელად გავრცელებული ჭორია. ბატონმა რეზომ პირდაპირ მიანიშნა, რომ რუსეთიდან 26-27 წლის მოთამაშის გადაყვანა უპერსპექტივო საქმეა. თუმცა ეგებ გამონაკლისიც დაუშვან...

მერაბ მამულაშვილი

P.S. სტატია დაწერილი გვქონდა, როდესაც სენსაციური ინფორმაცია შევიტყვეთ. გუშინ კიევის "დინამოს" პრეზიდენტმა **იგორ სურკისმა** პრესკონფერენცია ჩაატარა და რეზო ჭოხონელიძე საზოგადოებას გუნდის გენერალური მენეჯერის რანგში წარუდგინა.

სურკისის თქმით, მას ევროპული დონის კლუბის ჩამოყალიბება დაუსახეს მიზნად. კიეველთა ქართველი მენეჯერი სელექციას ჩაიბარებს. მას კიევში რამდენიმე ძლიერი მოთამაშის ჩაყვანის იმედს უკავშირებენ.

ჭოხონელიძე სამუშაოს შაბათს შეუდგა და კიევის "დინამოსა" და დონეცკის "მეტალურგის" მატჩს დაესწრო.

"მოლაპარაკებები წელიწადნახევარი გრძელდებოდა და ხელშეკრულება ხუთწლიან თანამშრომლობას გულისხმობს. ეს ჩვენს ისტორიაში ერთ-ერთი ურთულესი ტრანსფერი იყო. რეზო არც ბურიაკს შეცვლის და არც საბოს, მაგრამ ყველა საფეხბურთო საკითხს ის გაუძღვება. ეს ის ადამიანია, რომელსაც ლობანოვსკი უდიდეს პატივს სცემდა", - აღნიშნა სურკისმა.

ჭოხონელიძის თქმით, "დინამომ" დაკარგა იმიჯი და მისი დაბრუნება უპირველეს მიზნად გამოაცხადა: "გუნდმა უნდა დაიბრუნოს ლობანოვსკის დროინდელი დიდება და სახელი. ჩვენი უმთავრესი ამოცანა კი ჩემპიონთა ლიგის მოგება უნდა იყოს".

სურკისის თქმით, მას 1 ივლისს უკვე გაფორმებული ჰქონდა ფრანგ **ჟერარ ულიესთან**, მაგრამ მან საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციაში შეთავაზებული პოსტი ამჯობინა და "ლიონის" ყოფილი თავკაცის უკრაინაში მუშაობა გამოირიცხა.

კიეველებმა ჭოხონელიძეს იტალიელებზე უკეთესი პირობები შესთავაზეს და მან "მილანი" ამიტომ დატოვა.

სტაჟირება უცხოეთში

ჩივაძე არგენტინაში მიდის

რამდენიმე თვეა, რაც ჩვენს გაზეთში პერიოდულად გადის განცხადება, რომლითაც ახალგაზრდა ქართველ ფეხბურთელებს მწვრთნელი **ედუარდო დელგადო** *არგენტინაში სტაჟირებაზე ეპატიჟება. ამ განცხადების მეშვეობით ქართველი ფეხბურთელები უკვე მოხვდნენ* **მარადონას** *სამშობლოში.* **ხვიჩა მურღულია** *და* **ვასილ აფციაური** *არგენტინაში არიან, მურღულია "დეპორტივო მერლოშია", ხოლო აფციაური "ნუევო ჩიკაგოში". ამ ორი ქართველის გზას მალე კიდევ არაერთი ჩვენებური შეუდგება. როგორც შევიტყვეთ ერთ-ერთი მათგანი, თბილისის "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტან* **ალექსანდრე ჩივაძის** *ვაჟი, ნახევარმცველი* **გიორგი ჩივაძეა**. *ეს ცნობა გუშინ* **ნიკო პატარქალიშვილმაც** *დაგვიდასტურა.*

"გიორგი ჩივაძის მონაცემები უკვე გადავეცი ედუარდო დელგადოს. ჩივაძე-უმცროსი ოქტომბერში გაემგზავრება არგენტინაში და როგორც ფიზიკურ, ასევე ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების დონეს აიმაღლებს.

სხვათა შორის, ედუარდო დელგადო უკვე საფეხბურთო კლუბ "დეპორტივო მერლოს" გენერალური დირექტორია და ამ კლუბშივე ამზადებს ფეხბურთელებს. გიორგი ჩივაძეც მასთან გაივლის სტაჟირებას. არგენტინაში მთელი წელი არ წყდება საფეხბურთო ცხოვრება. ჩემპიონატის პაუზისას არაერთი მასშტაბური ტურნირი იმართება, რომელშიც სტაჟირებაზე მივლენილი ქართველი ფეხბურთელებიც მიიღებენ მონაწილეობას. წერილი მივიღე, სადაც დელგადო ალექსანდრე ჩივაძეს ჰპირდება, რომ მის ვაჟს იმ დონეზე მოამზადებს, რომ ის კმაყოფილი დარჩება.

ამასთან, მწვრთნელი ხვიჩა მურღულიასა და ვასილ აფციაურზე ვიდეომასალას ამზადებს, რომელსაც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებების მწვრთნელებს გაუგზავნის და მათ, ამ ფეხბურთელების ჭაბუკთა ნაკრებებში გასინჯვას სთხოვს", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა ნიკო პატარქალიშვილმა.

დავით ცაბაძე

ფიზიკური, ტექნიკური
და ტაქტიკური
მომზადება ფეხბურთელებისთვის
არგენტინაში

ვიწვევთ 17-18 წლის პერსპექტიულ ფეხბურთელებს მოსამზადებლად არგენტინაში. მომზადების ვადაა 6 თვიდან ერთ წლამდე. მომზადების პერიოდში ფეხბურთელები ითამაშებენ ამხანაგურ მატჩებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებთან. მომზადების შემდეგ ფეხბურთელები გააფორმებენ ხელშეკრულებას ერთიდან ორ წლამდე და ჩაატარებენ ოფიციალურ შეხვედრებს არგენტინის საფეხბურთო კლუბებში. ფეხბურთელებს მოამზადებს ედუარდო დელგადო. ფიზიკური, ტექნიკური და ტაქტიკური მომზადების, გზის (ავიაბილეთები), ადგილზე ცხოვრების (კვების, ბინის) და საჯიზო ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა მიერ.

მსურველთა მიღება და მათთან გასაუბრება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. N4 (თავისუფლების მოედანთან). მხოლოდ წინასწარ ჩაწერით, საქართველოში არგენტინის წარმომადგენელთან, ტელეფონზე: 899-23-55-20. მსურველები არგენტინაში გაეშვებიან ოქტომბრის დასაწყისში.

სურათზე: დიეგო მარადონა და ედუარდო დელგადო

მადრიდელთა პრეზიდენტი რამონ კალდერონი

რეალი

კალდერონი: რატომ გავუშვი კაპელო...

მადრიდელი პრეზიდენტი ესპანეთის ნაკრების თავკაცს თვალების გახელას ურჩევს...

მადრიდში სამეფო კლუბის საზოგადოების წევრთა ასამბლეა გაიმართა. ბუნებრივია, **ხუან რამონ კალდერონი** ამ ღონისძიების მთავარი მოქმედი პირი იყო. "რეალის" პრეზიდენტმა მრავალ თემაზე ისაუბრა. უცნაურია, მაგრამ პირნეული გრანდის უმაღლესმა ხელისუფალმა საზოგადოების წინაშე გამოსვლა ესპანეთის ნაკრებში არსებული სიტუაციის განხილვით დაიწყო. სენიორ კალდერონისთვის კვლავ გაუგებარია, თუ რატომ არ იწვევს **ლუის არაგონესი რაულსა** და **გუტის**: *"ვერაფრით შევძელი გულგრილი დავრჩენილიყავი და ხმა არ ამომეღო. ჩვენს ბიჭებს სასტიკად ჩაგრავენ. ნუთუ არაგონესს რაულსა და გუტიზე უკეთესი ფეხბურთელები ჰყავს? "სელექსიონის" მთავარ მწვრთნელს მოვუწოდებ, თვალები ფართოდ გაახილოს და შემადგენლობა საუკეთესო მოთამაშეებით დაკომპლექტოს. შესაძლოა, ვინმემ მითხრას, ნაკრების საქმეებში ცხვირის ჩაყოფა თქვენს კომპეტენციას სცილდებაო. მე არავის საქმიანობაში არ ვერევი, უბრალოდ როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქე საკუთარ მოსაზრებას ღიად გამოვხატავ. მოკლედ, თუ არაგონესს "სელექსიონის" კეთილდღეობა სურს, რაული და გუტი აუცილებლად უნდა ათამაშოს."*

ამის შემდეგ კალდერონი "რეალისთვის" საჭირბოროტო საკითხებზე გადავიდა: *"ორი დღის წინ "სიუდად რეალ მადრიდში" საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა დაიწყო. ამ შენობაში ძირითადი გუნდისა და კანტერის ბიჭები იცხოვრებენ. ბუნებრივია, წამყვან მოთამაშეებს მუდმივად აქ დარჩენას ვერ ვაიძულებთ. ისინი ჩვენს საცხოვრებელში მხოლოდ საკვანძო მატჩების წინ გაათევენ ღამეებს, რათა ერთ მუშტად შეიკრან და მაქსიმალურად კარგად მოემზადონ. კანტერელები კი დროის ძირითად ნაწილს სწორედ აქ გაატარებენ. ვფიქრობ, ჩვენი პოლიტიკა შესანიშნავ შედეგს გამოიღებს. სამეფო კლუბის იმპერიაში რაც უფრო მეტ დროს გაატარებ, მით მეტად გაძლიერდები და გაიზრდები. მალე "მადრიდ არენის" მშენებლობასაც დავასრულებთ. მოგეხსენებათ, ეს დარბაზი საკალათბურთი გუნდისთვის იქნება განკუთვნილი. მისი ამოქმედების შემდეგ კლუბს ულტრათანამედროვე შენობა ექნება."*

ასამბლეის ერთ-ერთმა მონაწილემ თავს უფლება მისცა, პრეზიდენტისთვის **ფაბიო კაპელოს** გადაყენების მოტივების შესახებ კითხვა დაესვა. კალდერონმა ასეთი პასუხი გასცა: *"რა თქმა უნდა, კაპელოს გადაყენებით სარისკო ნაბიჯი გადავდგით. ხუმრობა არ არის, გაჩემპიონების შემდეგ მთავარ მწვრთნელს კარისკენ მიუთითო. ბევრს ჰგონია, რომ იტალიელი პირადი შეხედულებისა და ცუდი ურთიერთობის გამო გავათავისუფლე. მერწმუნეთ, ასე არ ყოფილა. კაპელომ უდიდესი წარმატება მოგვიტანა. ჩვენ ძალიან მადლიერები უნდა ვიყოთ, რადგან ამ კაცის წყალობით სამეფო კლიბმა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული დაიბრუნა. ცხადია, უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ, მაგრამ დონ ფაბიო მაინც გავუშვით. "რეალის" ინჩასების მსოფლმხედველობა დიდი ხანია გარკვეულია. ხალხს მხოლოდ გამარჯვება და შედეგი არ აკმაყოფილებს. ქომაგებს ლამაზი ფეხბურთის ნახვა სურთ. კაპელოს დათხოვნის ერთადერთი მოტივიც ეს გახლდათ. მის ხელში გუნდი უსახურად გამოიყურებოდა."*

ამის შემდეგ კალდერონი სხვის კითხვას არ დალოდებია და საუბარი მონოლოგის რეჟიმში განაგრძო: *"კაპელოს წასვლა და ბერნდ შუსტერის მოსვლა არ უნდა აღვიქვათ, როგორც მწვრთნელების ბანალური შეცვლა. ვიმეორებ, იტალიელს გასაშვები არაფერი ჰქონდა, მაგრამ ჩვენ გადავწყვიტეთ სამეფო კლუბის ფილოსოფიის საწყის წერტილს დავბრუნებოდით და აბსოლუტურად სხვა სპორტული პროექტი შეგვემუშავებინა. ჩვენი აზრით, შუსტერს შეუძლია, "სანტიაგო ბერნაბეუზე" ლამაზი ფეხბურთი დააბრუნოს."*

დიეგო

რეალი.
მოსალოდნელი ტრანსფერები

შუსტერმა გერმანიისაკენ გაიხედა

გომესი და დიეგო სამეფო კლუბის თვალთახედვის არეალში მოხვდნენ

"რეალმა" "შტუტგარტს" **მარიო გომესის** გაყიდვა შესთავაზა. 22 წლის თავდამსხმელს შვაბებთან კონტრაქტი 2012 წელს ეწურება. ის წარმოშობით ესპანელია, მაგრამ გერმანიის ნაკრებში თამაშობს. მარიოს პრიმერა დივიზიონის მიმართ განსაკუთრებული გრძნობები გააჩნია. მოლაპარაკებები იანვარში გაიმართება. სამეფო კლუბის სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. "რეალი" **მიხაელ ბალაკის** სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს ამზადებს.

მადრიდელთა მთავარი მწვრთნელი **ბერნდ შუსტერი** ადასტურებს, რომ "ვერდერისა" და ბრაზილიის ნაკრების ფლეიმეიქერი **დიეგო** მისი თვალთახედვის არეშია. *"ეს არაჩვეულებრივი ფეხბურთელია, რომელსაც დიდი მომავალი აქვს. არ დავმალავ, მე უკვე ვესაუბრე ხელმძღვანელებს დიეგოს თაობაზე. მაგრამ ამ სეზონში მის შეძენას არ ვეცდებით,"* - განუცხადა შუსტერმა "ბილდს".

რამდენიმე დღის წინათ "ვერდერის" გენერალურმა მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** დიეგოსთან კონტრაქტის გაგრძელების სურვილი გამოთქვა - ბრაზილიელის ხელშეკრულებას ვადა 2010 ეწურება. ალოფსმა თქვა, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, დიეგოს არასდროს გავასხვისებდიო...

და კიდევ, "ასის" ცნობით, "რეალი" "სანტოსის" გარემარბ **ნეიმარს** ყიდულობს. ამ ინფორმაციაში ყველაზე საინტერესო ფეხბურთელის ასაკია: ის სულ რაღაც 15 წლის გახლავთ. სამეფო კლუბს კი ნეიმარის შეძენა ჯერ კიდევ მაშინ სურდა, როცა "სანტოსიდან" **რობინიო** მიჰყავდა. ამ ბიჭსა და რობინიოს ერთი აგენტი ჰყავთ, **ვაგნერ რიბეირო**. ის მადრიდელთა სპორტულ დირექტორ **პედია მიატოვიჩთან** მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს. ნეიმარზე "არსენალიც" აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ "რეალის" გააქტიურება ლონდონელებს მინიმალურ შანსსაც კი აღარ უტოვებს.

ატლეტიკოს პრემიები ჩამოწერა

მადრიდის "ატლეტიკოს" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ფეხბურთელების წახალისებისათვის საარაკო პრემიები დაანესოს. თუ "როხიბლანკო" ესპანეთის ჩემპიონი გახდება, ფეხბურთელები 9 მილიონ ევროს მიიღებენ. ვერცხლის მედლების შემთხვევაში, 6 მილიონს. მესამე ადგილი მათ 3.8 მილიონს მოუტანს, ხოლო მეოთხე ადგილი, რაც ამავე დროს ჩემპიონთა ლიგის საგზურს ნიშნავს, 2.3 მილიონ ევროს. 2.3 მილიონი ევრო ერგება გუნდს, თუ ის ესპანეთის სამეფო თასს დაეუფლება.

ჰესკი რვა კვირა დაისვენებს

ეშილ ჰესკი მინიმუმ რვა კვირით ჩამოშორდა მინდორს. "ფულჰემთან" შაბათის მატჩი (1:1) ცხრა წუთის დაწყებული იყო, როცა ის სერიოზულად დაშავდა. გამოკვლევამ ცხადყო, რომ ჰესკის ტერფის ძვალი აქვს გატეხილი. ხანგრძლივი პაუზა იმას ნიშნავს, რომ მას ოქტომბრისა (ესტონეთსა და რუსეთთან) და ნოემბრის (ხორვატიასთან) სანაკრებო შეხვედრები გაუცდება. ჰესკის ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა. ის ეროვნულ გუნდში დამკვირდებას და ევროპის ჩემპიონატზე თამაშს აპირებდა. უდროო ტრავმა კი მის შანსებს საგრძნობლად ამცირებს. ჰესკი იმედგაცრუებული და გულმოკლულია. ინგლისელთა თავკაცი **სტივ მაკლარენი** მას ტელეფონით დაუკავშირდა და ანუგეშა, მაგრამ ემილს მწვრთნელის სიტყვები ვერას უშველის.

პიდინკი კიდევ ორი წლით

გუუს ჰიდინკი რუსეთის ნაკრებში კიდევ ორი წელი დარჩება. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა მიმომხილველებს აუწყა, რომ საფეხბურთო კავშირთან შეთანხმება თითქმის მიღწეულია. ინგლისთან მატჩის წინ ჰიდინკი რუსული ფეხბურთის ბოს **ვიტალი მუტკოს** ესაუბრა. მას თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზეს. გუუსი სიამოვნებით დათანხმდა. ან რატომ არ უნდა დათანხმებოდა? ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი სანაკრებო მწვრთნელია. ჰიდინკი ამბობს, კონტრაქტს იმ შემთხვევაშიც გავაგრძელებთ, თუ ევროპის ჩემპიონატზე ვერ გავალთო.

ბოიან კრკიჩმა (შუაში) ბარსელონის შემადგენლობაში პირველად ითამაშა

ბარსელონა

ვინ არის ბოიან კრკიჩი?

ტრავმა, რომელმაც მსოფლიოს ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი აჩუქა

პრიმერა დივიზიონის წინა ტურში "ბარსელონამ" მორიგ საგარეო შეხვედრაში წაიფორხილა. კატალონიელებმა "ოსასუნის" დამარცხება ვერ შეძლეს. ამ დაპირისპირებაში ყველაზე ღირსშესანიშნავი ფაქტი "ბარსას" ახალგაზრდა ვარსკვლავის, **ბოიან კრკიჩის** მიერ პრიმერა დივიზიონში ჩატარებული სადებიუტო შეხვედრა გახლდათ...

სულაც არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტვით, რომ ბოიანზე ახლა მთელი საფეხბურთო სამყარო საუბრობს. მას უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ. თინეიჯერმა ფორვარდმა ცოტა ხნის წინ დასრულებულ 17-წლამდელთა მუნდიალზე იმდენად შთამბეჭდავად იასპარეზა, რომ სპეციალისტები მსჯელობის უნარი დაუკარგა. ალბათ, გაინტერესებთ, როგორი გზა განვლო ბოიანმა "ბარსელონის" ძირითად გუნდში მოხვედრამდე. მამამისი, უფროსი ბოიან კრკიჩი სერბეთში დაიბადა. ის პროფესიონალი ფეხბურთელი გახლდათ და წლების განმავლობაში "ცრვენა ზვეზდასა" და OFK-ს ღირსებას იცავდა. კარიერის მიწურულს უფროსი ბოიანი "მოლერუსაში" ჩაირიცხა. სადაც იმდენად სერიოზული ტრავმა მიიღო, რომ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება მოუხდა. მკურნალობისას სერბმა ემიგრანტმა მომხიბვლელი **მარია ლუისა** გაიცნო. უფროსი კრკიჩი ესპანელის სილამაზით იმდენად მოიხიბლა, რომ საკუთარი ექიმი მალე ცოლად მოიყვანა. 1990 წელს წყვილს ვაჟი გაუჩნდა. მშობლებმა შეამჩნიეს, რომ უმცროს ბოიანს საფეხბურთო ნიჭი ჰქონდა და სპორტულ სკოლაში მიაბარეს.

ბიჭუნამ სპეციალისტების ყურადღება მალევე მიიპყრო, თუმცა მცირე ასაკის გამო პროგნოზების გაკეთებას ყველა ერიდებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც ბოიანი წამოიზარდა, "ბარსელონამ" დაადგა თვალი. კატალონიური გრანდის ხელმძღვანელებმა მას საუკეთესო პირობები შეუქმნეს. ესპანეთის კანონმდებლობის მიხედვით, არასრულწლოვან ადამიანთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმება შეუძლებელია. ამიტომ "ბარსამ" მამაისს დაუდო ხელშეკრულება. დოკუმენტის ძალით, უფროსი ბოიანი ვალდებულია, შვილი სწორედ "ბარსელონაში" ათამაშოს. გრანდის ხელმძღვანელებს ბოიანის გადაბირება ერთხელაც არ უნანიათ, პირიქით, ისინი სიამაყით აღნიშნავენ, რომ საყმაწვილო გუნდებში გატარებული წლების განმავლობაში მან 600-ზე მეტი გოლის გატანა მოასწრო. ბუნებრივია, ეს არ არის ოფიციალური მონაცემი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ თინეიჯერ ფორვარდს მართლაც საუცხოო საგოლე აქვს. უდავოა, "ბარსელონას" მისი სახით უდიდესი თავდამსხმელი ეზრდება.

მიხაელ ბალაკი

მოსალოდნელი ტრანსფერი

ბალაკი: რეალი თუ ინტერი?

გრძელდება სპეკულაციები **მიხაელ ბალაკის** "რეალში" მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. გაზეთ "ასის" ცნობით, ბალა ესპანეთში მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავა, თუ ხელფასის შემცირებას დათანხმდება. გაზეთის მიმომხილველი ნერს, რომ **ვესლი სნეიდერის** ნარმატებული ტრანსფერის მიუხედავად, სამეფო კლუბს კიდევ ერთი ძლიერი ცენტრალური ნახევარმცველი სჭირდება - "რეალი" მიხაელს სამწლიან კონტრაქტს შესთავაზებსო. "ჩელსის" აღმასრულებელი დირექტორი **პიტერ კენიონი** კვლავ ჯიუტად უარყოფს გერმანელ ვარსკვლავთან დაკავშირებულ მითქმა-მოთქმას: *"მინდა, ერთხელ და სამუდამოდ განვმარტო: ბალაკი "რეალში" არ გადავა. მადრიდელებთან არავითარი მოლაპარაკებები არ გაგვიმართავს. მიხაელი არ ითამაშობს იმიტომ, რომ დაშავებულია. ყველაფერი დანარჩენი, რაც ამის შეასხებ პრესაში ინერება, ყოფლად უსაფუძვლო ჭორია."*

იტალიურს სააგენტოებს ბალაკთან დაკავშირებით განსხვავებული ინფორმაცია გააჩნიათ. "კორიერე დელო სპორტი" წერს, რომ გერმანიის ნაკრების კაპიტანი "ინტერს" სურს. მილანელები "ჩელსის" გაცილებით სარფიან წინადადებას შესთავაზებენო, ვკითხულობთ პოპულარულ გამოცემაში - **ადრიანო** ბალაკის ნაცვლად! ტრანსფერის ალბათობა საკმაოდ დიდია, რადგან არც ერთი და არც მეორე ვარსკვლავი თავ-თავიანთ კლუბებს ჩემპიონთა ლიგის განაცხადში არ შეუყვანიათ - ესეც "კორიერეს" მიმომხილველის ვარაუდი გახლავთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. პირველი ტურის წინ

სტარტი კობიაშვილის გარეშე

შაააფს შუსტერის არ ეშინია, რუი კოშტა მილანში ბრუნდება...

A ჯგუფი

პორტუ-ლიეერპული

გასული სეზონის ფინალისტი პირველ შეხვედრას "პორტუსთან", "დრაგაოზე" მართავს. როგორც იცით, ბოლო სამი წლის განმავლობაში "ლიეერპულმა" ჩემპიონთა ლიგის ფინალში ორჯერ გააღწია. ამ დროს, ერთადერთი გუნდი, რომელმაც მერსისაიდელებს ფინალამდე გზა გადაუღობა, პორტუგალიური "ბენფიკა" გახლდათ. **რაფა ბენიტესის** სამწყსოს მეტოქე დღესაც პორტუგალიური გუნდია - "პორტუ". "ლიეერპულის" ესპანელი თავკაცი დღევანდელ მატჩს უდიდესი სიფრთხილით ეკიდება, რაც ნამდვილად არაა გასაკვირი - "პორტუ" არ არის ხელწამოსაკრავი.

აი, რა განაცხადა ბენიტესმა წინასამატჩო პრესკონფერენციაზე: *"სანაკრებო ბატალიების შემდეგ, ფეხბურთელთა დიდი ნაწილი გადაღლილია და მათი ფიზიკური მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, არადამაკმაყოფილებელია. "პორტუ" კარგად შევისწავლე. ეს გუნდი ყოველი სეზონის წინ წამყვან ფეხბურთელებს ყიდის, მაგრამ ხელმძღვანელები ყოველთვის ახერხებენ წასული მოთამაშეების ღირსეული შემცვლელების პოვნას, რაც ნამდვილად დასაფასებელია. და რაც მთავარია, "პორტუმ" შეინარჩუნა თავისი ლიდერი კუარეშმა. ვფიქრობ, ჩვენ ჯგუფიდან გასასვლელად 12 ქულა გვეყოფა. მაქსიმალურად ვეცდებით, რომ პირველივე შეხვედრაში 3 ქულა ავიღოთ."*

ბენიტესს ნახევარმცველი **ფაბიო აურელიო** გამოუჯანმრთელდა, რომელიც აპრილის შემდეგ ტრავმირებული იყო. BBC-ის ცნობით, "ლიეერპულს" **იორნ-არნე რიისე** ვერ დაეხმარება. კითხვის ნიშნის ქვეშაა **მომო სისოკოს** თამაშიც.

სავარაუდო შემადგენლობები

პორტუ: ნუნუ, ბრუნო ალვეში, მ. ჩეხი, ჟოაო პაულო, ასუნსაო, ბოსინგვა, ლუჩო გონსალესი, რაულ მეირელეში, კუარეშმა, სექტიუი, ლისანდრო ლოპესი.

ლიეერპული: რეინა, აგერი, კარაგერი, ფინენი, არბელოა, სისოკო, პენანტი, ჩაბი ალონსო, ბენაიუნი, ვორონინი, კრაუჩი.

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი).

მარსელი-ბეშიქთაში

მარსელის "ოლიმპიკი" ჩემპიონთა ლიგაში სამწლიანი პაუზის შემდეგ ბრუნდება, თურქული "ბეშიქთაშს" კი ოთხწლიანი პაუზა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ "მარსელი" ევროტურნირებზე თურქულ კლუბს არასდროს შეხვედრია. სამაგიროდ, "ბეშიქთაში" ორჯერ გადაეყარა ფრანგებს - 1994/95 წლების სეზონში "ბეშიქთაში" თასების მფლობელთა თასის მეორე რაუნდში "ოსერს" შეხვდა (2:2, 0:2), სამი წლის შემდეგ კი, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ქვეჯგუფში პსჟ-სთან ერთად მოხვდა (1:2, 0:2). დღევანდელ მატჩში ფავორიტად უფრო **ალბერტ ემონის** კოლექტივი უნდა მოინათლოს, თუნდაც იმიტომ, რომ "ოლიმპიკი" საკუთარ "ველოდრომზე" თამაშობს. ხოლო, არის თუ არა "მარსელი" "ბეშიქთაშზე" ძლიერი, ამას უშუალოდ მატჩი გამოაჩენს.

სავარაუდო შემადგენლობები

მარსელი: მანდანდა, ტაივო, ჟ. როდრიგესი, ჟივე, ბონარი, შეირუ, არაში, მ'ბამი, ნასრი, ჯ. სისე, ნიანგი.

ბეშიქთაში: არიქანი, ქურთულუში, თორომანი, დიატა, ე. სისე, ტელო, იბრაჰიმი, ქორაი, იოზქანი, ბობო, ფ. იგუაინი.

მსაჯი: მატეო სიმონე ტრეფოლონი (იტალია).

B ჯგუფი

ჩელსი-რუსენბორგი

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში, "ჩელსიმ" სამჯერ ნახევარფინალში ითამაშა, ფინალში გასვლა კი ვერა და ვერ მოახერხა. შესაბამისად, ლონდონურ კლუბში დღეს ეს კითხვა ძალიან აქტუალურია: იქნებ ახლა მაინც მოხერხდეს ფინალამდე მიღწევა? ერთი რამ ცხადია: პირველ მატჩს, რომელიც "არისტოკრატებს" ტრონდჰეიმის "რუსენბორგთან" აქვთ, **ჟოზე მოურინიოს** შეგირდები ძალიან თავდაჯერებულები ხვდებიან. "ჩელსიში" ეჭვი არავის ეპარება, რომ გუნდი პირველსავე მატჩში სამ ქულას მოიპოვებს. თანაც, ლონდონური კლუბი სასტარტო მატჩებში გამარჯვებებსაა მიჩვეული. ბოლო ხუთი სასტარტო შეხვედრიდან "ჩელსიმ" ხუთივე მოიგო. გეხსომებათ, შარშან მოურინიოს სამწყსომ თავისი საჩემპიონთაშორისო ბატალიები "ვერდერთან" მოპოვებული გამარჯვებით დაიწყო (2:0), სადაც გოლები **მიხაელ ბალაკმა** და **მიკაელ ესიენმა** გაიტანეს. როგორც იცით, ესიენისგან განსხვავებით, ბალაკი ჩემპიონთა ლიგის განაცხადში შეყვანილი არ არის.

ცნობილია, რომ დღეს "ჩელსის" **დიდიე დროგბა** არ ეყოლება. როგორც იცით, ამ უკანასკნელმა არც "ბლექბერნთან" ითამაშა, რის შემდეგაც განაცხადა, თუ "რუსენბორგთან" მატჩში მონაწილეობას მივიღებ, ეს უდიდესი რისკი იქნებაო. დროგბამ იმედი გამოთქვა, რომ მეორე ტურისთვის (ვალენსიასთან) გამოჯანმრთელებას მოასწრებს. შესაბამისად, მოურინიო თავდასხმაში ალბათ **ანდრეი შევჩენკოსა** და **სალომონ კალუს** წყვილს გაამწესებს.

სავარაუდო შემადგენლობები

ჩელსი: პ. ჩეხი, ბელეტი, ალექსი, ტერი, ე. კოული, ჯ. კოული, ესიენი, რაიტ-ფილიპსი, სიდველი, კალუ, შევჩენკო.

რუსენბორგი: ჰირშფელდი, სტოორი, ბასმა, დორსინი, რიზეტი, სკიელბრედი, ტეტეი, საპარა, კონანი, ი. კონე, ა. ტრაორე.

მსაჯი: ლორან დუჰამელი (საფრანგეთი).

შალკე-ვალენსია

2001 წლიდან მოყოლებული, "შალკემ" ჩემპიონთა ლიგაში მხოლოდ ორჯერ იასპარეზა - 2001-ში და 2005-ში, მაგრამ გელზენკირხენელებმა ჯგუფიდან გასვლა ვერცერთხელ ვერ მოახერხეს. განიცადა თუ არა **ლევან კობიაშვილის** გუნდმა პროგრესი მას მერე, რაც უკანასკნელად იასპარეზა ევროპის ელიტურ საკლუბო ლიგაში? ამ კითხვაზე პასუხი ამ სეზონმა უნდა გასცეს. "შალკემ" მიზნად ჯგუფიდან გასვლა დაისახა და თუ მიზნის მიღწევა სურს, ფაქტია, რომ დღეს საკუთარ კუდლებში "ვალენსია" უნდა დაამარცხოს.

"ჩვენთვის ამ მატჩის მოგება აუცილებელია. ფაქტია, რომ ჯგუფის ფავორიტი "ჩელსია". შესაბამისად, მეორე ადგილზე გასასვლელად ჩვენ და "ვალენსია" ვიბრძოლებთ. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ შინ "ვალენსიას" მოვუგოთ," - აცხადებს **ფაბიან ერნსტი**. "შალკეს" თავკაცი **მირკო სლომკა** დღევანდელ მატჩს თვალყურს არა სათადარიგოთა სკამიდან, არამედ ტრიბუნებიდან მიადევნებს, რადგან დისკვალიფიკაცია აქვს, მაგრამ ფეხბურთელები ამაში პრობლემას ვერ ხედავენ. სლომკას ასისტენტის, **ოლივერ რეკის** თქმით, ყველა შესაძლო სცენარი წინასწარაა დამუშავებული. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ყოველთვისო, ამბობს რეკი. **კრისტიან პანდერის** ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა, ასე რომ, ეს უკანასკნელი ითამაშებს. სამაგიეროდ, ცნობილია, რომ დღეს "შალკეს" კობიაშვილი ვერ დაეხმარება. ჩვენებურმა გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო - კობის კვლავ **ჯერმენ ჯონსი** შეცვლის.

"ვალენსიის" თავკაც **კიკე ფლორესის** ერთადერთი დანაკლისი **ვისენტეს** არყოფნაა, რომელიც ისედაც დიდი ხნის ტრავმირებულია. სამაგიეროდ, ამ უკანასკნელს იდეალურად ცვლის **სილვა**, რომელიც შესანიშნავ ფორმაშია. მიუხედავად იმისა, რომ **დავიდ ვილია** ცუდ ფორმაშია, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ფლორესმა ახალწვეული ფორვარდები, **ჟიგიჩი** ან **არისმენდი** ათამაშოს - "ღამურების" დამრიგებელი ისევ ვილია-**მორიენტესის** წყვილს ენდობა.

სავარაუდო შემადგენლობები

შალკე: ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, პანდერი, ჯონსი, ფ. ერნსტი, ბაირამოვიჩი, რაკიტიჩი, ასამოა, კურანი.

ვალენსია: კანისარესი, მიგელი, რაულ ალბიოლი, მარჩენა, მორეტი, ხოაკინი, ალბელდა, ბარახა, სილვა, მორიენტესი, ვილია.

მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია).

C ჯგუფი

რეალი-ვერდერი

საფეხბურთო მადრიდი მოუთმენლად ელის "რეალისთვის" გასული ზაფხულის ყველაზე ძვირადღირებული შენაძენის, **არიენ რობენის** დებიუტს, მაგრამ ამთავითვე ცნობილია, რომ დღეს ჰოლანდიელის დებიუტი, რომლის სანაცვლოდაც მადრიდელებმა 36 მილიონი ევრო გადაიხადეს, არ შედგება. რობენმა ტრავმა კი მოიშუშა, მაგრამ **ბერნდ შუსტერი** მის თამაშს მაინც სარისკოდ მიიჩნევს. რაკი კიდევ ერთი ხმაურიანი შენაძენი, **პეპე** (30 მილიონი) ტრავმირებულია, დღეს **ფაბიო კანავაროსთან** ერთად "რეალის" დაცვის ცენტრს ისევ **კრისტოფ მეტცელდერი** გაამაგრებს. ჩვენი ესპანელი კოლეგები ეჭვობენ, რომ შუსტერი **ვესლი სნეიდერს** (25 მილიონი) არა ჩვეულებისამებრ თავდამსხმელების უკან, არამედ ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე გაამწესებს, ცენტრს კი **გუტის** ანდობს - მიუხედავად იმისა, რომ შუსტერმა არაერთხელ თქვა, გუტი მხოლოდ მაშინ ავლენს შესაძლებლობების მაქსიმუმს, როცა შეცვლაზე შედისო. **გაბრიელ ჰაინცემ** "ალმერიასთან" მატჩში მცირე ტრავმა მიიღო და შესვენებაზე შესაცვლელი გახდა - დიდი შანსია, რომ ამ უკანასკნელმა გამოჯანმრთელება ვერ მოასწროს. ასეთ შემთხვევაში, "რეალის" დაცვის მარცხენა ფლანგს **დრენტე** გაამაგრებს.

"ვერდერმა" პარასკევს დორტმუნდში კრახი განიცადა (0:3) და ნირწამხდარია, მაგრამ მენეჯერ **კლაუს ალოფსის** თქმით, ბრემენული კლუბის მოთამაშეები "სანტიაგო ბერნაბეუზე" ვაჟკაცურად იბრძოლებენ. **პერ მერტეზაკერი** ამბობს, "რეალის" არ გვეშინიაო. მოგეხსენებათ, "მუსიკოსებს" ლაზარეთში ძალიან ბევრი წამყვანი მოთამაშე ჰყავთ. **ფრინგსი, ბოროვსკი, ვომე, კარლოს ალბერტო** და **ფრიტცი** ტრავმირებული არიან და მათი არყოფნა "ვერდერისთვის" წარმოუდგენლად დიდი დანაკლისია. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელება მოასწრო **დიეგომ**, რომელმაც გასულ უქმეებზე მცირე ტრავმა მიიღო.

"რეალთან" შეხვედრა ჩვენთვის უდიდესი მიღწევაა და საერთოდ, ჩემპიონთა ლიგაში ჩატარებული თითოეული მატჩი პირადად ჩემთვის დიდ მიღწევას წარმოადგენს," - აცხადებს "ვერდერის" თავკაცი **თომას შააფი**, - *"ზოგიერთ მწვრთნელს "რეალის" წინააღმდეგ თამაშის წინ ღამეები არ სძინავს ხოლმე. მე ძალიან მშვიდად ვარ და უბრალოდ მიხარია, რომ ევროპის საუკეთესო კლუბის წინააღმეგ ვთამაშობთ."*

სავარაუდო შემადგენლობები

რეალი: კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, მეტცელდერი, დრენტე (ან ჰაინცე), სნეიდერი, მ. დიარა, გუტი, რობინიო, რაული, ვან ნისტელროი.

ვერდერი: ვიზე, პასანენი, მერტეზაკერი, ნალდო, ტოშიჩი, ბაუმანი, ვრანიეში, დ. იენსენი, დიეგო, სანოგო, უგო ალმეიდა.

მსაჯი: ჰოვარდ ვეები (ინგლისი).

ოლიმპიაკოსი-ლაციო

"ოლიმპიაკოსს" ჩემპიონთა ლიგაში უდიდესი ანტი-რეკორდი აქვს დამყარებული - ამ გუნდს ბოლო 31 გასვლითი მატჩიდან არცერთი არ მოუგია! ამიტომაც, თუ ბერძნებს რამის მიღწევა სურთ, საშინაო თამაშებზე უნდა გააკეთონ აქცენტი, რადგან ფაქტია, რომ ამ გუნდს სტუმრად არაფერი გამოსდის. დღეს "ოლიმპიაკოსი" "ლაციოს" მასპინძლობს. არადა, საბერძნეთის მოქმედმა ჩემპიონმა ბოლო ორი სეზონი სწორედ საკუთარ მოედანზე წაგებებით დაიწყო: 2:4 "ვალენსიასთან" და 1:3 "რუსენბორგთან". რომაული კლუბი კი ჩემპიონთა ლიგაში სამწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ "ლაციალეს" ბერძნულ კლუბებთან ჯერ არასდროს წაუგია.

სავარაუდო შემადგენლობები

ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, დომი, პაცაცოგლუ, სტოლტიდისი, გალეტი, ფეევლაკოვი, ლუა ლუა, ანცასი, ტოროსიდისი, კრისტიან რაულ ლედესმა, კოვაჩევიჩი.

ლაციო: მუსლერა, კრიბარი, სტენდარდო, ძაური, ბეჰრამი, კრისტიან ლედესმა, მუდინგაი, მუტარელი, დელ ნერო, პანდევი, როკი.

მსაჯი: ერიკ ბრამჰაარი (ჰოლანდია).

D ჯგუფი

მილანი-ბენფიკა

ჩემპიონთა ლიგის მოქმედი გამარჯვებული ახალ სეზონს საკმაოდ რთული მატჩით იწყებს - **კახა კალაძის** "მილანის" მეტოქე დღეს პორტუგალიური "ბენფიკა" იქნება. იმის გამო, რომ "მილანი" "სიენასთან" მარცხს ბოლო წუთზე გადაურჩა და დაგეგმილი სამის ნაცვლად მხოლოდ 1 ქულა აიღო, მიმომხილველებმა "როსონერი" და მისი თავკაცი **კარლო ანჩელოტი** მაგრად გააკრიტიკეს, მაგრამ ამ უკანასკნელმა სწორედ "ბენფიკასთან" მატჩისთვის დაასვენა ისეთი ფეხბურთელები, როგორებიც არიან **კაკა, პირლო** და **ოდო**, მხოლოდ მეორე ტაიმში შეიყვანა **იანკულოვსკი** და **ინძაგი**.

ლისაბონურ კლუბს დღეს **არმანდო პეტიტი** არ ეყოლება. ნახევარმცველმა საკმაოდ სერიოზული ტრავმა მიიღო და ექვსკვირიანი შვებულება გამოიწერა. ამ მატჩის ერთ-ერთი უმთავრესი ინტრიგა კი **მანუელ რუი კოშტაა** - ვეტერანი ფლეიმეიქერი, რომელიც მას მერე, რაც "როსონერიდან" აიბარგა, მილანში პირველად ჩადის. *"სან სიროზე მე შევხვდები გუნდს, რომელიც უძლიერესია ევროპაში და რომელშიც ჩემი მეგობრები თამაშობენ. ეს თამაში ჩემთვის განსაკუთრებულია და მე ყველაფერს გავაკეთებ, რათა გამარჯვება "ბენფიკას" დარჩეს,"* - განაცხადა რუი კოშტამ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე.

სავარაუდო შემადგენლობები

მილანი: დიდა, ოდო, ნესტა, კალაძე, იანკულოვსკი, ამბროზინი, პირლო, გატუზო, ზეედორფი, კაკა, ინძაგი.

ბენფიკა: კუიმი, ლუიშ ფილიპე, მიგელ ვიქტორი, ედკარლუში, ლეო, კაცურანისი, რუი კოშტა, მაქსი პერეირა, კ. როდრიგესი, დი მარია, ნუნუ გომეში.

მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)

შახტარი-სელტიკი

"სელტიკის" ფეხბურთელები დონეცკში ერთობ თავდაჯერებულები ჩავიდნენ. მაგალითად, გლაზგოელთა ფორვარდი **იან ვენეგაორ ოფ ჰესელინკი** დარწმუნებულია, რომ გამარჯვება შოტლანდიურ კლუბს დარჩება და არ მალავს, რომ მას და მის თანაგუნდელებს ფრის გაგონებაც კი არ სურთ. "შახტარის" მხრიდან კი, "სელტიკს" **კრისტიანო ლუკარელი** ემუქრება. *"ორი კვირაა, თითოეული ჩვენთაგანი მხოლოდ ამ მატჩზე ფიქრობს. სამშაბათს ჩვენ ძალიან რთული და ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გველის, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ,"* - აცხადებს იტალიელი.

სავარაუდო შემადგენლობები

შახტარი: პიატოვი, კუჩერი, შევჩუკი, სრნა, ჩიგრიანსკი, ჰუბშმანი, ფერნანდინიო, ჟადსონი, ილსინიო, ბრანდაო, ლუკარელი.

სელტიკი: ბორუცი, კოლდველი, მაკმანუსი, ნეილორი, უილსონი, ნაკამურა, მაკგედი, დონატი, ს. ბრაუნი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი, მაკდონალდი.

მსაჯი: ალბერტო მალენკო (ესპანეთი).

თომას შააფი ბერნდ შუსტერის წინააღმდეგ. ვისი აჯობებს?

A ჯგუფი

ლივერპული

დაარსდა: 1879
სტადიონი: ენფილდ როუდი (45 362)

მეკარეები

25. პეპე რეინა (ესპ)	31.08.82
30. შარლ იტანჯი (კამ)	02.11.82
40. დევიდ მარტინი	22.01.86

მცველები

3. სტივ ფინეინი	24.04.76
4. სემი ჰიუბერი (ფინ)	07.10.73
5. დანიელ აგერი (დან)	12.12.84
12. ფაბიო აურელიო (რუს)	24.09.79
17. ალვარო არბელოა (ესპ)	17.01.83
23. ჯეიმი კარაგერი	28.01.78
39. სტივ დარბი	06.10.88
44. რონი ტრელფოლი	25.11.88
46. ჯეკ პოლსი	18.08.88

ნახევარმცველები

5. ჯონ არნე რაინი (ნორ)	24.09.80
7. პარი კიუელი (ავსტრალ)	22.09.78
8. სტივ ჯერარდი	30.05.80
11. იონი პენაიუნი (ესპ)	05.05.80
14. ჩაბი ალონსო (ესპ)	25.11.81
16. ჯერმეინ პენანტი	15.01.83
20. ხავიერ მასკერანო (არგ)	08.06.84
21. ლუისს ლეივა (რუს)	09.01.87
22. მიგელ სინოკო (ბელ)	22.01.85
33. სებასტიან ლტნო (არგ)	30.08.86
34. ჯეი სპირინგი	25.11.88
35. რეი პუტერინი	02.03.89
36. რაინა ფლინი (შოტ)	04.09.88

თავდამსხმელები

9. ფერნანდო ტორესი (ესპ)	20.03.84
10. ანდრეი ვორონინი (უკრ)	21.07.79
15. პიტერ კრაუჩი	30.01.81
18. დირკ კუიტი (ჰოლ)	22.07.80
19. რაინა ბაბელი (ჰოლ)	19.12.86
38. კრეიგ ლინდფილდი	07.09.88

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი (ესპ)

პორტუ

დაარსდა: 1893
სტადიონი: დრაგაო (52 000)

მეკარეები

1. ჰილტონი (ბრა)	18.05.78
24. უგო ვიეტურა	14.01.88
33. ნუნუ ესპირიტო	25.01.74

მცველები

2. ბრუნო ალვეში	27.11.81
3. პედრო ემანუელი (ანგ)	11.02.75
4. მილან სტეპანოვი (სერ)	02.04.83
5. მარეკ ჩეხი (სლოვაკ)	18.01.83
12. ჟოზე ბოსინგვა	24.08.82
13. ხოსეი ფუჩილი (ურუ)	19.11.84
14. ფუაო პაულო	06.06.81
15. ლინო (ბრა)	01.06.77

ნახევარმცველები

6. პაულო ასუნსაო (ბრა)	25.01.80
7. რიკარდო კუარესმა	26.09.83
8. ლუჩო პონსალესი (არგ)	19.01.81
11. მარიანო პონსალესი (არგ)	05.05.81
16. რაულ მეირელესი	17.03.83
17. ტარეკ სეტკიუი (ალჟ)	13.05.77
18. მარინო ბოლატი (არგ)	17.02.85
20. ლეანდრო ლიმა (ბრა)	19.12.87
25. პრაქტიკისლავ კაქმიერჩაკი (ჰოლ)	05.05.82
26. ანდრე კასტრო	02.04.88

თავდამსხმელები

9. ლისანდრო ლოპესი (არგ)	02.03.83
19. პრნანტო ფარეისი (არგ)	29.05.80
23. ელდერ პოფიბა	02.08.82
28. ადრიანო (ბრა)	03.04.79
29. ედგარი (ბრა)	03.01.87
30. რუი პედრო	02.07.88

მწვრთნელი: ჟ�უალდო ფერეირა

მარსელი

დაარსდა: 1899
სტადიონი: ველოდროომი (60 000)

მეკარეები

1. სეფერინ კარასუ	30.12.81
16. სებასტიან პამელი	20.11.75
30. სტივ მანდანდა	05.05.86
40. სებასტიან მატე	19.09.72
41. ბრის კრიჭანინ	30.05.89

მცველები

3. ტაიე ტაიეო (ნიგ)	16.04.85
4. ჟულიან რეფინიეზი	11.06.78
5. ჟან ფატი	25.02.84
15. ფრანსელ ხუშარი	20.09.85
24. ლორან ბონარი	25.12.79
31. ანტონი მარენი	21.09.89
32. ბაელ ძიეე	09.10.81

ნახევარმცველები

6. კარიმ ზიანი (ალჟ)	17.08.82
7. ბენუა ჟეირუ	03.05.81
8. ვილსონ ოლუმა (ნიგ)	30.12.76
17. ბოჯინეტ ბ'ბაჯი (კამ)	09.10.82
18. ვენსან ბრანე

| 23.06.83 |
19. ლორიან კანა (ალჟ)	27.07.83
22. სამირ ნასრი	20.06.87
28. მატიო ვალუჩინა	28.09.84
34. ტინგ კუანგ ლაო	08.05.88
35. ბაპტან დ'ა'ენგანტ	10.10.89
38. დაუდა ჯინდარა	09.01.89
42. ოლივიე კანო	29.11.89

თავდამსხმელები

9. ჯიბრილ სისე	12.08.81
10. ბუდეკვინი ზინედინი (ჰოლ)	15.08.76
11. ბამბადუ ნიანგანი (სენ)	13.10.79
12. ფაბრის ფიერეზი	26.07.75
13. სალიმ არაბი	14.07.82
21. მატ მუსილუ	01.02.82
25. მამე ნ'დიაი	11.01.86
29. ანდრე აიეი	17.12.89
36. დანიელ გბაგბუიდი	14.01.88
37. ბი გნაგბუიუ	01.12.89

მწვრთნელი: ალბერტ ემონი

ბეშიქთაში

დაარსდა: 1903
სტადიონი: ინონუ (35 000)

მეკარეები

1. რუშთუ რეიჭერი	10.05.73
35. ბატილა იოზმენი	11.05.88
84. პაპან პრიძანი	17.08.82

მცველები

2. სერდარ ქურთულუში	23.07.87
3. მეჰმეთ სეიდოფი	05.08.87
5. მიოქპან ზანი	07.09.81
8. ბაძი მერჩიმეძი	18.09.82
15. ლამინ დიაბა (სენ)	02.07.75
58. ბრაჰიმ თოროფანი	20.11.81
78. იბრაჰიმ ძაში	20.09.86

ნახევარმცველები

6. მეჰმეთ იოზგათლი	09.01.79
7. ბურაქ ილმაზი	15.07.85
10. მატიას დელგადო (არგ)	15.12.82
14. როდრიგო ტელო (ბრა)	14.10.79
17. რიკარდინინო (ბრა)	23.05.76
18. ედუარდ სისე (სუდ)	30.03.78
19. იბრაჰიმ უზულმეზი	10.03.74
21. სერდარ იოზბაი	01.01.87
22. ალი ბასდოგანი	25.12.77
41. ბუსთაფა ქორაკი	19.05.78
55. იბრაჰიმ აძინი	04.01.84

თავდამსხმელები

9. ფედერიკო იგუაინი (არგ)	25.10.84
11. მარსიო ნოგრე (ბრა)	11.06.80
13. ბოგო (ბრა)	01.01.85
99. ბაფუუანგ ქარადენიზი	24.04.91

მწვრთნელი: ეროუზრულ საგლარი

B ჯგუფი

ჩელსი

დაარსდა: 1905
სტადიონი: სტემფორდ ბრიჯი (42 055)

მეკარეები

1. პეტრ ჩეხი (ჩეხ)	20.05.82
23. კარლო კუდიჩინი (იტა)	06.09.73
40. ენრიკე ილარიო (პორ)	21.10.75

მცველები

3. ეშლი კოული	20.12.80
6. რიკარდო კარვალიო (პორ)	18.05.78
18. უეინ გრიჯი	05.08.80
20. პაულუ ფერეირა (პორ)	18.01.79
22. ტალ ბენ ჰაიმი (ისრ)	31.03.82
26. ჯონ ტერი	07.12.80
33. ალეძსი (ბრა)	17.06.82
35. ბენჯამინ (ბრა)	20.06.76
41. სემ ჯოუჩინსონი	03.08.89

ნახევარმცველები

4. ფრედ მაკილელი (სუფ)	18.02.73
5. მიჰაილ ბალეინი (ნიგ)	03.12.82
8. ფრენკ ლემპარდი	20.06.78
9. სტივ სიდველი	14.12.82
10. ჯო კოული	08.11.81
12. ჯონ ობი მიკელი (ნიგ)	22.04.87
15. ფლორან მალუდა (სუფ)	13.06.80
24. შონ რაინ ფილიპსი	25.10.81
42. ლი სეიერი	10.09.89

თავდამსხმელები

7. ანდრეი შევჩენკო (უკრ)	29.09.76
11. დიდიე დროგბა (კ-დივ)	11.03.78
14. ალუდიე პიანარ (ბელ)	03.10.78
21. სალომონ კალუ (კ-დივ)	05.08.85

მწვრთნელი: ჟოზე მურინიო (პორ)

ვალენსია

დაარსდა: 1919
სტადიონი: მესტალია (53 000)

მეკარეები

1. სანტიაგო კანისარესი	18.02.69
13. ტიმო ჰილდებრანდი (გერ)	05.04.79
25. ხოსე ლუის მორა	12.07.73
33. ვისენტე გუაიტა	18.02.83

მცველები

3. მანუელ ფერნანდესი (პორ)	05.02.86
4. რაულ ალბიოლი	04.09.85
5. კარლოს მარჩენა	31.07.79
12. მარკო კანონირა (პორ)	09.02.79
15. ივან ელგერა	28.03.75
20. ალეძანისი	04.08.85
23. მიგელი (პორ)	04.01.80
24. ემილიანო მორეტი (იტა)	11.06.81
26. დავიდ ლუგანი	05.06.87
28. ლილიო	27.03.89
29. არტურო	14.03.89
31. ხავიერ	18.03.88

ნახევარმცველები

2. სტეფან სანდეი	17.09.88
6. დავიდ ალგერდა	07.12.74
8. რუბენ ბარახა	11.07.75
11. ხაბიერ გავილანი	12.05.85
14. ვისენტე	16.07.81
16. ხუან მატა	28.04.88
17. ხოსანინი	21.07.81
22. ედუ (ბრა)	15.05.78
27. მარკ კარლესი	03.01.88
30. მარკი	12.03.90
34. ანხელ მონტორო	25.06.88
35. ჩიმო ფორნერი	27.01.90

თავდამსხმელები

7. დავიდ ვილია	03.12.81
9. ფერნანდო მორიენტესი	05.04.76
10. მიგელ ანგულო	23.06.77
18. ნიკოლა ჟიჰიჩი (სერ)	25.09.80
19. ხავიერ არისმენდი	03.03.84
21. დავიდ სილვა	08.01.86
32. პეიერიკი	01.02.89

მწვრთნელი: �იკე ფლორესი

შალკე

დაარსდა: 1904
სტადიონი: ფელტინს არენა აუფ შალკე (61 482)

მეკარეები

1. მანუელ ნოიერი	27.03.86
32. რალფ ფერმანი	27.09.88
34. ტონი ტაბალოვიჩი (ხორ)	10.10.80

მცველები

4. მაი

E ჯგუფი

ბარსელონა

დაარსდა: 1899
სტადიონი: კამპ ნოუ (98 000)

მეკარეები

1. ვიქტორ ვალდესი	14.01.82
25. ალბერტ ხერა კერა	03.03.79
28. ოიერ ოლასაბალი	14.09.89

მცველები

3. გაბრიელ მილიტო (არგ)	07.09.80
4. რაფაელ მარკესი (მექ)	13.02.79
5. კარლეს პუიოლი	13.04.78
11. ჯანლუიკა კამარეტა (იტა)	19.02.77
15. ედგილსონი (ბრა)	10.07.76
16. სილვინიო (ბრა)	12.04.74
21. ლილიან ტეურამი (საფ)	01.01.72
22. ერიკ აბიდალი (საფ)	11.07.79
23. ოლეგერი	02.02.80

ნახევარმცველები

6. ჩავი ერნანდესი	25.01.80
8. ანდრეს ინიესტა	11.05.84
20. დეკუ (პორ)	27.08.77
24. იანა ტურე (კოტ დ'ივ)	13.05.83
26. მარკ კროსასი	09.01.88

თავდამსხმელები

7. ედიერ გუდერნესენი (ნორ)	15.09.78
9. სამუელ ეტოო (კამ)	10.03.81
10. რონალდინიო (ბრა)	21.03.80
14. ტიერი ანრი (საფ)	17.08.77
17. ჟლთანი დოს სანტოსი (მექ)	11.05.89
18. სანტიაგო სეასკრო	14.12.76
19. ლიონელ მესი (არგ)	24.06.87
27. ბოიან კრკიჩი	28.08.90

მწვრთნელი: ფრანკ რიიკაარდი

ლიონი

დაარსდა: 1950
სტადიონი: ჰერლანდი (42 000)

მეკარეები

1. გრეგორი კუპე	31.12.72
25. იოან ჰარტმენ	12.02.87
30. რემი ვერკუტერი	26.06.80
35. ალექსანდრ ბუშარი	01.05.88
38. ჟერემი აი

რეალი-ვერდერი. ინტერვიუ კრისტოფ მეტცელდერთან

ვერდერი უხერხული მეზოქეა. გაგვიჭირდება!

მეტცეს აზრით, სამეფო გუნდს სიფრთხილე მართებს...

დორტმუნდის "ბორუსიიდან" მადრიდის "რეალში" უფასოდ გადასული კრისტოფ მეტცელდერი სამეფო გუნდის ძირითად შემადგენლობას ნელ-ნელა უშინაურდება. თუკი სეზონის პირველ ოფიციალურ მატჩებში ბერნდ შუსტერი უფრო კიდევ ერთ ახალწვეულ პეპეს ენდობოდა, ახლა "რეალის" დაცვის ცენტრს ფაბიო კანავაროსთან ერთად სწორედ გერმანელი ქმნის. დღეს, მადრიდელები ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩს მართავენ - შინ, "ვერდერთან". "ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში მეტცელდერმა სწორედ დღევანდელი მატჩის შესახებ ისაუბრა.

- ჰერ მეტცელდერ, პარასკევს, თქვენმა ყოფილმა გუნდმა "ვერდერს" 3:0 მოუგო და საინტერესოა, ესაუბრეთ თუ არა თქვენს ყოფილ თანაგუნდელებს ამ მატჩის შემდეგ. "რეალსაც" ხომ ბრემენულ კლუბთან უწევს თამაში...

- დიახ, რა თქმა უნდა. დასრულდა თუ არა შეხვედრა, ბიჭებს მაშინვე დავურეკე და ყველაფერი დაწვრილებით გამოვკითხე. მითხრეს, რომ "ვერდერი" ძალიან მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ "რეალს" თამაში მოგებული აქვს.

- ბერნდ შუსტერმაც ხომ არ შეაგროვა თქვენი დახმარებით ინფორმაციები?

- მწვრთნელს ჯერ არაფერი უკითხავს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ თამაშამდე არაერთ კითხვას დამისვამს. თუმცა მე მას "ვერდერზე" ახალს ვერაფერს ვეტყვი. ბრემენული კლუბი უკვე ოთხი წელია, რაც ჩემპიონთა ლიგაში რეგულარულად თამაშობს და შესაბამისად, ევროპაში საკმაოდ ძლიერი და სოლიდური კლუბის სახელი აქვს. მართალია, "ვერდერი" ჯერ არ არის ევროპის გრანდი, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ გუნდს ნებისმიერი გრანდის გამწარება შეუძლია. სწორედ ამიტომ, ჩვენ სიფრთხილე გვმართებს.

- რას ელით "ვერდერისგან"?

- ბრემენელებს თავისი საკუთარი სტილი აქვთ, რომელსაც პირადად მე ძალიან ვაფასებ. დარწმუნებული ვარ, რომ ამ სტილს არც მადრიდში უღალატებენ და ისე ითამაშებენ, როგორც სჩვევიათ - შეუტევენ! "ვერდერს" ყოველთვის ფეხბურთის თამაში უნდა, თომას შაფის გუნდი არასდროს ჩადგება დაცვაში. ამ გუნდისთვის უცხო ხილია ისეთი რამ, როგორიცაა მხოლოდ თავდაცვაზე ფიქრი და იმის ლოდინი, თუ როდის დაუშვებს შეცდომას მეტოქე.

- როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა თქვენს მეტოქეს რაიმე შანსი "რეალთან"?

- ჩემპიონთა ლიგაში პირველი მატჩი ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, ჩვენ ეს თამაში აუცილებლად უნდა მოვიგოთ და მჯერა, რომ "ვერდერს" დავამარცხებთ, მაგრამ ისიც ვიცი, რომ მიზანს იოლად ვერ მივაღწევთ. "ვერდერი" უხერხული მეტოქეა და ეს ამ გუნდს არაერთხელ დაუმტკიცებია.

- თქვენმა გუნდმა "ვერდერთან" მატჩისთვის გენერალური რეპეტიცია, თამაში "ალმერიასთან", 3:1 მოიგო, მაგრამ ეს გამარჯვება სულაც არ იყო ბრწყინვალე...

- მართალია, მოგება ძალიან გაგვიჭირდა, მაგრამ ამას თავისი მიზეზები აქვს. ჩვენი გუნდის ფეხბურთელთა 80 პროცენტი გასულ კვირას სანაკრებო ბატალიებით იყო დაკავებული. რიტმის პოვნა სწორედ ამიტომ გაგვიჭირდა.

- ყველამ ვიცით, რომ "ვერდერის" დაცვის ბურჯი პერ მერტეზაკერი თქვენი უახლოესი მეგობარია. ხომ არ დაენიძლავეთ?

კრისტოფ მეტცელდერი

- არა, ნიძლავების მოყვარული არც მე ვარ და არც პერია ასეთი. ნაკრებში ყოფნისას ამ მატჩზე ძალიან ბევრს ვსაუბრობდით. მოედანზე გამოსვლამდე ალბათ კიდევ რამდენიმე სიტყვას გავცვლით, მერე კი მეგობრობას საათნახევრით დავივიწყებთ. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია, რომ საფინალო სასტვენის შემდეგ მაისურებს გავცვლით.

- ბევრს ეგონა, რომ მადრიდული კლუბის ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრება გაგიჭირდებოდათ...

- ის, რომ სტაბილურად ვთამაშობ, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ სასტარტოში ადგილი საბოლოოდ დავიმკვიდრე. ფაქტია, რომ ჩემი საქმეები კარგად მიდის, მაგრამ ახალი გარემოს შეგუება ჯერ მაინც მიჭირს. "დორტმუნდიც" ხომ დიდი გუნდია, მაგრამ "რეალი" სულ სხვა სამყაროა. ვფიქრობ, ერთი წელი მაინც დამჭირდება იმისათვის, რომ სრულფასოვანი რეალელი გავხდე.

გოტფრიდ ლენცი

კამორანეზი ორი თვით?

"იუვენტუსის" ნახევარმცველ **მაურო ხერმან კამორანეზის**, შეიძლება, ორი თვე გაუცდეს. "უდინეზესთან" ბოლო ტურის მატჩისას (0:1), მან ფეხი იტკინა და 30-ე წუთზე შეცვალეს. ის თამაში ტურინელებისათვის ყოველმხრივ უიღბლო გამოვიდა. **ალესანდრო დელ პიერომ** ბურთი სამჯერ გაარტყა ძელს. კამორანეზი დაუყოვნებლივ გამოიკვლიეს. მას კუნთი აქვს დაზიანებული და ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. მომავალ უქმეებზე "იუვეს" "რომასთან" გასვლითი მატჩი აქვს. შეხვედრა კამორანეზის გარეშე ჩაივლის.

აქვე გეტყვით, რომ ტურინული კლუბის წარმომადგენლებმა დაადასტურეს **პიტერ კრაუჩით** დაინტერესების ფაქტი. "ლივერპულის" თავდამსხმელი მერსისაიდელებთან კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობს, რადგან სკამზე ჯდომა არ უნდა. ის არც მთავარი მწვრთნელის ნინადადებას თანხმდება, რის თანახმადაც კრაუჩმა სეზონის განმავლობაში 35-40 მატჩი უნდა ჩაატაროს. "ქალბატონის" მწვრთნელის **კლაუდიო რანიერი** პიტერს შესანიშნავად იცნობს. იანვრის ტრანსფერებისას "იუვე" ლივერპულელებს 8 მილიონ გირვანქას შესთავაზებსო, წერს "კორიერე დელლო სპორტი".

ბექჰემის სხვა როლი

დევიდ ბექჰემი დაშავებულია და ფეხბურთს ვერ თამაშობს, თორემ კომერციულ ასპარეზზე ერთი წუთითაც კი არ აქვს მოცლა. ამჯერად გალაქტიკო "მოტოროლის" სარეკლამო კამპანიითაა დაკავებული. მას პოსტერებისათვის სურათებს უღებენ. ეს კი ერთობ საპასუხისმგებლო პროცედურა გახლავთ. რა თქმა უნდა, ბექჰის გარშემო უთვალავი ჭორი ვრცელდება. ბრიტანული და ამერიკული მედია დაბეჯითებით ამტკიცებდა, ბექჰემი პოპულარულ ტელესერიალ "სასოწარკვეთილ დიასახლისებში" ეპიზოდურ როლს დათანხმდა და სადაცაა, ეკრანზე გამოჩნდებაო. უფრო შორს წავიდნენ ისინი, ვინც ამბობდნენ, დევიდს **რობი ვილიამსის** კლიპშიც გადაიღებენ, სადაც სახელგანთქმული ფეხბურთელი და მომღერალი ჰომოსექსუალისტი ნყვილის როლში წარდგებიანო. ბექჰემის წარმომადგენელმა ინფორმაცია იმდენად არასერიოზულად მიიჩნია, რომ მასზე კომენტარიც კი არ გააკეთა.

მარტინსი სკამზე ჯდომას არ აპირებს

ობა მარტინსი ნიუკასლური ყოფით უკმაყოფილოა. კლუბში ახალი მწვრთნელის მისვლის შემდეგ შემადგენლობა საგრძნობლად გადახალისდა. **სემ ელერდაისმა** ავსტრალიელი **მარკ ვიდუკა** მიიყვანა. გამოჯანმრთელდნენ **შოლა ამეობი** და **მაიკლ ოუენი**. ნიგერიელმა თავდამსხმელმა თადარიგში გადაინაცვლა. ის შარშანდელივით სტაბილურად აღარ თამაშობს. ელერდაისი აღიარებს, რომ მარტინსთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება მართებს. მან იცის, რომ ფეხბურთელი უკმაყოფილოა. თუ ობა სკამზე ჯდომას ითაკილებს, იანვრის ტრანსფერებისას გაყიდვა არ ასცდება. ელერდაისმა სათანადო მინიშნება უკვე გააკეთა.

ეგილ ოლსენი ერაყში წავიდა

ნორვეგიელმა ყოფილი მწვრთნელი **ეგილ ოლსენი** ერაყის ნაკრებში დაინიშნა. მან სამწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ერაყელთა დამრიგებლის პოსტი აზიის თასის დასრულებისთანავე გათავისუფლდა. ბრაზილიელმა **ჟორჟან ვიეირამ**, რომელმაც ომით გატანჯულ ქვეყანას კონტინენტის პირველობა მოაგებინა, ქუდი დაიხურა და შინ გაემგზავრა. ოლსენი ნორვეგიას 1990-98 წლებში ავარჯიშებდა. მან გუნდი ორჯერ გაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატზე. 1999 წელს მას პრემიერლიგის კლუბი "უიმბლდონი" ჩააბარეს, მაგრამ ქვედა დივიზიონში გავარდა და ერთი სეზონის შემდეგ დაითხოვეს.

რეკორდმაისტერი

5 სიმართლე ბაიერნის შესახებ

ეს არ არის უნაკლო გუნდი, მაგრამ მიუნხენელთა ჩემპიონობა მაინც გარდაუვალია...

მაინც რამდენად ძლიერია ყველა დროის ყველაზე ძვირადღირებული "ბაიერნი"? ხუთი ტურის შემდეგ, მიუნხენელები ისევ პირველ ადგილზე არიან, მაგრამ "შალკესთან" 1:1 რეკორდმაისტერის ზედიზედ მეორე ფრე გახლდათ (მე-4 ტურში "ჰამბურგს" დაუზავდნენ, ასევე 1:1), ანუ, FCB-მ უკვე მეორედ დაკარგა 2 ქულა. ცხადია, არავის ჰქონდა და აქვს იმის ილუზია, რომ "ბაიერნი" ყველა თამაშს მოიგებდა, მაგრამ პირველი სამი თამაშის უმაღლეს დონეზე ჩატარების შემდეგ, ზედიზედ ორი ფრე, მიუნხენელი ქომაგებისთვის მაინც დიდი იმედგაცრუება იყო. ამიტომაცაა, **ოტმარ ჰიტცფელდი** ასეთ რამეს რომ ამბობს: *"ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გაფრთხილებულები ვართ. გამარჯვებები თავისით არ მოვა, თითოეულმა ფეხბურთელმა მაქსიმუმი უნდა გაიღოს, ზუსტად ისე, როგორც პირველ მატჩებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადავეები ხელიდან იოლად გაგვექცევა."*

გუშინ, გაზეთი "ბილდი" ბავარიული გიგანტის შესახებ 5 სიმართლეზე წერდა.

1. ბაიერნი არ არის დაუმარცხებელი!

წარმოუდგენელი სისასტიკე, ტექნიკური, თითქმის იდეალური ფეხბურთი და ერთმანეთზე უკეთესი გოლები - აი, ასეთი იყო "ბაიერნის" სავიზიტო ბარათები პირველ სამ ტურში, "ჰანზასთან", ბრემენში და "ჰანოვერთან". ბოლო ორ შეხვედრაში კი, რეკორდმაისტერი საკმაოდ დიდ წინააღმდეგობას წააწყდა და რაც ყველაზე მთავარია, ჯერ "ჰამბურგის" და მერე "შალკეს" ფეხბურთელებმაც, **ფრანკ რიბერის** დაშოშმინება და გაუვნებელყოფა მოახერხეს. "შალკემ" ეს ორი საყრდენი ნახევარმცველის წყალობით გააკეთა - **მირკო სლომკამ** შაბათს ორი ტიპური ექვსიანით ითამაშა (**ერნსტი** და **ჯონსი**), რამაც გაამართლა. გაამართლა ზუსტად ისე, როგორც "ჰამბურგის" შემთხვევაში - "ბაიერნთან" მატჩში HSV-ს თავკაცმა **ჰუუბ სტევენსმაც** ორი საყრდენი გაამწესა (**იაროლიმი** და **დეიონგი**) და ამით რიბერი ფაქტობრივად უვნებელი გახადა. ჰიტცფელდმა კი, თავის გუნდს სულაც კიდევ ერთი ნაკლი აღმოუჩინა: *"მეტოქის საჯარიმოში არასაკმარისად მრისხანენი ვართ. ჩვენი თავდამსხმელები ბურთს ზედმეტად ათრევენ. ტონისა და კლოზეს უფრო მეტი ეგოიზმი მართებთ!"*

ოლივერ კანი კი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, რეალურად დასძენს: *"ჩვენ არ ვართ დაუმარცხებლები, ჩვენ არ ვართ იდეალური გუნდი! ასეთი არ არსებობს!"*

2. დაცვა ისევ თავდაუჯერებელია!

შეტევისა და ნახევარდაცვის განეიტრალების გამო, დაცვაშიც ძველმა პრობლემამ იჩინა თავი - უკანა ხაზს ისევ თავდაჯერების ნაკლებობა დაეტყო. მაგალითად, **ივან რაკიტიჩის** ულამაზეს გოლამდე **ლუსიომ** მიქარა, მანამდე კი ბრაზილიელმა ბევრჯერ უაზროდ დაკარგა ბურთი. ჰიტცფელდი ამბობს, რაკიტიჩის გოლის შემდეგ ლუსიოს ერთი შეცდომაც რომ დაეშვა, აუცილებლად შევცვლიდიო. და კანი? რამდენად ძლიერია "ტიტანი" თავის უკანასკნელ სეზონში, ეს წელს და გაისად დამტკიცდება, ფაქტი კი ის არის, რომ "შალკესთან" ოლიც ვერ გამოიყურებოდა კარგად. საუბარია ისევ და ისევ რაკიტიჩის გოლის მომენტზე, როცა კანმა რეაქცია აშკარად დააგვიანა. სამაგიეროდ, ოლიმ იმავე რაკიტიჩს მერე ფაქტობრივად მკვდარი ბურთი აუღო. საერთო ჯამში, თავდაჯერება კანსაც აკლია.

3. პოდოლსკის ადგილი სკამზეა!

ლუკას პოდოლსკიმ რუმინეთთან უდიდესი მნიშვნელობის გოლი შეაგდო და ის-ის იყო, გერმანელებმა იფიქრეს, პოლდი მკვდრეთით აღსდგაო, რომ "შალკესთან" ისევ უმაქნის ფეხბურთელად მოგვევლინა. პოდოლსკი მოედანზე 74-ე წუთზე, **ლუკა ტონის** ნაცვლად შევიდა და აშკარად გამოჩნდა, რომ ჰიტცფელდმა შეცდომა დაუშვა, როცა იტალიელი მოედნიდან გაიყვანა და მის ნაცვლად თამაშში პოლდი ჩართო. ფაქტია, რომ სანამ კლოზე და ტონი ჯანმრთელად არიან, პოდოლსკის ძირითად შემადგენლობაში თამაშის იმედი ტყუილად აქვს.

4. კლოზე იდეალურია!

მიროსლავ კლოზეს უკვე 4 გოლი აქვს გატანილი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მირო "ბაიერნის" იდეალური მიგნებაა. ჰიტცფელდი ამაყად ამბობს, რომ კლოზე ძალიან მოკლე პერიოდში გახდა "ბაიერნის" ლიდერი. ის 15 მილიონი ევრო, რაც რეკორდმაისტერმა "ვერდერს" ჩაუთვალა, სწორად დახარჯული ფულია და ეს უკვე დამტკიცდა.

5. ბაიერნის ჩემპიონობა მაინც უეჭველია...

"ბილდის" პროგნოზით, მიუხედავად იმისა, რომ რეკორდმაისტერი სულაც არ არის უნაკლო, ამ გუნდს "ვერცხლის სინში" მაინც ვერავინ შეეცილება, რადგან სხვა არცერთი ბუნდესლიგური კლუბი არ არის ისე კარგად დაკომპლექტებული, როგორც "ბაიერნია". რადგან არცერთ გუნდს არ ჰყავს რიბერის დარი მოთამაშე. ერთი სიტყვით, თუ "ბაიერნი" მხოლოდ ტოპგუნდებთან დაკარგავს ქულებს და ისიც მხოლოდ ორორს, ჰიტცფელდის კოლექტივს სერიოზული საფრთხე არ დაემუქრება...

გოტფრიდ ლენცი

კანს ასაკი დაეტყო, პოდოლსკი უმაქნისია, კლოზე - იდეალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ სიტი

ერიქსონი: ოთხეული? აღრეა

მანჩესტერელები 150 მილიონ გირვანქას დახარჯავენო



სვენ გორან ერიქსონი ამბიციური მიზნისაკენ მიიწევს

სვენ გორან ერიქსონი "მანჩესტერ სიტის" ოთხეულში მოხვედრას ნაადრევად მიიჩნევს. პრემიერლიგის ბოლო ტურში "სიტიმ" "ასტონ ვილას" მინიმალური ანგარიშით მოუგო. გუნდმა ექვს შეხვედრაში ოთხი გამარჯვება მოიპოვა. მას ლიდერი "არსენალისაგან" ერთი ქულა ჰყოფს. გულშემატკივრების მადა კი თანდათან იზრდება. აი, სვენის კომენტარი: *"ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, ჩემპიონატი რომ დღეს დასრულდეს და მეორე ადგილი გვერგოს, მაგრამ არა მგონია, ამბიციურ გეგმებზე საუბარი ღირდეს. ჩემი აზრით, პირველი ოთხი ადგილი დიდ ოთხეულს შორის განაწილდება, მაგრამ შეიძლება, სხვაგვარადაც მოხდეს. ვერაფერს გამოვრიცხავთ, რადგან ამ სეზონისათვის კლუბები განსაკუთრებულად მოემზადნენ."*

ერიქსონი დახარჯულ თანხებს გულისხმობს. პრემიერლიგის ოცმა კლუბმა ახალ ფეხბურთელებში მილიარდ დოლარზე მეტი გადაიხადა. ოციდან თორმეტმა კლუბმა შემადგენლობის გაძლიერებას 40 და მეტი მილიონი დოლარი მოახმარა. "სიტიც" მათ შორის იყო. სვენმა ზაფხულის ტრანსფერებში 80 მილიონი დოლარი გაიღო. "მირორის" კი იუწყება, რომ ეს ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რასაც მანჩესტერელები მომდევნო ერთი წლის განმავლობაში დახარჯავენ. პოპულარული ტაბლოიდი 150 მილიონ გირვანქაზე საუბრობს. ეს 300 მილიონი დოლარია. "სიტის" ხელმძღვანელობას სურს, კლუბი უმოკლეს დროში ჩემპიონთა ლიგაში იხილოს.

ზაფხულში სვენმა ათი ფეხბურთელი დაიმატა. იანვრის ტრანსფერებისას ის პალერმოელი ცენტრალური მცველის **კრისტიანო ძაკარდოს** შეძენას აპირებს. ძაკარდომ სიცილიელებთან კონტრაქტი 2012 წლამდე გააგრძელა. ამიტომ ის საკმაოდ ძვირი ეღირება. ერიქსონმა პალერმოელთა კიდევ ერთ ფეხბურთელს დაადგა თვალი - მას **მარკო ბრუშიანოს** შეძენაც სურს.



დაითხოვენ თუ არა მამლები მარტინ იოლს?

ტოტენჰემი

იოლის ექვსი მატჩი იოლი არ იქნება

"ტოტენჰემის" სატურნირო მდგომარეობას არ გამოასწორებს (ექვსიდან ოთხი თამაში წაგო და ბოლოდან მესამე ადგილზეა), ჰოლანდიელს სასნაულიც ვეღარ გადაარჩენსო, ასეთია "დეილი მეილის" დასკვნა. იოლის შემცვლელად ისევ სევილიელ **ხუანდე რამოსს** ასახელებენ. "ტოტენჰემთან" დაახლოებული წყარო ამბობს, ესპანელი მწვრთნელი თანახმაა, ის მხოლოდ ოფიციალურ შეთავაზებას ელოდებაო.

"ტოტენჰემის" თავმჯდომარე **დანიელ ლევინ** მწვრთნელს კვლავ ნდობა გამოუცხადა, მაგრამ მისი ნდობა უსაზღვრო არ არისო, წერენ მიმომხილველები. აი, ლონდონელთა მომდევნო ექვსი შეხვედრაც: "ბოლტონთან" (სტუმრად), "ლივერპულთან" (სტუმრად) და "ასტონ ვილასთან" (შინ) პრემიერლიგაში, "მიდლსბროსთან" ლიგის თასზე და კვიპროსულ "ანორთოსისთან" ორმატჩიანი დაპირისპირება უეფას თასზე. თუ ამ ხნის განმავლობაში "ტოტენჰემი" სატურნირო მდგომარეობას არ გამოასწორებს (ექვსიდან ოთხი თამაში წაგო და ბოლოდან მესამე ადგილზეა), ჰოლანდიელს სასნაულიც ვეღარ გადაარჩენსო, ასეთია "დეილი მეილის" დასკვნა. იოლის შემცვლელად ისევ სევილიელ **ხუანდე რამოსს** ასახელებენ. "ტოტენჰემთან" დაახლოებული წყარო ამბობს, ესპანელი მწვრთნელი თანახმაა, ის მხოლოდ ოფიციალურ შეთავაზებას ელოდებაო.

იოლს მღელვარება არ ემჩნევა. ის დარწმუნებულია, რომ ექვსი მატჩის შემდეგაც "უაით ჰართ ლეინზე" იმუშავებს. იოლი **ჯერმეინ დეფოსაც** კი ემუქრება. თუ თავდამსხმელი ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, მწვრთნელი მას სათადარიგო გუნდში მიაბრძანებს. "სანის" ცნობით, დეფოს კონტრაქტი გაისად იწურება. "ტოტენჰემმა" მას ახალი შეთანხმება 2012 წლამდე შესთავაზა, ფეხბურთელმა კი ხელშეკრულების გაგრძელებისაგან თავი შეიკავა. იოლი საუკეთესო მოთამაშეების გაყიდვას არ აპირებს. დეფო მისი გუნდის ერთ-ერთი აღიარებული ლიდერია.

არსენალი

უსმანოვის მეორე სვლა

მეთოფეებზე მეტს ფულს მხოლოდ რეალი აკეთებს

ცოტაც და ალიშერ უსმანოვი ლონდონელთა ბოსი გახდება

ამერიკელი მილიარდერი **სტენ კროენკე** "არსენალის" აქციების გაყიდვას აპირებს. მასთან გარიგება რუს **ალიშერ უსმანოვს** სურს. უსმანოვმა "მეთოფეების" ყოფილ ვიცე-თავმჯდომარე **დევიდ დინს** 14.5-პროცენტიანი წილის სანაცვლოდ 75 მილიონი გირვანქა გადაუხადა. ის კროენკეს უფრო პატარა წილის, 12.2 პროცენტის სანაცვლოდ, ხუთი მილიონით მეტს შესთავაზებს. ამგვარად, უსმანოვის ხელში "არსენალის" აქციების 26.7 პროცენტი მოიყრის თავს. რუსი ოლიგარქი ლონდონელების უმსხვილესი აქციონერი გახდება. სადღეისოდ ყველა დიდი წილი **დენი ფიშმანს** აქვს - 24 პროცენტი. უმსხვილესი აქციონერის სტატუსი უსმანოვს გადამწყვეტი ხმის უფლებას მიანიჭებს. მას შეეძლება, ვეტო დაადოს დირექტორატის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, რომელსაც არ დაეთანხმება.

აქვე გეტყვით, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში "არსენალის" შემოსავალი ორჯერ გაიზარდა. მან 80 მილიონი გირვანქა შეადგინა. შემოსავლის ზრდა "ემირიტს სთედიუმს" უკავშირდება. "მეთოფეებზე" მეტი ფული მხოლოდ "რეალმა" გააკეთა - 102 მილიონი გირვარქა. მესამე ადგილზე გასული "მანჩესტერ იუნაიტედი" ლონდონელებს 13 მილიონი გირვანქით ჩამორჩა. რა გასაკვირია, რომ ასეთი წარმატებების შემდეგ ლონდონური გრანდი ინვესტორების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი ხდება.

მწვრთნელი

სკოლარი მუშაობას გააგრძელებს

პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია **ლუიშ ფელიპე სკოლარისთან** კონტრაქტის გაწყვეტას არ აპირებს. სერბეთთან ოთხშაბათის შესარჩევი მატჩის (1:1) მიწურულს ბრაზილიელი მწვრთნელი მეტოქის ნახევარმცველ **ივიცა დრაგუტინოვიჩს** ნაეკიდა. კადრში ჩანდა, თითქოს სკოლარი მეტოქის ფეხბურთელს ხელითაც კი შეეხო. მომხდარს დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. უეფამ საგამოძიებო კომისია შექმნა. სერბეთის ფეხბურთის ფედერაციამ სკოლარის დასჯა მოითხოვა. გამოძიებას შეუდგა პორტუგალიური ფედერაციაც. ადგილობრივმა პრესამ სეუ ლუიშ ფელიპეს დათხოვნა იწინასწარმეტყველა, მაგრამ ვარაუდი არ გამართლდა. სკოლარი მუშაობას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს. პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟილბერტო მადაილმა** თქვა: *"მომხდარის გამო ძალიან ვწუხვართ, მაგრამ მწვრთნელთან კონტრაქტის გაწყვეტას გამოვრიცხავთ. ვიდეოჩანაწერი დეტალურად შევისწავლეთ. გავეცანით ინციდენტის შემდეგ გაკეთებულ განცხადებებს, აგრეთვე უეფას დამკვირვებლის მოხსენებით ბარათს."*

ნამატჩევს სკოლარიმ საჯაროდ მოიბოდიშა. მან მიმართა პორტუგალიელ გულშემატკივრებს, ქვეყნის ფედერაციას, აგრეთვე სერბეთის ფედერაციას. სკოლარის დრაგუტინოვიჩისათვის ბოდიში არ მოუხდია. უფრო მეტიც, ის მიიჩნევს, რომ ფეხბურთელთან საბოდიშო არაფერი აქვს, რადგან ინციდენტისას საკუთარ შეგირდს, **რიკარდო კვარეშმას** იცავდა. მწვრთნელის განმარტებით, დრაგუტინოვიჩი კვარეშმასათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებას აპირებდა.

კოსტაკურტა ქუინზ პარკის მთავარ მწვრთნელად?

"მილანის" მეორე მწვრთნელ **ალესანდრო კოსტაკურტას** "ქუინზ პარკ რეინჯერსის" გაძღოლა შესთავაზეს. ეს ინფორმაცია "დეილი მირორში" ამოვიკითხეთ. ერთი კვირის წინ ლონდონური კლუბი ფორმულა ერთის ბოსმა **ბერნი ეკლსტოუნმა** და ფორმულა ერთის კლუბ "რენოს" ხელმძღვანელმა **ფლავიო ბრიატორემ** შეიძინეს. კოსტაკურტას მიწვევის იდეაც მათ ეკუთვნით. ალესანდრომ ფეხბურთელის კარიერა ივნისში დაასრულა და მაშინვე **კარლო ანჩელოტის**თანაშემწედ დაინიშნა. მსი სამწვრთნელო კარიერა მხოლოდ რამდენიმე თვეს მოიცავს. ბილის დამოუკიდებლად არსად არ უმუშავია. მისი მიწვევა იმიტომაა უცნაური, რომ ეკლსტოუნი და ბრიატორე "ქუინზ პარკის" პრემიერლიგაში აღზევებას აპირებენ. საამისოდ კი, წესით, გამოცდილი სპეციალისტი სჭირდებათ.

სილვესტრმა სეზონი დაასრულა?

მიკაელ სილვესტრმა სეზონი ნაადრევად დაასრულა. "ევერტონთან" მატჩისას (1:0) "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი უხერხულად დაეცა, მუხლი გადაიბრუნა და მყესები გაიწყვიტა. საბრალო სილვესტრი მინდვრიდან საკაცით გაიყვანეს. ის "ეშმაკების" მესამე ფეხბურთელია, რომელიც წელს ლაზარეთში მუხლის უმძიმესი ტრავმით მოხვდა. უფრო ადრე კორეელი ნახევარმცველი **ჟი სუნ პარკი** და მეკარე **ბენ ფოსტერიც** ანალოგიურად დაშავდნენ. მარტში სილვესტრს მხარის ოპერაცია გაუკეთეს. ფრანგმა მცველმა სამი თვე დაისვენა. "ეშმაკებს" დაცვის მარცხენა ფლანგზე პრობლემები აქვთ. მოგეხსენებათ, **გაბრიელ ჰაინცე** "რეალში" გადავიდა. **ჯონ ოში** და **დარენ ფლეტჩერიც** დაშავებულები არიან. **სერ ალექს ფერგიუსონს** ერთადერთი მარცხენა მცველი, დარჩა - **პატრის ევრა**.

ჩელსი vs ბლექბერნი: თანამსაჯი შეცდა, მაგრამ აპატიეს

"ჩელსი"-"ბლექბერნის" მატჩის თანამსაჯი **პიტერ კირკუპი** არ დაისჯება. ეს გადაწყვეტილება ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ მიიღო. კირკუპმა "არისტოკრატებს" წესების დაცვით გატანილი გოლი არ ჩაუთვალა. მან არარსებული თამაშგარე დააფიქსირა, რის გამოც შეხვედრა 0:0 დასრულდა. ლონდონელთა თავკაცმა **ჟოზე მოურინიომ** კი განიავებული ორი ქულა სწორედ მისტერ კირკუპს გადააბრალა. სამსაჯო კომისიის თავმჯდომარე **კიტ ჰეკეტმა** მიიჩნია, რომ თანამსაჯს შეიძლებოდა, სათანადოდ ვერ შეეფასებინა საკამათო ეპიზოდი, რადგან თვითონ ჰეკეტს სიმართლის დასადგენად ყველა რაკურსით გადაღებული კადრები დასჭირდა. მან, რა თქმა უნდა, აღიარა, რომ **სალომონ კალუს** გოლი უნდა ჩათვლილიყო, მაგრამ კირკუპის შეცდომა საპატიოდ ჩაითვალა. იმასაც შეგახსენებთ, რომ რამდენიმე კვირის წინ სამსაჯო კომისიამ "ლივერპული"-"ჩელსის" მატჩის (1:1) არბიტრი **რობ სტაილზი** "არისტოკრატების" სასარგებლოდ დანიშნული არარსებული პენალტის გამო ერთი მატჩით მოკვეთა. ახლა საფეხბურთო ასოციაცია მოურინიოს საქციელს შეისწავლის. "ბლექბერნთან" ნამატჩევს "ჩელსის" ბოსი მინდორზე შევიდა და მთავარ მსაჯ **ჰოვარდ ვებთან** გამართა კამათი.

ორი ფლორენციული ტრანსფერი

"ფიორენტინა" ბუქარესტელ ნახევარმცველ **ნიკოლაე დიკეს** აკვირდება. ის "სტიაუაში" თამაშობს. ფლორენციელთა ბანაკშია დიკეს თანამემამულე **ადრიან მუტუ**. 27 წლის ფლეიმეიქერს სწორედ მუტუმ გაუწია რეკომენდაცია. დიკე 7 მილიონი ევრო ღირს. მას "ასტონ ვილაც" ეპატიჟება. ამასობაში, "ფიორენტინა" ბრაზილიელი თავდამსხმელის **ლულინიას** შეძენასაც აქტიურად ცდილობს. 17 წლის ფეხბურთელზე "ტოტენჰემი" და "პალერმო" აცხადებენ პრეტენზიას.

შეტაკება ბუქარესტში

გასულ უქმეებზე ბუქარესტული დერბი "სტიაუასა" და "რაპიდს" შორის, ფანების შეტაკებით დასრულდა. შეტაკებისას მძიმედ დაშავდა ერთი პოლიციელი. სამართალდამცველებმა ჩხუბის ორგანიზატორი ათი სტიაუელი და ორი რაპიდელი გულშემატკივარი დააპატიმრეს. პოლიციამ ცრემლმდენი გაზი და ხელკეტები გამოიყენა. მატჩი საკმაოდ უსახური გამოვიდა და უგოლოდ დასრულდა, 0:0.

ბარსელონიდან ევერტონში?

"ევერტონს" 19 წლის მექსიკელი ნახევარმცველის **ეფრაინ ხუარეს ვალდესის** შეძენა სურს. ის "ბარსელონის" სარეზერვო გუნდის ნევრია, ესპანელი მიმომხილველები კი მეორე **ფრანსესკ ფაბრეგასს** უწოდებენ. ვალდესი კატალონიიდან აბარგებას აპირებს. ის კლუბს კონტრაქტის პირობებზე ვერ ურიგდება. "მირორის" ცნობით, ლივერპულელები ყმაწვილის აგენტს დაუკავშირდნენ. ტრანსფერი "ევერტონს" ერთი ცენტიც კი არ დაუჯდება. მთავარია, მერსისაიდელებმა ფეხბურთელისათვის სამუშაო ვიზა აიღონ. ვალდესს მექსიკის ეროვნულ ნაკრებში ერთი მატჩიც კი არ აქვს ნათამაშები.

ლივერპულის მორიგი ესპანური ნაძავლი

"ლივერპული" "სევილიის" ცენტრალულ მცველ **დანიელ აიალას** სამწლიან კონტრაქტს სთავაზობს. ეს ბიჭი 16 წლისაა, მაგრამ ასაკისათვის შეუფერებელი ფიზიკური მონაცემებით გამოირჩევა. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ აიალა სიმაღლით 190 სანტიმეტრია. დანიელმა ანდალუსიელებთან პროფესიული კონტრაქტის გაფორმება არ ისურვა. მერსისაიდელებს ხელ-ფეხი გაეხსნათ. მათ თინეიჯერი ფეხბურთელის შეძენა 250 ათას გირვანქად შეუძლიათ.

ლემანის სამი გერმანული არჩევანი

იენს ლემანს რამდენიმე გერმანული კლუბი ეპატიჟება. ამ ინფორმაციას "სანდი მირორი" ავრცელებს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ გოლკიპერს "არსენალიდან" აბარგება მოუწევს. მას "მეთოფეების" ძირითადში ადგილი გარანტირებული აღარ აქვს. გამოჯანმრთელების შემდეგ ლემანს თადარიგში ყოფნა ემუქრება. გაისად ევროპის ჩემპიონატია. უთამაშებლობის შემთხვევაში, იენსი შეიძლება ნაკრების მიღმაც აღმოჩნდეს. 37 წლის კარის დარაჯით "შტუტგარტი", "ჰერტა" და მიონხენგლადბახის "ბორუსია" დაინტერესდენო, წერს ბრიტანული მედია. გერმანულ კლუბებს კომენტარი არ გაუკეთებიათ.

როზინა ბენფიკამაც მოიკითხა

"ბენფიკა" იმ კლუბების რიცხვს შეუერთდა, რომელთაც "ტორინოს" გამთამაშებელი **ალესანდრო როზინა** სურთ. ლისაბონელები იტალიის ახალგაზრდული ნაკრების ვარსკვლავის სანაცვლოდ 20 მილიონ ევროს ამზადებენ. ასეთი გულუხვი პირობები ჯერჯერობით არცერთ სხვა დაინტერესებულ კლუბს არ წამოუყენებია. ბოლო ორი კვირის განმავლობაში როზინათი დაინტერესება "ინტერმა", "ჩელსიმ" და "მანჩესტერ სიტიმ" გამოთქვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲯᲘᲣᲓᲝ

ნესტორამ ვერცხლით გაასამა

ნესტორ ხერგიანის ფინალური ბრძოლა

ავტორის ფოტოები

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

მთელი კვირადღე ხერგიანი მშვიდად იყო, მღელვარება და ნერვიულობა ნამდვილად არ ეტყობოდა. გასახურებელ დარბაზში იმ კუთხეში იჯდა, სადაც ჩვენების ჩანთები ელაგა და ექიმ-მწვრთნელები ისხდნენ. როცა გასახურებლად წამოდგებოდა, საკუთარ ძალებში დარწმუნებული და საქმიანი კაცის იერით მიდი-მოდიოდა. თან, აქტიურად ხურდებოდა. მონღოლი **ხაშბაატარი** ნამდვილად არაა ხელწამოსაკრავი მეტოქე, მაგრამ ხერგიანს მასთან შეხვედრაში ყველაფერი გამოსდიოდა და იპონითაც მოუგო.

ხერგიანმა ფინალამდე დარჩენილი ნახევარი საათიც აბსოლუტურ სიმშვიდეში გაატარა. მღელვარება და ნერვიულობა არც ბოლო მომენტებში დატყობია - ისევ საქმიანი იერით ხურდებოდა, ან მწვრთნელებს უსმენდა. თუმცა არც **შოთა ხაბარელს** და არც **გურამ მოდებაძეს** ბევრი არ უჩიჩინიათ მისთვის - ხერგიანი უკვე იმდენად გამოცდილია, ბევრი დარიგება არც სჭირდება. იმ წუთებში ხერგიანის ახლოს რამდენიმე ჩვენებური იმყოფებოდა - მწვრთნელები, ექიმები, მაგრამ ჭიდაობას და მეტოქის თემას თითქოს ტაბუ ედო. სამაგიეროდ, სახეზე ყველას რაღაც დიდის მოლოდინი ეწერა. როცა არენაზე გასასვლელად უხმეს, ხაბარელმა მხოლოდ მაშინ უთხრა, აბა, შენ იცი, ნესტორო. ამანაც კიმონო მოიცვა და ტრადიციული რიტუალი ჩაატარა - ხელები სახეზე რამდენჯერმე მძლავრად შემოირტყა და ხმამაღლა დაიყვირა.

სიმართლე გითხათ, **რუბენ ჰოუკესთან** მოგებისა ყველას გვეიმედებოდა. მართალია, შარშან ევროპის პირველობაზე ბრინჯაო სწორედ ჰოლანდიელმა წაართვა, მაგრამ მერე ხერგიანმაც მოუგო რომელიღაც ტურნირზე. ჰოუკესი ნამდვილად არ გამოიჩევა განსაკუთრებული მონაცემებით, მაგრამ ფინალური შეხვედრა თავის სასარგებლოდ კი წარმართა. უპირველესად, მან ხელები გაუთიშა ხერგიანს და შეიძლება ითქვას, გააუვნებლა. ნესტორს არც თავისი საყვარელი ფანდის - ფეხში ხელით შესვლის შანსი მიეცა და არც შეტევისა. ამ ბრძოლას აშკარად ჰოლანდიელი წარმართავდა და ერთი იუკოც მიითვალა, მანამ კი ჩვენებურიც გააფრთხილებინა. მართალია, შეხვედრის მიწურულს შიდო ხერგიანმაც მიაცემინა, მაგრამ ეს უკვე არაფერს ცვლიდა.

ხერგიანი გასახურებელ ოთახში განბილებული სახით დაბრუნდა და რა ცოტა დამაკლდაო, სინანულით ჩაილაპარაკა. მას მაშინვე მიესივნენ მიმლოცველები. პირველი მისი ძველი მეტოქე, ავსტრიელი **ლუდვიგ პაიშერი** მივიდა, მერე - დანარჩენები. მაგრამ ყველაზე მეტი მილოცვა მაინც მომსახურე პერსონალისგან მიიღო. მერე მას და ხაბარელს მაისურებიც გაუცვალეს. ვიდრე დასაჯილდოებლად გაიძახებდნენ, ხერგიანი ტანსაცმელს იცვლიდა, მაგრამ კომენტარის გასაკეთებლად მაინც მოიცალა:

- ცხადია, ჩემპიონობა უკეთესი იქნებოდა და შეიძლებოდა კიდეც, მაგრამ ჰოუკესი რაღაცნაირი უხერხული მეტოქეა - მაღალია და გრძელი ხელები აქვს, ახლოს ვერ მიუდგები. ჩემი ასაკიდან გამომდინარე, მაინც მოხარული ვარ. მთავარია, უმედლოდ არ მივდივარ საქართველოში, რომელსაც პირველ რიგში ვულოცავ ამ მედალს. მერე - ოჯახს, სამეგობროს, ნაკრებისა თუ ფედერაციის ხელმძღვანელობას, სამედიცინო შტაბს, რომელიც ძალიან გვეხმარებოდა.

ამდენად, ხერგიანმა თავის აქტივს მორიგი მნიშვნელოვანი მედალი შეჰმატა. ეს მისი მეორე ჯილდაა მსოფლიო ჩემპიონატზე - პირველი მედალი, ბრინჯაოსი მან 1999 წელს მოიპოვა.

ამით მსოფლიოს 25-ე ჩემპიონატი რომელშიც 138 ნაკრები მონაწილეობდა, ისტორიას ჩაჰბარდა. იგი საკმაოდ უცნაურად წარიმართა და მასპინძელთა ტრიუმფით დამთავრდა. ვაჟთა ტურნირში ოქროს მედლები 6 ქვეყანაზე განაწილდა. აქედან 3 ბრაზილიელთა მონაგარია, თითო-თითო კი საქართველომ, იაპონიამ, კორეამ, ჰოლანდიამ და საფრანგეთმა მოიპოვეს. როგორც იქნა, ბოლო დღეს ოქრო იაპონიასაც ეღირსა. ჰოლანდიაც ბოლოს დღეს შესწვდა ამ ტიტულს.

ამ ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების გამოსვლა ერთნიშნად წარმატებულია. როცა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებ, სხვანაირი შეფასება ძნელია. გავითვალისწინოთ, რომ რუსეთის ნაკრები დარჩა ოქროს გარეშე, ხოლო სხვებზე არაფერს ვამბობ. რაც შეეხება ლიცენზიებს, კედელაშვილსა და ქევხიშვილს მათი მოპოვების პრობლემა არ ექნებათ. ჩანს, ყველაზე პრობლემურად კვლავ 81 კილოგრამი წონითი კატეგორია დაგვრჩება.

ეს ჩემპიონატი რამდენიმე დიდი მოჭიდავისთვის ოცნებების სასაფლაოდ იქცა. მაგალითად, სახელოვანი რუსი მძიმეწონოსანი **ტამერლან ტმენოვი** ისე მიდის სპორტიდან, მსოფლიო ჩემპიონობას ვერ ეღირსა. რიო მისთვის ერთ-ერთი ბოლო შანსი იყო. სავარაუდოდ, პეკინის ოლიმპიადის შემდეგ სახელოვანი ჰოლანდიელი **მარკ ჰუზინგაც** (90) წავა სპორტიდან. მან ხუთჯერ მოიგო ევროპის პირველობა, მსოფლიოსი კი ერთხელაც არ ეღირსა. თუმცა იგი ტმენოვზე უფრო ბედნიერია - ოლიმპიური ჩემპიონიც გახლავთ, რუსისგან განსხვავებით. როგორც იქნა, ბრინჯაოს გადაახტა სახელოვანი კუბელი **იორდანს არენსიბია**, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონობას მაინც ვერ შესწვდა. იგი რამდენჯერმე გავიდა მსოფლიო პირველობის ნახევარფინალში, ერთხელ - ოლიმპიადისაც, მაგრამ ყველა წააგო. მის ანგარიშზე აქამდე მსოფლიოს სამი და ერთიც ოლიმპიური ბრინჯაო ირიცხებოდა, ახლა კი ვერცხლიც გაჩნდა.

CAMPEONATO MUNDIAL DE JUDÔ
RIO 2007

ᲯᲘᲣᲓᲝ. ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲠᲘᲝ ᲓᲔ ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝ, ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ 13-16 ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2007

60 ᲙᲒ

1. რუბენ ჰოუკესი, ჰოლანდია
2. ნესტორ ხერგიანი, საქართველო
3. ლუდვიგ პაიშერი, ავსტრია
3. ჩოი მინ ჰო, კორეა
5. როკ დრაჟიჩი, სლოვენია
5. ცაგანბაატარ ხაშბაატარი, მონღოლეთი
7. ტაცუაკი ეგუსა, იაპონია
7. ჯემალ ოგუზი, თურქეთი

66 ᲙᲒ

1. ჟოაო დერლი ჟუნიორი, ბრაზილია
2. იორდანის არენსიბია, კუბა
3. არაშ მირესმიალი, ირანი
3. არმენ ნაზარიანი, სომხეთი
5. ჯოვანი კაზალე, იტალია
5. მიკლოშ უნგვარი, უნგრეთი
7. ანდრეას მიტერფელნერი, ავსტრია
7. საშა მეჰმედოვიჩი, კანადა

73 ᲙᲒ

1. ვანგ კი ჩუნი, კორეა
2. ელნურ მამადლი, აზერბაიჯანი
3. იუსუკე კანამარუ, იაპონია
3. რასულ ბოკიევი, ტაჯიკეთი
5. სეზერ ჯუისუზი, თურქეთი
5. დავით ქევხიშვილი, საქართველო
7. კონსტანტინ სემენოვი, ბელარუსი
7. რობერტ გესი, გერმანია

81 ᲙᲒ

1. ტიაგო კამილო, ბრაზილია
2. ანტონი როდრიგესი, საფრანგეთი
3. გიიომ ელმონტი, ჰოლანდია
3. იუან ბარტონი, გრიტანეთი
5. რობერტ კრავჩიკი, პოლონეთი
5. ჯუზეპე მადალონი, იტალია
7. კვონ იონგ ვოო, კორეა
7. ტომიასლავ მარიანოვიჩი, ხორვატია

90 ᲙᲒ

1. ირაკლი ცირეკიძე, საქართველო
2. ილიას ილიადისი, საბერძნეთი
3. რობერტო მელონი, იტალია
3. ივან ჰერშენი, რუსეთი
5. მარკ ჰუზინგა, ჰოლანდია
5. ჯიშამ მესბაჰი, ეგვიპტე
7. ვინსტონ გორდონი, გრიტანეთი
7. ელზან მამალოვი, აზერბაიჯანი

100 ᲙᲒ

1. ლუსიანო კორეა, ბრაზილია
2. ვიტერ კაუზინსი, გრიტანეთი
3. დანიელ ჰადფი, უნგრეთი
3. ორვიდის დესპენი, კუბა
5. ამელ მეკიჩი, ბოსნია
5. ლეონერ ჟორჟოლიანი, საქართველო
7. ვიტალი გუგონი, უკრაინა
7. უტკირ ყურგანოვი, უზბეკეთი

მძიმე

1. ტედი რინერი, საფრანგეთი
2. ტამერლან ტმენოვი, რუსეთი
3. ლაშა გუჯეჯიანი, საქართველო
3. ჟოაო ფლიტერი, ბრაზილია
5. კოსეი ინუე, იაპონია
5. სიანკუნ ვეი, ჩინეთი
7. აბდულო ტანგრიევი, უზბეკეთი
7. ოსკარ ბრისონი, კუბა

ᲐᲑᲡᲝᲚᲣᲢᲘᲠᲘ

1. იასუიუკი მუნეტა, იაპონია
2. იური რიბაკი, ბელარუსი
3. მათიო ბატე, საფრანგეთი
3. აბდულო ტანგრიევი, უზბეკეთი
5. დანიელ ერნანდესი, ბრაზილია
5. ნაიდან ცუვშინგაიარი, მონღოლეთი
7. ფრანც ბირკფელნერი, ავსტრია
7. მოულად მირალიევი, აზერბაიჯანი

	ო	ვ	ბ
ბრაზილია	3	-	1
საქართველო	1	1	1
საფრანგეთი	1	1	1
იაპონია	1	-	1
კორეა	1	-	1
ჰოლანდია	1	-	1
კუბა	-	1	1
რუსეთი	-	1	1
გრიტანეთი	-	1	1
აზერბაიჯანი	-	1	-
ბელარუსი	-	1	-
საბერძნეთი	-	1	-
იტალია	-	-	1
უნგრეთი	-	-	1
ავსტრია	-	-	1
ირანი	-	-	1
სომხეთი	-	-	1
ტაჯიკეთი	-	-	1
უზბეკეთი	-	-	1

პეკინამდე სწორ გზაზე ვართ

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ **დამთავრების შემდეგ ჩემპიონატზე ჩვენი ნაკრების გამოსვლის შეფასება ნაკრების თავკაც შოთა ხაბარელს ვთხოვეთ.**

-ᲠᲝᲒᲝᲠ **აფასებთ ამ ჩემპიონატზე ჩვენი გუნდის გამოსვლას?**

-საქართველოდან როცა მოვდიოდი, ერთ-ერთ ტელეინტერვიუში კიდეც ვთქვი, რომ ოთხ ლიცენზიას და ორ მედალს ავიღებდით. მერე კიდეც ვფიქრობდი, ნეტავ, თუ გამართლდება ჩემი სიტყვები-მეთქი, მაგრამ სამი მედალი და ხუთი საგზური მოვიპოვეთ. თანაც, 18-წლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონი ისევ გვყავს. ბაინდურაშვილისა და ხანჯალიაშვილის გარდა, ყველას ჭიდაობით კმაყოფილი ვარ. ბაინდურაშვილმა სამი შეხვედრა კი მოიგო, მაგრამ ეს მაინც არ მაკმაყოფილებს, ხანჯალიაშვილის გამოსვლას კი რა დავარქვა, არ ვიცი. ძალიანან უნდილად იჭიდავა, მეტოქე არ შეაფასა და დაისაჯა კიდეც.

ჩვენი შეკრებებიდან და ტურნირებიდან გამომდინარე, ბიჭები კარგად მოემზადნენ და ჩემპიონატს პიკზე შეხვდნენ. არც ერთს არ აწუხებდა არც სუნთქვის პრობლემა, ფიზიკურად კარგად იყვნენ მზად. შვიდი წონითი კატეგორიიდან ხუთში მოვიპოვეთ ლიცენზია.

- ნლეულს მართლაც ჩინებული სეზონი გქონდათ, რაც ჯერ კიდევ ევროპის პირველობის წინ გეტყობოდათ. მაინც რისი დამსახურებაა ასეთი აღმასვლა და საოლიმპიადოდ რამე ცვლილებებს ხომ არ გეგმავთ მზადების შეთოდებში?

- ჩვენ სწორი მიმართულებით მივდივართ. გურამ რატიშვილის ხელმძღვანელობით საკმაოდ მობილური და კარგი სამეცნიერო ჯგუფია შეკრებილი, მწვრთნელთა საბჭოც აქტიურად მუშაობს. ყველაფერი წინასწარაა გათვლილი და ყოველ ვარჯიშს თავისი დანიშნულება აქვს. სწორედ ამან მოიტანა წარმატება. ოლიმპიადისთვის რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებებს არ შევიტანთ, რადგან სწორად მივდივართ. პატარ-პატარა სიახლეები, რა თქმა უნდა, იქნება. ალბათ, ძირითად ყურადღებას ტაქტიკურ მომზადებას დავუთმობთ, კიდევ გავზრდით სავარჯიშო დროის ხანგრძლივობას, მაგრამ უმნიშვნელოდ.

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ
ᲠᲘᲝ ᲓᲔ ᲟᲐᲜᲔᲘᲠᲝᲓᲐᲜ

შოთა ხაბარელი

საქართველო
GEORGIA

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტიჯუჩი ჭიდაობა | მსოფლიო ჩემპიონატი

ბედინაძეს ცირეკიძისგან

პირველი გვერდიდან

ამ დავიდარაბის გამო დღის პირველი ნაწილი მთლიანად გამოვტოვეთ. ასე რომ, ვერაფერს გეტყვით, როგორ იჭიდავა 55 კილოში **მამუკა ხოზრევანიძემ** (შედეგის მიხედვით, ცხადია, არცთუ კარგად), რომელმაც პირველივე ბრძოლა უკრაინელ **უიუგარ რაგიმოვთან** წააგო 1-1, 1-2 და ამით დაასრულა ასპარეზობა. 66 კილოში მოჭიდავე **ლაშა ლომაძემ** კი პირველი პერიოდი მოუგო მსოფლიო ჩემპიონ **ლი იანიანს** (ჩინეთი), მაგრამ შემდეგ ნეკნი გაიბზარა და დამარცხდა – 0:2, 0:3. თავიდანვე ბედინაძის იმედად დავრჩით, რომელმაც ჯერ ფინელ **იარკო ალა-ჰუიკუს** მოუგო – 2:2, 0:2, 3:0, შემდეგ – ბერძენ **ხრისტოს გიკასს** 1:2, 1:1, 7:0. მესამე წრეში ქართველმა არც ჩრდილოკორეელი **ჰო სონგ ლი** დაინდო – 3:3, 4:2. ამის მერე ქართველი ნახევარფინალში ყველაზე ძლიერ მეტოქეს, რუმინელ **ეუსებიო დიაკონუს** შეხვდა და ჩვენც დარბაზში შევაღწიეთ. საბოლოო ანგარიში ანალოგიური იყო, როგორც კორეელ ჰოსთან, მაგრამ დაძაბულობა, როგორც გვითხრეს, წინა ბრძოლასთან შედარებით ათმაგი იყო. ერთი ხანობა ბედინაძის გამარჯვება სათუო იყო, თუმცა საბოლოოდ ქართველმა დაუმტკიცა რუმინელს, რომ ეუსებიო ძალიან მაგარი მხოლოდ ფეხბურთში შეიძლება იყოს. ამით ბედინაძემ მინიმუმ ვერცხლის მედალი გაინაღდა. ეს გავიფიქრეთ და მაშინვე მისი "ფინალის სინდრომი" გაგვახსენდა (სერიოზულ საერთაშორისო ტურნირის ფინალში ყოველთვის აგებდა) და ცოტა არ იყოს, შეგვეშინდა კიდეც.. ამის შემდეგ იყო გახსნის ცერემონიალი, რომელსაც პატივი (ისევე როგორც საღამოს მთელ პროგრამას) პატივი აზერბაიჯანელთა პრეზიდენტმა **ილჰამ ალიევმა** მეუღლითურთ დასდო...

ცერემონიალზე ყველა გამომსვლელმა მათ შორის ფილას პრეზიდენტმა **რაფაელ მარტინეტიმაც** (რომელმაც შემდეგ ფილას ერთი დიდმოხელე რაღაც წვრილმანი დარღვევისთვის ისე გაჯორა საჯაროდ, როგორც ურჩი ბავშვი) ალიევის ოჯახის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობაზე ისაუბრა. საცეკვაო ნომრებში ქართული საცეკვაო ელემენტები იყო გადაღებული საკმაოდ უნიჭოდ. მამის (ჰეიდარის) და შვილის (ილჰამის) პლაკატებს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნახავთ, ოღონდ მოქმედ პრეზიდენტს ყოველ ასეთ პლაკატზე მორჩილი შვილის პოზა უკავია.

გახსნის ცერემონიალზე და ასზე მეტ დროშას შორის სამფეროვანი სომხურიც იყო. დიახ, ასეთი დონის ტურნირზე აზერბაიჯანში პირველად იღებს მონაწილეობას სომხეთის ნაკრები, მათ გარანტად ფილა დაუდგა და ახლა ალბათ ნანობს კიდეც. ამ ორი ერის შერიგება ალბათ ამ საუკუნეში ვერ მოესწრება. ჯერ კიდევ აკრედიტაციის მისაღებ რიგში ტელევიზით ყურებისას მივხვდი, რას ნიშნავს რიგითი აზერბაიჯანელისთვის რიგითი სომეხის დამარცხება. მეზობლები ერთმანეთს ლეიბზე ხვდებოდნენ და ლამის ყველა შენობა ჩამოინგრა ბაქოში სიხარულისგან, რაკი გამარჯვებული აზერბაიჯანელი გამოვიდა. როდესაც სომეხი ჭიდაობს დარბაზში გამაყრუებელი გუგუნია და ვისაც არ უნდა ეჭიდავებოდეს ის, დარბაზი მეტოქეს ისე უჭერს მხარს თითქოს ისიც აზერბაიჯანელი იყოს. 66 კილოში მოასპარეზე **ფარიდ მამსუროვი** მასპინძელთა ეროვნულ გმირად იქცა, მან ხომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, რითაც უზომოდ გაახარა ილჰამ ოღლუ და განსაკუთრებით მეჰრიბან ხანუმი. მაგრამ, გარწმუნებთ, მთელი დარბაზი, რომელიც 13 ათასს იტევს და 80 პროცენტით იყო შევსებული, უფრო ბულგარელ **ნიკოლაი გერგოვს** ემადლიერება, რადგან მან მესამე ადგილისთვის სომეხ **არმან ადიკიანს** მოუგო და იქაურობა სომხური დროშის აღმართვისგან იხსნა. ამ წერილის ავტორის და ერთ-ერთი ორგანიზატორი გოგონას საუბარი ამ თემაზე ლაკონური აღმოჩნდა – არ გიყვართ? არა! სხვები? სხვები ყველა, ეგენი – არა. ილჰამ ალიევის სპორტკომპლექსი 2004 წელს არის აგებული და საკმაოდ სიმპათიურად გამოყურება, განსაკუთრებით გარედან.



დავით ბედინაძე ფინალში, სასამატოს წინააღმდეგ

დარჩია კმაყოფილია

საღამოს საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ბეგი დარჩიას გავესაუბრეთ, რომელიც ბედინაძის გამარჯვებით უზომოდ გახარებული იყო.

- ძალიან კარგად იჭიდავა დავით ბედინაძემ და მთელი საქართველო გაახარა. ფინალში კი გვანერვიულა ძალიან, მაგრამ მაინც მიაღწია მიზანს., რაც მთავარია, მან დღეს ფინალების სინდრომი დაძლია, აქამდე დათო ყველა საერთაშორისო ტურნირის ფინალში აგებდა. მესამე პერიოდში მან ბრწყინვალე ფანდი გააკეთა, მართალია მსაჯს შეეძლო მეტითაც შეეფასებინა ეს გდება, მაგრამ გამარჯვებისთვის ესეც საკმარისი იყო.

- ფინალის გარდა რომელ ბრძოლას გამოყოფდით?

- რა თქმა უნდა, რუმინელთან. ძალიან მაგარი ბიჭია და ანგარიშის მიუხედავად მეორე პერიოდში გამარჯვება ცოტა საჭოჭმანო იყო. მაგრამ რთული სიტუაციიდან თავი დათომ ჩემპიონურად დააღწია.

- პეკინში ბედინაძის იმედი უნდა გვქონდეს?

- და არა მარტო პეკინში, მას ძალიან დიდი პოტენციალი გააჩნია.

- ხოზრევანიძისა და ლომაძის ჭიდაობაზე რას იტყვით?

- ხოზრევანიძე პირველად ჭიდაობდა ასეთ დონეზე და საკმაოდ გაუძალიანდა მეტოქეს. ლომაძეს რაც შეეხება, პირველ ორთაბრძოლაში ის ჩინელ მსოფლიო ჩემპიონს შეხვდა და პირველი პერიოდიც მოუგო, შემდეგ მას მეტოქემ ნეკნი გაუბზარა. რომ არ დამარცხებულიყო, ასეთი ტრავმით მაინც ვერაფერს შეძლებდა. მე არ დამიკარგავს იმედი, რომ ამ წონებში ლიცენზიის აღება პრობლემა არ იქნება.

დღეს ბაქოში ძალიან მნიშვნელოვან დღეა. ხალიჩაზე გამოვა ჩვენი გუნდის სამი მონინავე ფალავანი. **მანუჩარ კვირკველია** (74), **ბადრი ხასაია** (84) და **რამაზ ნოზაძე** (96)

55 კგ

1. ჰამიდ სორიანი (ირანი)
2. ეუნ-ჩოლ პარკი (კორეა)
3. ნაზირ მანკიევი (რუსეთი)
3. ქრისტიან ფრისი (სერბეთი)

60 კგ

1. დავით ბედინაძე (საქართველო)
2. მაკოტო სასამოტო (იაპონია)
3. იუნგ ი-ჰიუნი (კორეა)
3. ეუსებიო ფიაკონუ (რუმინეთი)

66 კგ

1. ფარიდ მანსუროვი (აზერბაიჯანი)
2. სტივ გენო (საფრანგეთი)
3. ნიკოლაი გერგოვი (ბულგარეთი)
3. ჯერი ლესტერი (აშშ)

ძალოსნობა | მსოფლიო ჩემპიონატი

სამუკაშვილი მეტოქეებზეა დამოკიდებული

ზვიად შათირიშვილი,
ჩიან მაიდან

ტაილანდში, მსოფლიო ჩემპიონატის პირველ დღეს მოხდა სწორედ ის, რისიც გვეშინოდა - **ზვიად სამუკაშვილმა** ძალების აღდგენა ვერ შეძლო და ჩასათვლელ ქულათა ზონას გასცდა... როგორც გაცნობეთ, ზვიადმა მესამე ჯგუფში დაიწყო ასპარეზობა. B და A ჯგუფებში ერთად 20 მონაწილე იკრიბებოდა და ჩასათვლელი ქულა რომ გაგენაღდებინა, მინიმუმ 25-ე ადგილზე გასვლა იყო საჭირო, ანუ C ჯგუფში მეხუთე ადგილზე.

სამუკაშვილმა ატაცში პირველ წონად 100 კგ შეუკვეთა. ზვიადზე მეტი მხოლოდ სამ ძალოსანს ჰქონდა, თუმცა როცა ფიცარნაგზე გასვლის დრო დაუდგა, პირველი ცდა ისე აიტაცა თავს ზემოთ, გულიც კი დამწყდა, რატომ მეტით არ დაიწყო-მეთქი. თუმც იმედი მომეცა, რომ შემდეგ ორ ცდას გამოიყენებდა და ბევრად გაზრდიდა წონას. აქაც გამიცრუვდა იმედი, რადგანაც სამუკაშვილმა მხოლოდ 3 კილოთი დაამძიმა შტანგა. თუმცა, კულისებში რა ხდებოდა, ვერ გეტყოდით და ამიტომ ზვიადის გამოსვლას დაველოდე. მივიდა შტანგასთან ქართველი ძალოსანი, კვლავ მძლავრად მოწყვიტა იატაკს სიმძიმე, მაგრამ მუხლებს ოდნავ აიცილა თუ არა, უმალ ტყვიანაკრავივით დაადგა. ზუსტად ვერ შევნიშნე, მაგრამ რაღაც უნდა მომხდარიყო - ტრავმას ჰგავდა, მაგრამ ასეთ დროს, მსგავს მოძრაობებში ტრავმა იშვიათია და ნეტავ რა დაემართა-მეთქი, კითხვები არ მასვენებდა.

როგორც აღმოჩნდა, თავის თავისთვის მიუყენებია ზიანი - შტანგა ძალიან ახლოს მიიტანა მუხლებთან, კვირისთავზე მიიხალა მთელი ძალით და ამან წამიერად გაუთიშა ორგანიზმი. გამოცდილი ძალოსნისთვის ასეთი მოძრაობა გასაკვირია, მაგრამ ასე კი მოხდა და ისღა დარჩენოდა, მესამე ცდაზე დაეძლია წონა. ვერ შეძლო - ტკვილი არ დაუამდა და კვლავ იდენტური სიტუაცია შეიქმნა - მუხლებამდეც ვერ ამოიტანა წონა, ისე დაუშვა ქვემოთ.

დაკარგული არაფერი იყო - ზვიადი აკვრაში უფრო ძლიერია და დაკარგულის ანაზღაურება შეეძლო. აკი შეუკვეთა კიდეც საწყისი წონა ყველაზე მეტი - 130. ამდენი კიდევ ორს ჰქონდა: სალვადორელ **მარვინ ლოპესს** და მაკაოელ **ჩენჯუნ მენგს**. როცა სამუკაშვილი პირველ ცდაზე გავიდა, რამდენიმეს უკვე დაესრულებინა გამოსვლა, თავისი ცდა კი მშვენივრად გამოიყენა. მეორე მისვლისთვის 135 კილო შეუკვეთა, რაც ჯგუფში მესამე ადგილს და მინიმუმ 3 ქულას იძლეოდა. ამჯერად ყველაფერი ნორმალურად წარიმართა - მკერდზე იოლად აიგდო და კარგადაც აკრა, მაგრამ წონა თავს ზემოთ ვერ შეიმაგრა და დაადგდო. მესამე ცდა რჩებოდა, თუმცა უკვე ეტყობოდა, რომ ვერ დაძლევდა, თუმცა მკერდზე კვლავ ნორმალურად აიგდო. საბოლოოდ, ისევ ვერ დაიჭირა თავს ზემოთ და საბოლოოდ 130 კილოთი დაასრულა შეჯიბრება.

ორჭიდის ჯამში ზვიად სამუკაშვილმა 230 კილოგრამი დააგროვა, რაც C ჯგუფში მე-6 ადგილის ტოლფასია. თუ წინასწარ ჩავთვლით, რომ ოცივე უძლიერესი ძალოსანი უკეთეს შედეგს აჩვენებს, 26-ე ადგილი ჩასათვლელ ქულას ვერ იძლევა. ახლა სხვისი შემყურენი უნდა გავხდეთ და ვილოცოთ, ვინმემ 0 ქულა მიიღოს, ან ზვიადზე უარესი ჯამი დაუგროვდეს - ერთის ხელმოცარვაც კი საკმარისი იქნება.

C ჯგუფმა დილით 12 საათზე დაიწყო ასპარეზობა, B ჯგუფი საღამოს 8 საათზე გამოვა და დაახლოებით საათნახევარში გაირკვევა იქ სიტუაცია. თუმცა სრული სურათის დასადგენად, ანუ რომელზე გავა სამუკაშვილი საბოლოოდ, დღევანდელი დღე საკმარისი არ არის - უძლიერესი, A ჯგუფი ხვალ 17 საათზე გამოვა ფიცარნაგზე.

ვანო გრიქუროვი ჯერჯერობით კმაყოფილი ვერ იქნება

ფაქტია და კვლავ გავიმეორებ, რომ ზვიადი მგზავრობამ დაცადა - თავადაც თქვა, ვერ მოვახერხე დასვენება და ძალების აღდგენაო. სიმართლე გითხრათ, ამის გაკეთება, თანაც ახალნაოპერაციები კაცისთვის დიდი პრობლემა იყო, მით უფრო, თუკი კლიმატის სიმძიმეც თან დაერთვება და ჩაროზად დარბაზის ხვატსაც იგემებს. მასპინძლები გუშინ ძალიან კი ვაქე, მაგრამ საშეჯიბრო დარბაზი ნამდვილად ვერ შეურჩევიათ და ამან ძალიან გამაკვირვა: სასტუმროდან ლამის 40 წუთის სავალზეა ავტობუსით, თანაც ქალაქის გარეუბანში და ნუთუ მეტი ადგილი ვერ მოძებნეს? აქ სადაც კი გაიხედავ, ყველგან სასტუმროა და ყველაში იმხელა დარბაზებია, გნებავთ საკონფერენციო და გნებავთ სათამაშო, საქართველოში იმის ნახევარს ერთსაც ვერ იპოვით. თუგინდ უნივერსიტეტის დარბაზი ავიღოთ, სადაც გახსნის ცერემონიალი შედგა; ანაც ჩვენი სასტუმრო - "ლოტუსი" - ჯერ ვერაფრით შევძელი გამერკვია, რამდენი ასეთი ადგილია ამ შენობაში - ლამის ყოველ სართულზეა დარბაზი...

შენობა რომ მოძველებულია ეგ კიდევ არაფერი - კომფორტი მაინც საკმარისია და ფიცარნაგიც კარგად არის გაკეთებული, მაგრამ ისეთი სიცხეა, შეიძლება გული წაგვიდეს. ტაილანდში ჰავა ნესტიანია და ამ დროისთვის ცხელა, მაგრამ შენობებში ხომ უამრავი კონდიციონერი მუშაობს. არ ვარგა ასევე მოსათელი დარბაზი - ძალიან პატარა და ჩახუთულია. წესიერად ვერც კი მობრუნდები.

არა უშავს სავარჯიშო დარბაზს, სადაც მთავარი არა კომფორტი, არამედ ვარჯიშის საშუალების ქონაა. სიცხე იქ კიდევ უფრო გაუსაძლისია, მაგრამ ორპირი ნიავია და ეს შვებას აძლევს შტანგისტებს, რომლებიც ოფლად ილვრებიან და ძალიანაც არ აქცევენ უჰაერობას ყურადღებას.

ჩვენმა ბიჭებმა სრული შემადგენლობით ივარჯიშეს სამუკაშვილის გამოსვლის შემდეგ. მწვრთნელი **ვანო გრიქუროვი** და ფედერაციის პრეზიდენტი **რამაზ გურგენიძე** კმაყოფილები არიან, თუმცა ტრავმიანობა მაინც დიდი პრობლემაა ჩვენთვის. შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაშია **გია მაჭავარიანი**, მაგრამ მარცხენა მტევანი ისე სტკივა, რომ შესაძლებლობების 70%-ის გამოყენების საშუალებას არ აძლევს. გია მაინც იმედიანადაა და ამბობს, რომ ფიცარნაგზე ტკივილს დაძლევს და კარგ შედეგს აჩვენებს. ასევე ხელს იტკიებს **გია ასანიძეც** - მარჯვენა ხელის ძველი ტრავმა ახსენებს თავს - იდაყვში ვერ შლის კარგად, თუმცა ვერც ვერასდროს შლიდა და ამის გამო მას კარიერის დასაწყისში დაძლეულ წონებს არ უთვლიდნენ, სანამ ყველას აუხსნიდა, რაც სჭირდა. გიას შემართება რომ ვიცით, ფიცარნაგზე აბსოლუტურად გარდაიქმნება და შეუძლებელსაც შეძლებს. თუმცა თავს ზემოთ ნამდვილად ვერ გადახტება - მაქსიმუმს აჩვენებს და იმედია, ათეულშიც შევა.

სხვებს სერიოზული არაფერი აწუხებთ, თუკი **ალბერტ კუზილოვს** ხელის ტრავმა არ გაუღიზიანდა - გუშინდელ ვარჯიშზე ალბერტი მხნედ გამოიყურებოდა და კარგი წონებიც დაძლია.

დღეს ქართველის საგულშემატკივრო მაინც გვრჩება - A ჯგუფი უნდა გამოვიდეს და აქ გადაწყდება სამუკაშვილი მოუტანს ერთ ქულას მაინც გუნდს თუ ვერა. B ჯგუფშიც შეიძლება ვიღაცას ფეხი დაუცდეს, მაგრამ ნაკლებ სავარაუდოა, რადგანაც ესენი ოქროს შუალედის ხალხია - მთავარი მიზანი ქულების მოპოვებაა და არ გარისკავენ. ეს კი საწყისი წონის დაუძლევლობის ალბათობას ამცირებს. ბევრად მეტი შანსია, მედლებისთვის მებრძოლთა წაფორხილება, ვინაიდან აქ რისკის გარეშე არაფერი გამოვა. მოგეხსენებათ, იქ სადაც რისკია, შამპანურსაც სვამენ, მაგრამ მწყურვალიც ბევრი დარჩენილა...

თეჩილი

აკაკი ჩაჩუა. დაიბადა 16.09. 1969, სამტრედია, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (60, 63 კგ). 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი და 2004 წლის ათენის ოლიმპიადის მონაწილე (IX ადგილი), ევროპის ჩემპიონატების მეორე (1999) და მესამე (1997) პრიზიორი, მსოფლიოს თასის მფლობელი გუნდურ პირველობაში (2004), სსრკ თასის მესამე პრიზიორი (1989). ნორვეგიისა და ფინეთის საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული. ღირსების ორდენის კავალერი.

აკაკი ხანიშვილი. დაიბადა 16.09. 1979, ვარიანი, გორი. სამბო (57 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (2002) და მეორე პრიზიორი (2001), ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (2001), ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის (1999).

ანდრო ნავასარდოვი. 17. 09. 1915, თბილისი - 08.04.1999, იქვე. კრივი (მძიმე წონა). სსრკ ჩემპიონი პირად (1944) და გუნდურ (1945) პირველობებში, ხუთგზის მეორე (1937, 38, 39, 46, 47) და სამგზის მესამე (1940, 48, 49) პრიზიორი პირად ასპარეზობაში, საქართველოს სსრ 16-გზის ჩემპიონი (1935-51). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. წლების განმავლობაში იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი.

საქართველოს თანამედროვე ხუთჭიდის და ცხენოსნობის ეროვნული ფედერაციები, ვეტერანი თანამედროვე ხუთჭიდელები და ცხენოსნები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ქ. სოჭში გარდაიცვალა ვეტერანი სპორტსმენი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი

გურამ კალმახელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა ქ. სოჭში

უმეტესობამ წინ წაინია

გუშინ გამოქვეყნებულ საჩოგბურთი კვალიფიკაციაში ქართველ ჩოგბურთელთა უმეტესობამ წინ წაიწია. ვაუებში **ლადო ჩიხლაძემ** ორლეანის 100-ათასიან ტურნირზე ერთი წრის გავლის შემდეგ კარიერის საუკეთესო შედეგი აჩვენა - ლადო 94 ქულით 362 ადგილზეა (388 წინა კვირაში). **ლადო ითონიშვილი** ქაიროს ტურნირზე მეოთხედფინალში გასვლამ ერთბაშად 138 საფეხურით დააწინაურა - 1191 (1329). დანარჩენებს არ უთამაშიათ: 837 (830) **ირაკლი ლაბაძე**, 1496. **გიორგი ხრიკაძე და გიორგი ჭანტურია.**

ქალებში წინსვლა უფრო თვალსაჩინოა, ეს კი ბაქოს ტურნირზე წარმატებით გამოსვლამ განაპირობა. ყველაზე მეტით, 237 ადგილით, გამარჯვებული, **თინათინ ყავლაშვილი** დაწინაურდა.

ქალთა კლასიფიკაციაში 12 ქართველი ჩოგბურთელია: 159 (146) **მაკა ჩახნაშვილი**, 279 (280) **ანა ტატიშვილი**, 468 (487) **სოფიო შაფათავა**, 562 (561) **სალომე დევიძე**, 643 (665) **მანანა შაფაქიძე**, 688 (684) **სოფიო მელიქიშვილი**, 740 (771) **ეკატერინე გორგოძე**, 758 (754) **ოქსანა კალაშნიკოვა**, 793 (1030) **თინათინ ყავლაშვილი**, 833 (934) **სოფიო ქვაცაბაია**, 1050 (1053) **სალომე ჩაჩხუნაშვილი**, 1203 (1207) **მარიამ ქურდაძე**.

შემდეგ კვირაში უკვე "ბორჯომის თასის" შედეგებს გაითვალისწინებენ და უმრავლესობა უფრო წინ წაიწევს. კლასიფიკაციაში გამოჩნდება **თათია მიქაძეც**, რომელიც თბილისის ტურნირის გამარჯვებისთვის 6 ქულას მიიღებს და ათასეულში მოხვდება. 18-წლამდელთა კლასიფიკაციაში ერთი საფეხურით დაწინაურდა **ოქსანა კალაშნიკოვა** და ახლა მე-11 ადგილზეა.

შაფათავამ განთესილი დაამარცხა

თელავის თიხნარზე გუშინ დაიწყო 25 ათასიანი ტურნირი. ძირითადი ბადის 5 ქართველი მონაწილიდან გუშინ სამი გავიდა კორტზე და მხოლოდ ერთმა იმარჯვა. **სოფიო შაფათავამ** დაამარცხა მე-4 ნომრად განთესილი თურქი, **პემრა ოზგენი** (353) - 6:3, 6:4.

ეკატერინე გორგოძე დამარცხდა გერმანელ **რია დორნემანთან** (439) - 2:6, 6:3, 3:6; ხოლო **მაგდა ოქრუაშვილი** - ბელარუს **იმა ბონუშთან, 2:6, 6:3, 6:3.**

სხვა შედეგები: **ვერონიკა კაპშაი** (507, უკრ) - ანტონია-ქსენია ტოუტი (712, რუმ) 6:3, 6:2; **მაია გავეროვა** (528, რუს) - მელანი კლაფნერი (457, ავს) 3:6, 6:1, 6:2; **7. კორნია დენტონი** (379, იტა) - ქსენია პალკინა (430, ყირგ) 7:6, 6:2; **არინა როდიონოვა** (386, რუს) - ჩაგლა ბუიუკაჯრაი (498, თურ) 7:5, 6:4; **2. ვოისლავა ლუკიჩი** (232, სერბ) - მარინა შამაიკო (501, რუს) 6:4, 6:3.

დღეს ბრძოლაში დაჩენილი ორი ქართველი ჩაებმება - **ოქსანა კალაშნიკოვა** ეთამაშება მე-6 ნომრად განთესილ რუმინელ **მიჰაელა ბუზარნესკუს** (368), ხოლო **თინათინ ყავლაშვილი** - უკრაინელ **ლესია ცურენკოს**.

დაიწყო წყვილთა ტურნირიც: **მარიამ ქურდაძემ** და **თეონა ცერცვაძემ** მოუგეს **თინათინ ყავლაშვილსა** და **სოფიო შაფათავას** - 6:2, 7:6; **ნინო მებუკე** და მისი რუსი მეწყვილე **დარია შილინა** დამარცხდენ **კატერინა ავდიენკო** (უკრ)-**მაია გავეროვას** დუეტთან - 2:6, 6:1.

მეექვსე წაგება

სუმო. **კოკაიმ** გუშინ მეექვსე ბრძოლა წააგო სექტემბრის ბაშოზე და საგანგაშო ბალანსი აქვს - 3 მოგება და 6 წაგება. კიდევ ორი წაგება და მე-12 მაეგაშირა უფრო დაქვეითდება. ქართველის მეტოქე იყო მერვე მაეგაშირა **ტაკეკაძე**, ხვალ ლევან ცაგურია მე-16 მაეგაშინა **კასუგანიშიკის** შეხვდება.

პირველი მარცხი განიცადა ლიდერმა, სეკივაკე **ამინიშიკიმ**, რომელსაც **ვაკანოსატომ** მოუგო. ცხრა დღის შემდეგ თითო წაგება აქვთ ამინიშიკის, იოკოძუნა **ჰაკუჰოს** და მე-14 მაეგაშირა **გოეიდოს**.

ბრაიან ოდრისკოლი გიორგი შკინინის წინააღმდეგ

რა სჯობს ქართველების ყურებას!

18 სექტემბერი, 23:00, C ჯგუფი

შოტლანდია–რუმინეთი TV

ედინბურგი, მარიფილდი

შოტლანდია: 15. **რორი ლემონი** 14. **შონ ლემონი** 13. **საიმონ ვებსტერი** 12. **რობ დიუი** 11. **ქრის პატერსონი** 10. **დან პარქსი** 9. **მაიკ ბლერი**; 1. **გეგინ ქერი** 2. **როს ფორდი** 3. **იუან მარი** 4. **ნეითან ჰაინსი** 5. **ჯიმ ჰემილტონი** 6. **ჯეისონ ვაითი (კაპ)** 7. **ალისტერ ჰოგი** 8. **საიმონ ტეილორი** / 16. სკოტ ლოუსონი 17. კრეიგ სმითი 18. სკოტ მაკლიოდი 19. კელი ბრაუნი; 20. ქრის კაზიტერი 21. ჰუგო საუსველი 22. ნიკი ვოკერი

რუმინეთი: 15. **იულიან დუმიტრაში** 14. **კატალინ ფერკუ** 13. **ჩაბა გალი** 12. **რომეო გონტინიაკი** 11. **გაბრიელ ბრეზოიანუ** 10. **იონუც დიმოფტე** 9. **ლუჩან სირბუ**; 1. **ჰეტრიშორ ტოდერაშკი** 2. **მარიუს ტინკუ** 3. **ბოგდან ბალანი** 4. **სორინ სოკოლი (კაპ)** 5. **ქრისტიან პეტრე** 6. **ფლორინ კოროდიანუ** 7. **ალექსანდრუ მანტა** 8. **ოვიდიუ ტონიცა** / 16. სილვიუ ფლორია 17. **რაზვან მავროდინი** 18. **კოზმინ რაციუ** 19. **ალექსანდრუ ტუდორი**; 20. **ვალენტინ კალაფეტიანუ** 21. **იონუც ტოფანი** 22. **ფლორინ ვლაიკუ**

მსაჯი: **ნაიჯელ ოუენსი** (უელ)

დღეს მსოფლიო თასზე ერთგვარი წყალგამყოფია - რიგით მეოცე, შოტლანდია-რუმინეთის მატჩის შემდეგ ჯგუფური ტურნირის ზუსტად ნახევარი გაილევა და ყველა გუნდს 2-2 თამაში დაუგროვდება. 21 სექტემბრამდე კიდევ ორი რიგითი მატჩია, პარასკევს კი ფრანგების ბედი უნდა გაირკვეს.

ირლანდიამ, ასე იყო თუ ისე, მიაძაღლა ორი თამაში, ფრანგებს კი დამარცხების უფლება აღარ აქვთ - სამყურებთან წაგება მასპინძლებს ჯგუფში ჩატოვებს, წინააღმდეგ შემთხვევაში D ჯგუფის ორი მეოთხედფინალისტი 30 სექტემბერს, არგენტინა-ირლანდიის შემდეგ გაირკვევა.

ედი ოსალივანმა აღიარა, რომ მისი გუნდი კრიზისის პიკზეა, მაგრამ საპანიკოც არაფერია. მწვრთნელმა უკვე გამოაცხადა შემადგენლობა საფრანგეთის წინააღმდეგ და საქართველოს ნაკრებთან მატჩის შემდეგ თხუთმეტეულში სულ სამი კაცი გამოცვალა - **დენის ჰიკის** მარცხენა ფრთაზე შეცვლის **ენდრიუ თრიმბლი**, კვაჭად **რორი ბესტის** ნაცვლად იქნება **ჯერი ფლენერი**, ხოლო 9 ნომერმა **პიტერ სტრინგერმა** საერთოდ დაკარგა ადგილი 22 კაცში - მის ნაცვლად **იუან რედანი** ითამაშებს, ხოლო **აიზეკ ბოსი** სკამზე დარჩება.

შემადგენლობა ადრიანად უნდა დაესახელებინა **ბერნარ ლაპორტსაც**, მაგრამ რამდენიმე მოთამაშის ტრავმამ გადაადებინა. უკვე ცნობილია, რომ **ფაბიენ პელუ** (4) და **დავიდ სკრელა (10)** ვერ ითამაშებენ, ხოლო კიდევ ორი კაცი საეჭვოა - **იმანოლ არინორდოკი** (8) და კაპიტანი **რაფაელ იბანესი (2)**.

შაბათის შემდეგ სამი დღე გავიდა, მაგრამ საქართველოს-ირლანდიის თამაში ყველას ისევ პირზე აკერია. ჩემპიონატის ოფიციალურმა ვებგვერდმა თავის მომხმარებელს მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებული **გიორგი შკინინი** გააცნო. 24 წლის ქართველმა გარემარბმა თქვა: *- თამაში დაუვინყარი იყო. ამ პრიზს შინ, ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე დავდებ, რათა დიდი ხნის შემდეგ შვილიშვილებმაც იამყოონ!* შკინინმა რაგბის თამაში 16 წლისამ დაიწყო, როცა მეზობელმა თავის კლუბ "ხულიგანაში" მისვლა ურჩია. ბავშვობაში გოგა კარგი მოცურავე იყო, მაგრამ სამოქალაქო ომის დროს ყველა აუზი დაიხურა, დიდი პაუზის შემდეგ კი ვარჯიშს აზრი აღარ ჰქონდა და რაგბზე გადავიდა. "ხულიგანა" აფხაზეთის ომის დრომ დაღუპული მორაგბის, **მიხეილ ქორიძის** მეტსახელია. *- ეს კლუბი ჩემთვის მეორე ოჯახივითაა, მაგრამ ნაკრებში თამაში, რა თქმა უნდა, სულ სხვაა. ახლა მხოლოდ ნამიბიასთან მატჩზე ვფიქრობთ. თავიდან იმის რწმენა გვაკლდა, რომ შეგვეძლო მომენტის გამოყენება და თამაშის შემობრუნება. არგენტინასთან უცებ აღმოვაჩინეთ, რომ სულ 3:6 ვაგებთ და ამისთვის მზად არ აღმოვჩნდით. გამოვედით მეორე ტაიმში და იმის ნაცვლად, რომ ისევე გაგვეგრძელებინა, 3 ქულაზე გავიყინეთ. ირლანდიასთან უკვე სხვაგვარად იყო...*

იმავე ვებგვერდმა გამოაქვეყნა **მარტინ სელდსის** სტატია, რომელშიც "მცირე" სარაგბო ქვეყნების პროგრესზეა საუბარი. ჩვენს ნაკრებზე საუბრისას ავტორი ირლანდიელი მეორეხაზელის, **პოლ ოკონელის** სიტყვები მოჰყავს: *- ვიცოდი, რომ ქართველები ლონიერები იყვნენ, მაგრამ მათი თამაშის ორგანიზაცია და გამძლეობა კი ძალიან გამიკვირდა.*

ექსპერტები ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ საქართველომ მთელი 80 წუთი გაძლო. არადა, რაგინდ დიდი წინააღმდეგობა შეხვდეთ, "დიდი" გუნდები ბოლო 20 წუთში მაინც გარდატეხენ ხოლმე თამაშს, რაკიღა მეტოქეები ან იღლებიან, ან კონცენტრაციას კარგავენ.

"პატარების" პროგრესი აშკარაა ამერიკის ნაკრების ზელანდიელი მწვრთნელის, **პიტერ სორბერნის** აზრით, მუდმივი წინსვლისთვის ძლიერ მეტოქესთან თამაშია აუცილებელი: *- ყველაზე მეტად დასახვეწია დაცვის სტრუქტურა, თან როცა მეტოქის მუდმივი ზეწოლის ქვეშ გიწევს თამაში, მაგრამ ამას ვარჯიშზე ან სუსტ, თუნდაც შენი დონის მეტოქესთან ვერ მიაღწევ. ზუსტად ეს გვაკლია ჩვენ, ნამიბიასა და საქართველოს.*

არგენტინის ნაკრების ბურჯი **ომარ ჰასანი**: *- დარწმუნებული ვარ, ოთხი წლის შემდეგ, ზელანდიაში, მეტი მატჩი დასრულდება მოულოდნელი შედეგით, მაგრამ კიდევ დიდხანს ლოდინი დაგვჭირდება იქამდე, სანამ რომელიმე "პატარა" გუნდი "დიდს" დაამარცხებს. პატარებს არა აქვთ შესაფერისი ასპარეზი, ტურნირი, "ექვსი ერის" ან "სამი ერის" მსგავსი, სად უნდა დაოსტატდნენ?*

დაბოლოს, ფურცლები **ჯონა ლომუს** "ფრანგული დღიურიდან" და კიდევ ერთი კომპლიმენტი დიდი მორაგბისგან: **- შაბათის ბოლო მატჩი, რა თქმა უნდა, ფანტასტიკური იყო. არ მეგონა, საქართველო ამდენს თუ შეძლებდა და თამაშის დამთავრებამდე 25 წუთით ადრე წინ იქნებოდა ირლანდიასთან. მგონი, ქართველების ძალა რეალურად ვერ შეაფასეს, არადა როგორ გაუუმჯობესებიათ თამაში 2003 წლის შემდეგ. ძალიან კარგი გუნდია, დიდი შერკინებითა და რამდენიმე გადასარევი მორბენლით. შკინინის ლელომ ძალიან კარგი ტონი მისცა თამაშს. გილოცავთ ქართველებს - თქვენს ყურებას ამ ტურნირზე არაფერი სჯობს!**

ნიკოლოზ აბაშიძე



გვჭირდება 10 ახალი სარაგბო მოედანი!

კვირას საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კულტურისა და სპორტისა მინისტრს გიორგი გაბაშვილს შეხვდა სახელმწიფო კანცელარიაში. პრეზიდენტმა საქართველოსა და ირლანდიის გუნდის თამაშით კმაყოფილება გამოთქვა.

- რაგბის ისტორიაში უდიდესი სენსაციის მოხდენამდე ერთი ნაბიჯი დაგვაკლდა. ამ სახეობის განვითარება მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს ინტელექტუალური საბრძოლო სპორტია. რაც ჩვენ შაბათს ვიხილეთ, მაჩვენებელია იმისა, რომ მორაგბეები და მთლიანად ჩვენი ქვეყანა ძალიან კარგ საბრძოლო ფორმაშია. ჩემი დავალება არის ასეთი - საქართველოში უახლოესი წლების განმავლობაში მსოფლიო კლასის 10 რაგბის მოედანი უნდა აშენდეს. უნდა გაჩნდეს ლიგა, რომელსაც დავაფინანსებთ. ასეთი ტიპის სტადიონები საქართველოს ყველა რეგიონში უნდა იყოს. ჩვენ საბრძოლო სულისკვეთება გვაქვს, უნდა განვავითაროო ტექნიკა. ეს არის ძალიან დიდი რეკლამა საქართველოსთვის.

მინდა, ჩვენს ძიუდოისტებს გამარჯვება მივულოცო. იმის პარალელურად, რომ ჩვენ ძიუდოს ახალი დარბაზები უნდა ავაშენოთ, ასევე უნდა განვავითაროთ სპორტული სექციები. მწვრთნელებს უნდა შევუქმნათ უკეთესი პირობები. ხელმოკლე ოჯახებისა და ასევე მატერიალური შესაძლებლობების მქონე ყველა ახალგაზრდას ამ სექციებში ჩაწერის პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. ყველა ეს დავალება უნდა ჩაჯდეს ჩვენი სპორტის განვითარების ერთიან სტრატეგიაში. ვუსურვებ წარმატებებს ჩვენს სპორტსმენებს შემდგომ შეჯიბრებებში. - **განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.**

საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახური

ცქიტიშვილი პირველი ვიოლინოა

შეიძლება სათაური მეტისმეტად ხმაურიანად მოგეჩვენათ, მაგრამ ნიკასთვის პირველი ვიოლინობა ჩვენ არ დაგვიბრალებია - "რომა"-"ტერამოს" მატჩის მიმოხილვაში ჟურნალისტმა ვიტორიო სალვატორელიმ სკიტას შესახებ ჯერ ბევრი ისაუბრა, ბოლოს დაასკვნა - ქართველი "ტერამოს" პირველი ვიოლინოაო. იტალიელი მედიელის ნათქვამი გადაჭარბებული რომ არ არის, ამას ნიკას სტატისტიკაც მოწმობს.

"საბეტას" მემორიალზე "რომასთან" მატჩი ტერამოელებმა კარგად დაიწყეს, 43:34. დაწინაურდნენ კიდეც, მაგრამ მეორე ნახევარში დედაქალაქელებმა თამაში გამოასწორეს და საფინალო სირენასთან ერთად ანგარიშიც გაათანაბრეს - 82:82. დამატებით ხუთ წუთში "რომამ" 9:7 იმარჯვა.

მატჩის სნაიპერი "ტერამოს" თურქი კალათბურთელი თუქერი გახდა - 33 ქულა ჩააგდო. ცქიტიშვილმა 10 ქულა ჩაიწერა (8-დან 4 ორქულიანი, 4-დან 2 საჯარიმო).

მეორე დღეს ნიკას თანაგუნდელები ამავე მემორიალის მესამე მონაწილეს თურქულ "ბეშიქთაშს" დაუპირისპირდნენ და მეორედაც მცირე სხვაობით დამარცხდნენ - 69:72.

ტერამოელები ამ მატჩის მოგებასთანაც ახლოს იყვნენ - სკიტას ორქულიანის წყალობით სირენამდე 4 წუთით ადრე 62:60 დაწინაურდნენ, მაგრამ...

თურქების წინააღმდეგ ნიკამ ფარქვეშ იტრიალა და ყველაზე მეტი, 16 ქულა ჩააგდო (3 ორქულიანი და 10 საჯარიმო), რასაც 3 შედეგიანი გადაცემა მიამატა. "ტერამომ" "საბეტას" მემორიალი მესამე ადგილზე დაასრულა.

14 სექტემბერს ნიკას ახალი გუნდი პესკარაში გადავიდა და შედარებით ძლიერ ტურნირში, გაცილებით შედეგიანად იასპარეზა. "ტერამომ" ჯერ ბერძნულ "არისს" სძლია (82:78), შემდეგ ლიტვის "უალგირისს" (79:70) და ჩემპიონიც გახდა.

გორდონ ჰერბერტის "არისთან" მატჩში ცქიტიშვილი სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა და იტალიელ ჟურნალისტებს თუ ვენდობით, მოედანზე საუკეთესო იყო. ამას ცქიტოს სტატისტიკაც მოწმობს - 12 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი.

ქართელმა ფორვარდმა ლიდერის ყვითელი მაისური არც კაუნასის "უალგირისთან" გაიხადა - 26 წუთში 17 ქულა ჩააგდო (14-დან 7 ორქულიანი) და ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი ჰქონდა - 22.

მომდევნო რამდენიმე დღეს "ტერამო" მხოლოდ ვარჯიშში გაატარებს, ხოლო 30 სექტემბერს იტალიის ჩემპიონატის პირველ მატჩს გამართავს - ბოლონიაში ""ფორტიტუდოს" დაუპირისპირდება.

ვაჟა სიმონიშვილი



ზაზა და გასოლი გაზაფხულს ვერ მოიყვანენ!

ბოლო 20 დღეში საფინალო სირენასთან ერთად ტელევიზორი მეორედ გამოვრთე, მატჩისშემდგომი მოვლენების ხილვა არ მსურდა. მეორედ ეს კვირას ღამით გავაკეთე - ევროპის ჩემპიონატის ფინალის დასრულებისთანავე. ალბათ, მიხვდით, რომ რუსეთთან თამაშში ესპანელებს ვქმამგობდი, მაგრამ მთელი მატჩის განმავლობაში დამაჯერებლად მოასპარეზე პირენეელებმა ბოლო წუთები ჩააგდეს და ევროპის ჩემპიონის ტიტული რუსებს გადააბარეს.

საფინალო სირენამდე 12 წამით ადრე ბურთი ხელთ გარუსებულმა ამერიკელმა **ჰოლდენმა** იგდო, მეტოქის საჯარიმოში შევიდა, ორი წამით ადრე უხერხულად ისროლა, მაგრამ ფარიდან ასხლეტით ბურთი ესპანელთა კალათში ჩაეშვა - 60:59. ფავორიტი ერთი ქულის სხვაობით დამარცხდა.

ესპანელთა დამარცხება ტყუპისცალივით ჰგავდა საქართველოს ნაკრების ისლანდიაში წაგებას: რეიკიავიკში მთელი მატჩის განმავლობაში წინ ვიყავით, მაგრამ საფინალო სირენასთან ერთად ისლანდიელთა უკანახაზელმა **იაკობ სიგურდარსონმა** მოუმზადებლად სტყორცნა და ბურთი ფარიდან ასხლეტით ჩვენს კალათში ჩაეშვა. ესპანელთა მსგავსად საქართველოს ნაკრები ერთი ქულის სხვაობით დამარცხდა - 74:75. პირველად სწორედ ისლანდიური შეხვედრის საფინალო სირენასთან ერთად გამოვრთე ტელევიზორი.

რეიკიავიკისა და ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი ესპანეთს მხოლოდ ბოლო წამებითა და ანგარიში სხვაობით როდი ჰგავდა. ჩემი აზრით, მარცხის მიზეზიც ერთნაირი იყო.

კენ შილდსა (საქართველოს ნაკრების თავკაცი) და **პეპე სანჩესს** (ესპანეთი) სამწვრთნელო საქმიანობაში ჩემზე მეტი გაეგებათ, მაგრამ ბოლო წამებზე გუნდის მარცხში მწვრთნელია დამნაშავეო, ეს ჩემი მოგონილი ნამდვილად არ არის.

ევროპის ჩემპიონატის ფინალში სირენამდე 3 წუთით ადრე რუსები ერთი ქულით რომ დაწინაურდნენ, ესპანელთა მწვრთნელმა თამაშის სტრატეგია შეცვალა - შეტევათა უმეტესობის დაგვირგვინება "მემფისის" ლიდერ **პაუ გასოლს** დაავალა. არადა, ტანმაღალ პაუს რუსების ფარქვეშ ხვრელების პოვნა მანამდეც უჭირდა. მეტსაც გეტყვით, პირველ ტაიმში ესპანელებს ორქულიანებს მხოლოდ 18 პროცენტი (!) ჰქონიათ გამოყენებული, მხოლოდ ხუთი ტყორცნა. მეორე ტაიმში მდგომარეობა ბევრად არ გაუმჯობესებულა. ამას დავუმატოთ ისიც, რომ გასოლი ფინალურ შეხვედრაში საჯარიმოებსაც ცუდად ისროდა. და მთავარი, რის გამოც მასზე თამაშის აგება გაუმართლებელი იყო, რუსი **ანდრეი კირილენკო** გახლდათ. ეს ხმელი კაცი NBA-ში ერთ-ერთ საუკეთესო დამცველად ითვლება და გასოლის წარმატებით შეჩერება არ უნდა გასჭირვებოდა. ასეც მოხდა და თამამად შეიძლება ითქვას, ევროპის პირველობის ფინალურ დუელში რუსების დამრიგებელმა **დევიდ ბლატმა** ესპანელ კოლეგა პეპე სანჩესს აშკარად აჯობა.

სამწუხაროდ, 29 აგვისტოს ბლატის როლში ისლანდიელი მწვრთნელი (რომლის გვარი არც მახსოვს და სონ-ზე რომ მთავრდება, თქვენს კარგად მოგეხსენებათ)- აღმოჩნდა, პეპე სანჩესად კენ შილდსი მოგვევლინა: კანადელმა სპეციალისტმა თავად აღნიშნა, რომ აქცენტი ფარქვეშ თამაშზე ჰქონდა აღებული. მისი გათვლით NBA-ელი **ზაზა ფაჩულიას** შეჩერება ისლანდიელებს ძალიან უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ მწვრთნელმა ის ვერ გამოთვალა, რომ მეტოქემაც კარგად იცოდა ჩვენი სტრატეგია და ისიც მოეხსენებოდა, რომ დამაგვირგვინებელ ფაზაში ზაზა ბურთს აუცილებლად მიიღებდა. ამიტომ ჩვენს ცენტრს ორი-სამი კაცი ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევდა. ქართველებს ისიც უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ფაჩულია ისლანდიასთან მატჩში ვერც საჯარიმოების და ვერც ორქულიანების (ფარქვეშიდან იშვიათად ისროდა) სროლისას ჩვეული სიზუსტით ვერ გამოირჩეოდა.... გეხსომებათ, რომ ისევე როგორც გასოლმა რუსეთთან, ზაზამაც მხოლოდ ორიდან ერთი გადამწყვეტი საჯარიმო ჩააგდო.

ერთ კაცზე თამაშის აგება რომ დამღუპველია, ამ ორმა მატჩმაც დაგვანახა. მაგრამ მინდა მკითხველის ყურადღება ერთ განსხვავებასაც მივაპყრო: პეპე სანჩესმა გასოლზე თამაში ბოლო წუთებზე გადააწყო, მანამდე პერიმეტრის კალათბურთელები რუსებს სამქულიანებით უშრობენ სისხლს. კენ შილდსმა კი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე დაგეგმა ფაჩულიას ლიდერობა.

ჩემი აზრით, მწვრთნელი სტრატეგიის განსაზღვრაში შეცდა: მას წინ ჰქონდა 2006 წლის მაგალითი, როცა ავსტრიაში თითქმის წაგებული მატჩი ზაზას გააქტიურების შემდეგ შემოვატრიალეთ და ფინეთთან ფაჩულიას მიერ ჩაგდებული 36 ქულა.

- და სად არის აქ შეცდომა? ზაზას წელსაც ისევე რომ ეთამაშა, როგორც შარშან ფლეი ოფში ხომ გავიდოდით? - იკითხავს მავანი. სწორედ ეს იყო შეცდომა - ერთმა კალათბურთელმა, თუნდაც ის **ნოვიცკი** იყოს, შეიძლება ერთი თამაში ნებისმიერ დროს ჩააგდოს, მით უმეტეს, თუ ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი უკლია.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ისიც უნდა სცოდნოდა, რომ გასულ სეზონში გადამწყვეტ მომენტებში თამაში საკუთარ თავზე **გიორგი ცინცაძესაც** აუღია (ეს მაშინ, როცა მის გუნდში ესტონეთის ნაკრების გამოცდილი წევრები ირიცხებოდნენ), **მანუჩარ მარკოიშვილსაც** (იგი "ოლიმპიის" ერთ-ერთი მთავარი მექუღე და ლიდერი იყო) და **ტაირონ ელისსაც** (ნაპოლელმა ამერიკელმა ევროლიგაზე თურქულ "ულქერს" სტამბოლში მარტომ მოუგო - 28 ქულა ჩაუგდო. გადამწყვეტი ორქულიანიც ელისის ანგარიშზე იყო).

კლუბებში ქართველთა თამაშს შილდსი სათანადო ყურადღებას რომ ვერ აქცევდა, ამაში მწვრთნელის თავიდან ბოლომდე დადანაშაულება არ შეიძლება, რადგან იგი საქართველოს ნაკრების თავკაცად ივლისში მას შემდეგ დაინიშნა, რაც **გორდონ ჰერბერტმა** ბერძნულ "არისთან" კონტრაქტი გააფორმა და ჩვენს ფედერაციას ხელშეკრულების გაწყვეტა სთხოვა - საკომპენსაციო თანხასაც გადაგიხდითო.

თემას ცოტა გადავუხვიეთ, რაზე ვსაუბრობდით? - ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. როცა გამოცდილ სპეციალისტ **თამაზ ოქრუაშვილს** ნაკრებში ცქიტიშვილის არყოფნაზე ვკითხე, მიპასუხა: *"გუნდი ერთ კაცზე არ უნდა იყოს დამოკიდებული. კარგად მახსოვს, სადაც ოთარ ქორქია თამაშობდა, ის გუნდი ყოველთვის იგებდა, მაგრამ ეს 50-იან წლებში იყო. ახლა სხვა დროა."*

მართალიცაა - ევროპის ჩემპიონატის ფინალში NBA-ს ვარსკვლავი ანდრეი კირილენკო პირველ რიგში, გუნდზე თამაშობდა, ხოლო სირენამდე 2 წამით ადრე გადამწყვეტი ტყორცნა მან კი არა, რუსეთში ჩემპიონატში მოასპარეზე ჰოლდენმა შეასრულა. სწორედ ამ გარუსებულმა ამერიკელმა უნდა მიგვახვედროს, რომ კლასისა და გამოცდილების შეზავებით გუნდის ლიდერობა საჭირო მომენტებში შეიძლებოდა ხელში აეღო **ტაირონ ელისსაც**, რომელიც ამას რეგულარულად აკეთებს კლუბში.

ზემოთ ერთ კაცზე თამაშის აგებაში მთავარი მწვრთნელი დავადანაშაულეთ. მაგრამ მთელი პასუხისმგებლობა მის კისერზე არ უნდა იყოს - ლიდერობის ამბიცია ზაზასაც აქვს და ატლანტელის სურვილიცაა შეტევათა უმეტესობამ მასზე გაიაროს. გგონიათ, მე არ მინდა ყველა შეტევა ფაჩულიას ჩატენვით დაგვირგვინდეს და თამაში-თამაშზე მოვიგოთ? მაგრამ ბოლოსდაბოლოს უნდა გავაცნობიეროთ, რომ ყველაფერზე წინ ქვეყნის და გუნდური ინტერესები დგას და ინდივიდუალური თამაშით ისლანდიასაც კი ვერ მოვუგებთ. არადა გვაქვს ევროპის ჩემპიონატზე თამაშის სურვილი, სადაც მხოლოდ ერთ მუშტად შეკრული გუნდები ხვდებიან. რუსეთ-საბერძნეთის ჯგუფური ეტაპის მატჩი ახლაც თვალწინ მიდგას - საოცარი დაცვის გამო ფარქვეშ შესვლას ვერც ერთი მხარე ვერ ახერხებდა. გუნდები ფონს მხოლოდ კანტიკუნტად ჩაგდებული სამქულიანებით გადიოდნენ, ამიტომ 50-ქულიან ბარიერს ორივე ძლივს ასცდა. რა უნდა ექნა ასეთ მატჩში ზაზას? მას ერთადერთი ფუნქცია ექნებოდა - მეტოქის საჯარიმოში აქტიური მოძრაობა და თანაგუნდელთა სატყორცნ პოზიციაზე გაყვანა.

თუკი A დივიზიონში გვინდა, რუსეთ-საბერძნეთის მსგავს გუნდებთან თამაშის თადარიგი დღეიდან უნდა დავიჭიროთ, და მათ მხოლოდ ზაზა ფაჩულია კი არა, ცქიტიშვილი, ბოისა, მარკოიშვილი, ელისი, ცინცაძე, სანიკიძე უნდა დავუპირისპიროთ.

რა ამის პასუხია და იცით, რატომ გახდა რუსეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი? იმიტომ, რომ ევროპაში ყველაზე დიდი ფული რუსეთის ჩემპიონატში იხარჯება. ჩვენმა ჩრდილოელმა მეზობლებმა ხომ ბოლო ორ წელიწადში სამი ევროტურნირი მოიგეს: ევროლიგა (ცსკამ), ულების თასი ("დინამომ") და ევროთასი ("სამარამ").

ვაჟა სიმონიშვილი

18 სექტემბერი. სამშაბათი

I არხი

11:05 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:05 ანტიკური ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).
18:20 ანტიკური ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ბაქო. აზერბაიჯანი (LIVE).
22:55 რაგბი. მსოფლიო თასი. შოტლანდია-რუმინეთი (LIVE).

რუსთავი 2

22:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეალი-ვერდერი (LIVE).
01:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. შალკე-ვალენსია.

SPORT 1 (უკრაინა)

08:09 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:02 სპორტკლუბი.
10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:59 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. მურსია-ატლეტიკო.
12:43 ფეხბურთი. Barca TV.
12:51 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. სიენა-მილანი.
14:35 ფეხბურთი. Barca TV.
14:43 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
15:10 სპორტული ისტორია.
15:30 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი. ესპანეთი-რუსეთი. ესპანეთი.
17:18 მინი-მოედანი.
17:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
17:58 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რევჯინა-რომა.
19:45 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:02 სპორტული ისტორია.
22:15 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
22:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. რეალი-ვერდერი (LIVE).
00:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. პორტუ-ლივერპული.
02:35 სპორტდოსიე. მთის ველოსიპედი.
03:02 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. მე-3 ადგილისთვის. ლიტვა-საბერძნეთი. ესპანეთი.
04:47 კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი. ესპანეთი-რუსეთი. ესპანეთი.
06:32 ფიტნესი.

EUROSPORT

10:30 მულტისპორტი.
11:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. 48 კგ. ტაილანდი.
12:15 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. გერმანია-იაპონია. ჩინეთი.
14:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 56 კგ. ტაილანდი (LIVE).
16:00 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. აშშ-ნიგერია. ჩინეთი (LIVE).
18:00 ველოსპორტი. ვუელტა. XVI ეტაპი (LIVE).
19:30 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-ჩრ. კორეა. ჩინეთი.
20:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატი. ქალები. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-ჩრ. კორეა. ჩინეთი.
21:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 56 კგ. ტაილანდი.
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 პროფესიული კრივი. აშშ.
23:00 პროფესიული კრივი. WBA/WBO. მჩატე წონა. აშშ.
01:00 სპიდვეი. პოლონეთის გრან-პრი.
02:00 ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. 56 კგ. ტაილანდი.
03:00 ავტოსპორტი.

EUROSPORT-2

09:30 ახალი ამბები.
12:00 ბეისბოლი. ევროპის ჩემპიონატი. ბარსელონა. ესპანეთი.
13:30 მულტისპორტი.
14:00 ახალი ამბები.
16:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ფინალი. რეალი (ესპანეთი)-ლეტუვოს რიტასი (ესპანეთი).
17:00 ხელბურთი. EHF-ის თასი. ფინალი. კილი (გერმანია)-ფლენსბურგი (გერმანია).
18:00 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. "ოთხთა ფინალი". ფინალი.
19:00 ავსტრალიური ფეხბურთი. რეგულარული სეზონი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 ხელბურთი. ესპანეთის ლიგა.
22:30 ავტოსპორტი. GP2-ის სერია. II რბოლა. ბელგია.
23:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. პორტუგალიის გრან პრი.
01:00 ახალი ამბები.
01:15 პრო-რესტლინგი.
02:15 ახალი ამბები.

სხელი ხაზი

ფეხბურთი

მსოფლიო ჩემპიონატი

ქალები

ინგლისი-არგენტინა	6:1
გერმანია-იაპონია	2:0

ამხანაგური მაჯრი

კატარი-ომანი	1:1

ინგლისი

დერბი-ნიუკასლი	1:0

იტალია

სერია C1/A

ჩიტადელა-პადოვა	1:2

გერმანია

II ბუნდესლიგა

აუე-ბორუსია (მ)	2:3

საფრანგეთი

II დივიზიონი

ნანტი-სედანი	2:1

პოლანდია

II დივიზიონი

ა

კრიმინალი

ო ჯეი სიმპსონი მძარცველიც ყოფილა



ამერიკული ფეხბურთის ყოფილი მოთამაშე, მსახიობი **ო ჯეი სიმპსონი** მორიგ შარში გაეხვა. კვირას, ის ძარცვის ბრალდებით პოლიციამ დააკავა.

პოლიციის წარმომადგენლის, **ჯეიმს დილონის** განცხადებით, ამერიკული ფეხბურთის ყოფილი ვარსკვლავი ხუთშაბათს, სასტუმრო Palace Station-ში მომხდარი ძარცვის ერთ-ერთ მონაწილედ და ორგანიზატორად სახელდება. როგორც ირკვევა, სიმპსონს სურდა იმ სპორტული პრიზების დაბრუნება, რომელიც თავის დროზე მას ეკუთვნოდა. მეწარმეებს, რომელთა გვარებიც არ სახელდება, ამ ნივთების აუქციონზე გაყიდვა სურდათ. სასტუმროს მომსახურე პერსონალის თქმით, რამდენიმე ადამიანი და პირადად სიმპსონი, ძარცვის დროს მათ იარაღით ემუქრებოდა.

პოლიციელთა განცხადებით, კვირას კიდევ ერთ-ერთი მძარცველი დააპატიმრეს, თავდასხმის დანარჩენ ექვს მონაწილეს კი, სამართალდამცავები უახლოეს დღეებში დააკავებენ.

სხვათა შორის, ო ჯეი სიმპსონი პარასკევს დაკითხეს ამ ინციდენტთან დაკავშირებით და შემდეგ "სავარაუდო ეჭვმიტანილის" სტატუსით გაათავისუფლეს.

შეგახსენებთ, რომ 1994 წელს, ო ჯეი სიმპსონი თავისი მეუღლის **ნიკოლ ბრაუნ-სიმპსონისა** და მისი მეგობრის, **რონ გოლდმანის** მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. მაშინ ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ ეს ადამიანები მეუღლის ღალატით გაცოფებულმა ფეხბურთელმა დახოცა, მაგრამ ცხრათვიანი პროცესის შემდეგ, სასამართლომ სიმპსონი უდანაშაულოდ სცნო, თუმცა 67 მილიონის გადახდა დააკისრა. ეს ის თანხაა, რომელიც დაღუპულთა ოჯახებს გადაეცათ.

ქადრაკი

მსოფლიო ჩემპიონატი

IV ტური. **კრამნიკი** (რუსეთი)-**გრიშჩუკი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **ანანდი** (ინდოეთი)-**მოროზევიჩი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **გელფანდი** (ისრაელი)-**სვიდლერი** (რუსეთი) - 0.5:0.5; **არონიანი** (სომხეთი)-**ლეკო** (უნგრეთი) - 1:0.

სატურნირო მდგომარეობა: 1-2. კრამნიკი, ანანდი - 2.5; 3-6. არონიანი, გრიშჩუკი, გელფანდი, მოროზევიჩი - 2; 7-8. ლეკო, სვიდლერი - 1.5.

ქალათბურთი

ფინიქსი ჩემპიონია

დასრულდა ქალთა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სეზონი. ხუთმატჩიან ფინალურ სერიაში, "ფინიქს მერკურიმ" 3:2 დაამარცხა "დეტროიტ შოკი" და WNBA-ის ჩემპიონი გახდა.

სერიის ბოლო მატჩი დეტროიტში ვაიმართა და სტუმრებმა საკმაოდ დიდი უპირატესობით - 108:92 (30:17, 25:26, 24:21, 29:28) დაამარცხეს ადგილობრივი გუნდი.

პოლო

ოზოლინში სან ხოსეში ვარჯიშობს

"სან ხოსე შარქსმა" საწვრთნელ შეკრებაზე ცნობილი ლატვიელი მცველი **სანდის ოზოლინში** მიიწვია. ვეტერანმა ჰოკეისტმა გასულ სეზონში მხოლოდ 21 მატჩი ჩაატარა და თავის აქტივში 3 საგოლე პასი ჩაიწერა.

ოზოლინშის უთამაშებლობის მიზეზი ის გახლდათ, რომ შარშან, ლატვიელი აღკოჰოლს მიეძალა, რის გამოც მას მკურნალობის იძულებითი კურსის გავლა მოუწია.

კარტერი ედმონტონში ისინჯება

საწვრთნელ შეკრებას ატარებს "ედმონტონ ოილერზიც", რომელმაც გასინჯვაზე მიიწვია მარჯვენა გარემარბი **ენსონ კარტერი**. ეს ჰოკეისტი ერთხელ უკვე ირიცხებოდა "მენავთობეების" შემადგენლობაში და იქ ორწლიანი მოლვაწეობის შემდეგ, "ნიუ იორკ რეინჯერსში" გაუშვეს.

გასულ წელს, კარტერმა ორ გუნდში ითამაშა. "კოლამბუსისა" და "კაროლინის" რიგებში 64 მატჩი ჩაატარა და 39 ქულა (11 გოლი+28 პასი) დააგროვა.

შნაიდერი ერთი თვე დაისვენებს

მოახლოებული სეზონის წინ არ გაუმართლა სტენლის თასის მფლობელის, "ანაჰაიმ დაქსის" ახალწვეულს, ცნობილ მცველ **მატიო შნაიდერს**. როგორც კლუბის ექიმები აცხადებენ, ვეტერან ჰოკეისტს დაახლოებით ერთი თვით იძულებითი დასვენება მოუწევს.

შნაიდერმა ტერფის ერთ-ერთი ძვალი "ლოს ანჯელესთან" პირველ საკონტროლო შეხვედრაში მოიტეხა. შეგახსენებთ, რომ ეს მცველი ამ ზაფხულს გადავიდა "დეტროიტიდან" "ანაჰაიმში".

ჩოგბურთი

საფინი ალპინისტი გახდა

როგორც უკვე იცით, რუსმა ჩოგბურთელმა **მარატ საფინმა** უარი თქვა გერმანიასთან დევისის თასის ნახევარფინალში თამაშზე და ალპინისტთა ექსპედიციასთან ერთად, ჰიმალაის მთებში გაემგზავრა.

ცნობილი გახდა, ჩოგბურთელმა უკვე მოასწრო ერთი მწვერვალის დაპყრობა. საფინმა წარმატებით განახორციელა მთა მურატზე ასვლა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 4100 მეტრს შეადგენს.

ფორმულა 1

ინდოეთის დიდი პრიზი 2010 წელი გათამაშდება

ფორმულა 1-ის ისტორიაში ინდოეთის პირველი გრან-პრი 2010 წელს გაიმართება. ამის შესახებ, სააგენტო "როიტერს" ქვეყნის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტმა **სურეშ კალმადიმ** აცნობა.

არქიტექტორები, რომლებმაც ავტოდრომი უნდა ააგონ, დელიში ჩავიდნენ და მშენებლობისთვის ინდოეთის დედაქალაქთან ახლოს მდებარე ორი ქალაქი - გრეიტერ ნოიდა და სონა შეარჩიეს. მათგან ერთ-ერთს ფორმულა 1-ის დირექტორთა საბჭო აარჩევს. ამასთან, უკვე შექმნილია ტრასის ვირტუალური გეგმაც.

შეგახსენებთ, რომ თავდაპირველად, ინდოეთის გრან-პრის გამართვა 2009 წელს იყო ნავარაუდები.

ოქროს ლიგა

ჯეკ პოტი ორად გაიყო

დასრულდა მძლეოსანთა სეზონის მეორე ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირი - ოქროს ლიგის სერია, რომლის ბოლო შეხვედრას, ბერლინის ოლიმპიურმა სტადიონმა უმასპინძლა. ექვსი შეხვედრის ჯამში, მილიონდოლარიანი ჯეკპოტი ორმა მძლეოსანმა, ამერიკელმა მორბენალმა **სანია რიჩარდსმა** და რუსმა ჭოკით მხტომელმა **ელენა ისინბაევამ** გაიყვეს.

ბერლინამდე კი, ას მეტრზე სპრინტში მსოფლიოს რეკორდსმენი, იამაიკელი **ასაფა პაუელი** ახალი რეკორდით იმუქრებოდა. რამდენიმე დღით ადრე, იტალიის რიეტიში ასპარეზობისას, დისტანცია მან 9.74 წამში გაირბინა. ბრიუსელის ვან დამის მემორიალის წინ კი ამბობდა, თუ მსაჯები და ამინდი ხელს არ შემიშლიან, ახალ რეკორდს დავამყარებო,

მსაჯებმა ხელი არ შეუშალეს, მაგრამ ორმა გარემოებამ ასაფას დანაპირების შესრულების საშუალება არ მისცა. ჯერ ერთი, ბრიუსელში ზედმეტად გრილოდა. მეორეც, პირველ სასტარტო ნიშანზე ბლოკს ნაადრევად მოსწყდა ბრიტანელი **მარლონ დევონში**, რამაც ყველა ზედმეტად ანერვიულა. ყოველივეს შემდეგ კი იამაიკელმა სუპერსპრინტერმა ფინიშს 9.84 წამში უწია.

"ამჯერად რეკორდის გაუმჯობესებაში უამინდობამ შემიშალა ხელი. რა თქმა უნდა, რესტარტიც უარყოფითი ფაქტორია, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ რიეტისთან შედარებით, ჰაერის ტემპერატურა აქ 10 გრადუსით დაბალი იყო. არადა, ბრიუსელი რეკორდების დასამყარებლად შესანიშნავი ადგილია. აქ ტურნირს ყოველთვის უამრავი ხალხი ესწრება და ვიმედოვნებ, რომ ისინი მომავალში აუცილებლად გახდებიან რეკორდის მომსწრენი", - განაცხადა პაუელმა, ვინც რიეტში, სარეკორდო გარბენის მინურულს, აშკარად დააგდო ტემპი.

შეგახსენებთ, რომ ბრიუსელის ტურნირის ორგანიზატორებს დაგეგმილი ჰქონდათ პაუელისა და მსოფლიოს ახალი ჩემპიონის, ამერიკელი **ტაისონ გაის** დაპირისპირება. მაგრამ ამერიკელმა, ვინც ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე ოქროს სამი მედალი (100 და 200 მეტრზე სპრინტში, ასევე 4X100 მეტრზე ესტაფეტაში) მოიპოვა, დაღლილობა მოიმიზეზა და რეკორდსმენთან დუელს თავი აარიდა.

ბრიუსელშივე, მეფე ბოდუინის სტადიონზე, 47 500 მაყურებლის წინაშე, მსოფლიოს ერთი რეკორდი გაუმჯობესდა - ეთიოპიელმა **მესერეტ დეფარმა** ორ მილზე (3 200 მეტრზე) რბენაში ფინიშს 8 წუთსა და 58.58 წამში უწია და ზუსტად 11 წამით გააუმჯობესა ძველი რეკორდი, რომელიც მანვე 10 მაისს ლოს ანჯელესის გარეუბან კერსონში ასპარეზობისას დაამყარა. აღსანიშნავია, რომ 5 000 მეტრზე სირბილში მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა თითქმის ნახევარი დისტანცია მარტომ გაირბინა. გზად კი 3 000-ის სეზონის საუკეთესო შედეგიც (8:29.52) დაფიქსირა.

ბრიუსელში სეზონის საუკეთესო დროით მოიგო 400 მეტრზე გარბენი რიჩარდსმა, ვინც დისტანცია 49.36 წამში გაირბინა. მან უკან მოიტოვა ბრიტანელი **ნიკოლა სანდერსი**, ვინც ოსაკას მსოფლიო ჩემპიონატზე ვერცხლის მედალს დაეუფლა. შეგახსენებთ, რომ რიჩარდსს ოსაკაში თავის დისტანციაზე არ უასპარეზია, რადგან ნაკრების შესარჩევ ტურნირზე ხელი მოეცარა.

ისინბაევამ კი 4.90 მეტრის აღებით შეძლო გამარჯვება, რის შემდეგაც, მსოფლიო რეკორდი (5.02 მეტრი) მოითხოვა. მან სამჯერ სცადა თავისი რეკორდის ერთი სანტიმეტრით გაუმჯობესება, მაგრამ ამაოდ.

ბერლინში, ოქროს ლიგის სერიის გადამწყვეტ შეხვედრას 70 000 მაყურებელი დაესწრო. მათ წინაშე კი რიჩარდსმაც და ისინბაევამაც კიდევ ერთხელ მოიგეს თავიანთ დისციპლინებში და სასურველი პრიზიც მოიპოვეს - ისინი მილიონ დოლარს შუაზე გაიყოფენ.

რიჩარდსმა კიდევ ერთხელ დააფიქსირა სეზონის საუკეთესო შედეგი - ამჯერად 400 მეტრი 49.27 წამში გაირბინა და თითქმის წამით აჯობა თავის მთავარ კონკურენტს, ამ დისტანციაზე მსოფლიოს ბრიტანელ ჩემპიონ **კრისტინ ოჰურუგუს**.

"ამ სეზონის დასაწყისში, ავადმყოფობის გამო ძალიან გამიჭირდა. მერე კი, ბევრი ვიშრომე და მიუხედავად იმისა, რომ ოსაკაში თავის გამოჩენის საშუალება არ მომეცა, ამ სეზონს მაინც წარმატებულად ვთვლი", - განაცხადა რიჩარდსმა, ვინც ოქროს ლიგის ჯეკპოტი შარშანაც მოიპოვა, მაგრამ მაშინ ის სამ მძლეოსანთან გაიყო, რის გამოც 250 000 დოლარი შეხვდა.

ისინბაევამ ამჯერად 4.82-მეტრიანი ნახტომით გაიმარჯვა. მან 4.62 მეტრით დაიწყო - ეს სიმაღლე ერთი ცდით აიღო, რის შემდეგაც ასევე პირველივე ცდაზე გადაახტა 4.77 მეტრზე გადებულ თამასას. ერთი ცდა იმყოფინა 4.82 მეტრისთვისაც და კვლავ სარეკორდო სიმაღლე მოითხოვა. თუმცა ამჯერადაც ტყუილად. რუსმა მხტომელმა სამივე ცდა ტყუილად გაფლანგა, რეკორდს კი ახლოსაც ვერ გაეკარა.

"ძალიან ბევრჯერ ვცადე ამ რეკორდის გაუმჯობესება, მაგრამ მიზანს ერთხელაც ვერ მივაღწიე. მაგრამ ეგ არაფერი, რეკორდის გაუმჯობესებას სხვა დროსაც ვეცდები, მოპოვებულ ნახევარ მილიონს კი ღატაკ ბავშვებს გავუნაწილებ. პირველ რიგში, მშობლიური ვოლგოგრადის გაჭირვებულებს დავეხმარები. არ ვიცი, ამ საქმეს როგორ გავწვდები, მაგრამ ძალიან მინდა, რომ ეს ფული ბავშვებს მოვახმარო", - განაცხადა ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს (ორგზის) ჩემპიონმა ისინბაევამ.

მეორე ადგილი რუსმა **სვეტლანა ფეოფანოვამ** დაიკავა, ვინც 4.77 მეტრზე მაღლა გადახტომა ვეღარ შეძლო. სამაგიეროდ, ეს ბარიერიც კი ვერ გადალახა პოლონელმა **მონიკა პირეკმა** დაიკავა, ვინც საბოლოოდ მესამე ადგილს დასჯერდა.

მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება სცადა სიმაღლეზე მხტომელმა ხორვატმა, მსოფლიოს ჩემპიონმა **ბლანკა ვლასიჩმა**, ვინც ბრიუსელში 2.03 მეტრზე გადახტომით გაიმარჯვა, ბერლინში კი 2.0 მეტრით მოიგო, მაგრამ 2.10 მეტრი მისთვის დაუძლეველ ბარიერად დარჩა. შეგახსენებთ, რომ მსოფლიო რეკორდი (2.09 მეტრი) ლეგენდარულ ბულგარელ **სტეფკა კოსტადინოვას** ეკუთვნის, რომელმაც ის ოცი წლის წინ, რომის ოლიმპიურ სტადიონზე ასპარეზობისას დაამყარა.

მერაბ ლორთქიფანიძე

ელენა ისინბაევა და სანია რიჩარდსი

სპორტული გაზეთი

განახლებულია
ბადრი პატარკაციშვილის
ხელშეწყობით

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხარაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოტა ხატისაშვილი
გესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა გიგილაშვილი
გოგიჩარიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუგინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ
გალახაძე, მერაბ გრძელიძე,
მამუკა ქანთარია,
ირაკლი დარცმელიძე,
ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია
ელიზბარაშვილი, ხათუნა
სამხარაძე, დავით გეგეჭკორი,
დავით შალუტაშვილი,
კოტა გელაშვილი

კორექტორა
ლელა ხომასურიძე
ლევან გიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და
ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე
(დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდგერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაძარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელწოდებით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა
2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერევნო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ გასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართი
ახმეტელის 10³,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია,
პირველი სართული);
ტელეფონი: 46 30 98,
46 30 56, 46 32 62,
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
53-39-11
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე.
ბარდა კვირისა